ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი—აგვისტო 1986 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

44. პროდუქციის ხარისხის ძირეული ამაღლების ღონისძიებათა შესახებ.
45. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 მაისის № 363 დადგენილების 26-ე პუნქტის მეორე და მესამე აბზაცების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
46. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 18 მარტის № 211 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

47. რესპუბლიკის მოსახლეობის საშენი მასალებით უზრუნველყოფის შესახებ.
48. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 12 ოქტომბრის № 641 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
49. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 30 აპრილის № 310 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის და მართვის, დაგეგმვის და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50. ახალგაზრდული კომპლექსებისა და ახალგაზრდობისათვის კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ღონისძიებათა შესახებ.
51. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებში საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სტატისტიკური ანგარიშების ცენტრალიზაციის შესახებ.
52. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიული სამმართველოებისა და ამ სამმართველოებთან არსებული დირექტორთა საბჭოების ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ.
53. კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.
54. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთბოკომუნენერგოს“ შექმნის შესახებ.
55. აბაკანის ვაგონთმშენებლობის საწარმოო გაერთიანების ობიექტების მშენებლობაზე დასაქმებულ მუშაკთათვის საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის შესახებ.
56. ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების შექმნის შესახებ.
57. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის დ. ნ. უზნაძის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ.
58. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 1 აგვისტოს № 434 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ.
59. უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.
60. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
61. გადიდებულ სართულიანობის საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ.
62. საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის, საცხოვრებელი სახლისა და სახლისპირა ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

44 პროდუქციის ხარისხის ძირეული ამაღლების ღონისძიებათა შესახებ

78 905

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1986 წლის 12 მაისის № 540 დადგენილებით „პროდუქციის ხარისხის ძირეული ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ აღნიშნეს, რომ თანამედროვე პირობებში პროდუქციის ხარისხის ძირეული ამაღლება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად სკკპ XXVII ყრილობის კურსის რეალიზაციის ერთ-ერთი საკვანძო ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანაა, სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების მიზნით ეკონომიკის ინტენსიფიკაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

უკანასკნელი წლების მანძილზე სახალხო მეურნეობაში გარკვეული მუშაობა განხორციელდა პროდუქციისა და შესასრულებელ სამუშაოთა ტექნიკური დონის, ხარისხის ამაღლებისათვის. ამასთანავე, მიღწეული შედეგები არ შეესაბამება დასახულ ამოცანებს.

მეცნიერულ გამოკვლევათა, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა დონე ყოველთვის როდი უპასუხებს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ მოთხოვნებსა და სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს.

ბევრ გაერთიანებაში, საწარმოში, ორგანიზაციაში არ იცავენ ტექნოლოგიურ და საწარმოო დისციპლინას, უშვებენ სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევებს. დაბალია წარმოების კულტურა, დიდია წუნით გამოწვეული დანაკარგები.

არ ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი თანამედროვე მოწყობილობით წარმოების აღჭურვისა და უახლესი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისათვის, რაც უზრუნველყოფს მაღალხარისხოვან ნაკეთობათა მყარ გამოშვებას. პრაქტიკულად არ იზრდება სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე. სახალხო მოხმარების საქონლის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხი ხშირად იწვევს მშრომელთა სამართლიან პრეტენზიებს. ასეთი მდგომარეობა არა მარტო დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას, არამედ აგრეთვე ამცირებს საბჭოთა ნაწარმის პრესტიჟულობას ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ.

სამინისტროთა და უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ დასძლიეს იმ პერიოდში დამკვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული ინერციის ძალა, როცა სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვა-დაფინანსებაში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ისინი პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ ტექნიკურად ჩამორჩენილი და უხარისხო პროდუქციის საწარმოებლად დაყენებისა და გამოშვების ფაქტებს.

დამმუშავებლებსა და შემკვეთებს, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობის დამკვიდრებული პრაქტიკა ხელს არ უწყობს გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლებას.

ბევრი გაერთიანებისა და საწარმოს ტექნიკური კონტროლის სამსახურები არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების თავიდან აცილებისათვის დაკისრებულ თავიანთ ფუნქციებს., დაკომპლექტებული არაა კვალიფიციური კადრებით, არ გააჩნიათ კონტროლის თანამედროვე საშუალებანი.

ჯერ კიდევ დაბალია ბერი მუშისა და სპეციალისტის, საწარმოო ბრიგადის, გაერთიანებისა და საწარმოს შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხისათვის. მორალური და მატერიალური სტიმულირების სისტემა მიზნად არ ისახავს მშრომელთა მიერ პროფესიული ოსტატობის ამაღლებას, მათთვის საქარხნო მარკის ღირსებისათვის სიამაყის გრძნობის ჩანერგვას.

სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტი თავის პრაქტიკულ საქმიანობაში შეეგუა სტანდარტების დაბალ ტექნიკურ დონეს, შემთანხმებლური პოზიცია უკავია სამინისტროებისა და უწყებების მიერ დასამტკიცებლად წარდგენილი სტანდარტების დაუშვებლად დაბალი მოთხოვნებისადმი, სრულად არ იყენებს დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების აღსაკვეთად მისთვის მინიჭებულ უფლებებს, ვერ უზრუნველყოფს შემუშავებულ სტანდარტებში შესაბამისობას მსოფლიო დონის მოთხოვნებთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და პერსპექტიულ მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებთან.

კადრების მომზადებისა და სწავლების არსებული სისტემა არ შეესაბამება წარმოების ინტენსიფიკაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პირობებში მუშაკთა პროფესიული დონისადმი გაზრდილ მოთხოვნებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ ამოცანად მიიჩნიონ პროდუქციის ხარისხის ძირეული ამაღლების თაობაზე სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია, რათა უკვე მეთორმეტე ხუთწლედში მოახდინონ გადამწყვეტი გარდატეხა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

პროდუქციისა და შესასრულებელ სამუშაოთა ხარისხის ამაღლება უნდა გახდეს საერთო-პარტიული, საერთო-სახელმწიფოებრივი, საყოველთაო-სახალხო საქმე, ცენტრალური რგოლი გრძელვადიანი, ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემუშავებასა და რეალიზაციაში, მუდმივი ყურადღებისა და კონტროლის საგანი, მთავარი ფაქტორი თითოეული შრომითი კოლექტივის საქმიანობის შეფასებაში.

პროდუქციის მაღალი ტექნიკური დონისა და ხარისხის უზრუნველყოფისათვის დამმუშავებელთა როლის ამაღლებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

დაწესდეს, რომ დამმუშავებლებს საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებში, საწარმოებში, სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო, საპროექტო-ტექნოლოგიურ და სხვა ორგანიზაციებს მანქანებისა და მოწყობილობის, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების შექმნის ან ძირეული მოდერნიზაციის დროს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა ტექნიკური დონისა და ხარისხისადმი, მათ შორის უმაღლესი მსოფლიო მიღწევების შესაბამისი ან უკეთესი რესურსისა და საიმედოობისადმი პერსპექტიული მოთხოვნების რეალიზაციისათვის, ხოლო გენერალურ (მთავარ) კონსტრუქტორებს — პერსონალური პასუხისმგებლობა ამ მაჩვენებლებისათვის.

აიკრძალოს წარმოებაში იმ ნამუშევრების გადაცემა, რომლებიც ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით არ შეესაბამება უმაღლეს მსოფლიო ბაზარს. შემკვეთებმა და სხვა ორგანიზაციებმა არ შეათანხმონ ტექნიკური დავალებანი მსოფლიო მიღწევებთან შედარებით დაბალ დონეზე პროდუქციის დასამუშავებლად.

მაღალხარისხოვანი პროდუქციის დამუშავებისათვის პირობების შექმნის მიზნით გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ:

სამრეწველო ნაკეთობათა, სახალხო მოხმარების საქონლის, მასალებისა და ტექნოლოგიურ პროცესთა ახალი ნიმუშების დამუშავების ავტომატიზებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დაპროექტების, შოდელირების, მხატვრული კონსტრუირებისა და სხვა პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვა;

სავალდებულო წესით ყოველმხრივი გამოცდების ჩატარება, მათ შორის ექსპლუატაციის რეალური პირობებისათვის მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში;

გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ლაბორატორიულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ბაზის განვითარებისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის დავალებათა შემუშავება და რეალიზაცია პირველ რიგში.

დაევალოს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს განახორციელოს 1986-1987 წლებში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ყველა საინფორმაციო ორგანიზაციისა და სამსახურის მუშაობის ძირეული გარდაქმნა, ამასთან მხედველობაში იქონიოს ქვეყნის ეფექტიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა იმისათვის, რათა განუწყვეტლივ და მიზანდასახულად უზრუნველყოს დამმუშავებლები და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის შესაბამის მიმართულებათა უახლესი მიღწევებისა და განვითარების ტენდენციების ამსახველი საჭირო ცნობებით.

იმის გათვალისწინებით, რომ პროდუქციის დამუშავების, საწარმოებლად დაყენების და ხარისხის კატეგორიების მიხედვით ატესტაციის პროცესში მისი ტექნიკური დონის განსაზღვრისას ადგილი აქვს მიღწეული მსოფლიო დონის შესახებ ინფორმაციის დამახინჯების შემთხვევებს, რაც არსებითს ეკონომიკურ ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას, დაწესდეს თანამდებობის პირთა მატერიალური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ამ მოქმედებისათვის.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეაბამისი წინადადებანი.

უფლება მიეცეს საბოლოო პროდუქციის დამმუშავებელს დააწესოს მასალებისა და საკომპლექტებელი ნაკეთობების დამმუშავებელთათვის სავალდებულო დავალებანი ამ ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური დონის, რესურსის, საიმედოობისა და ხარისხის, აგრეთვე მათი გამოცდის სახეობების, მოცულობისა და მეთოდების მიხედვით. შემკვეთის მოთხოვნები სავალდებულოა მასალებისა და საკომპლექტებელი ნაკეთობების დამმუშავებელთათვის.

დაწესდეს, რომ დამმუშავებელი კისრულობს პროდუქციის დამამზადებლის წინაშე საგარანტიო ვალდებულებებს საწარმოებლად გადასაცემი ტექნიკური დოკუმენტაციის ხარისხისა და ტექნიკურ დავალებასთან დასამუშავებელი ნაკეთობის შესაბამისობისათვის.

სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა უფრო სრულად გამოიყენონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფსაბჭოს 1985 წლის 22 მაისის № 462 დადგენილებით მათთვის მინიჭებული ის უფლებანი, რომ დაუწესონ მეცნიერ მუშაკებს, კონსტრუქტორებსა და ტექნოლოგებს დანამატები თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით ყველაზე რთულ და პასუხსაგებ სამუშაოთა შესრულებისათვის. აღნიშნული დანამატების განსაზღვრისას გაითვალისწინონ პირველ რიგში სახელმწიფო ხარისხის ნიშანზე ატესტებული პროდუქცია.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე ნამუშევრების ავტორთა მორალური დაინტერესების გაძლიერებისა და საზოგადოებრივი აღიარების ამაღლების მიზნით მიენიჭოს დამმუშავებელთა სახელები პრინციპულად ახალ სახეობათა პროდუქციას, ტექნოლოგიურ პროცესებს, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონელს.

სამინისტროებმა და უწყებებმა, გაერთიანებებმა და საწარმოებმა შეიმუშაონ 1986 წელს პროდუქციის ხარისხისა და საიმედოობის ამაღლების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები, ამასთან გაითვალისწინონ მათში:

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის მაჩვენებლების პროგნოზირება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას;

ხარისხისა და საიმედოობის პრობლემებზე ფუნდამენტურ და გამოყენებით გამოკვლევათა განვითარება;

გაანგარიშების, კონსტრუირების, მოდელირების თანამედროვე მეთოდებისა და სადიზაინერო გადაწყვეტილებათა შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა, რაც უზრუნველყოფს მაღალ ხარისხსა და საიმედოობას;

საცდელი, დიაგნოსტიკური და საკონტროლო-საზომი მოწყობილობის შექმნა. არსებითად გააფართოონ ნაკეთობათა სასტენდო დამუშავების მოცულობა. მოაწყონ ამისათვის საჭირო რაოდენობის სასტენდო მოწყობილობის წარმოება;

ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს პროდუქციის, გამოცდის ორგანიზაციისა და მოცულობისადმი მოთხოვნების წინმსწრებ დონეებს;

სამუშაოთა მეტროლოგიური უზრუნველყოფა კვლევის, დამუშავების, წარმოებისა და ექსპლუატაციის სტადიებზე, რისთვისაც მკვეთრად გაადიდონ ავტომატიზებული საკონტროლო-საზომი მოწყობილობის, მათ შორის ტექნოლოგიურ პროცესში ჩაშენებული მოწყობილობის წარმოების მოცულობა;

შესაქმნელი მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და სხვა ნაკეთობათა ხარისხისა და საიმედოობის საბაზო კომპონენტებისადმი სპეციალური მოთხოვნების, აგრეთვე წარმოების ორგანიზაციის, მოწყობილობისა და ინსტრუმენტის, საკონტროლო-საზომი საშუალებებისა და სისტემისადმი მოთხოვნების გამოკვლევა და შემუშავება.

მიიზიდონ ამ მიზნობრივი პროგრამების შესამუშავებლად და სარეალიზაციოდ დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროდ ჩაითვალოს შეიქმნას 1986-1987 წლებში პროდუქციის სახეობათა მიხედვით მთავარ სამინისტროებსა და უწყებებში საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისობაზე პროდუქციის სერტიფიკაციის ცენტრები.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა კონტროლი გაუწიონ ამ ცენტრების შექმნას და გაწეული მუშაობის შესახებ მოახსენონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის IV კვარტალში.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ საჭირო ზომები დარგებში მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შემუშავებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებით, ხოლო საკითხებზე, რომლებიც ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებას მოითხოვენ, წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი წინადადებანი.

მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების უზრუნველსაყოფად წარმოების ტექნიკური დონის, მისი ტექნოლოგიური აღჭურვის ამაღლების შესახებ

დაწესდეს, რომ მაღალი ტექნიკური დონის, ხარისხის, რესურსისა და საიმედოობის პროდუქციის გამოშვების უზრუნველსაყოფად გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა წარმოებაში პერსპექტიული კონსტრუქტორული ნამუშევრების, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების, უახლესი მასალების ათვისების არსებითი დაჩქარება, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ფართოდ დანერგვა.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განაზოგადოს უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „ურალმაშის“, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კრიოტექნიკის“, საავიაციო მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანება „ტექნოლოგიის“, სხვა გაერითანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება, რომლებმაც მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს მაღალი ხარისხის თანამედროვე პროდუქციის გამოსაშვებად წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებაში, და მოამზადონ წინადადებანი ამ გამოცდილების გავრცელების შესახებ.

სამინისტროებმა და უწყებებმა, გაერთიანებებმა და საწარმოებმა მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებას, ამასთან გაითვალისწინონ მათში:

ტექნოლოგიურ პროცესთა მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემების ფართოდ დანერგვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრესულ სახეობათა ნამზადების ხვედრითი წონის არსებითი ზრდა;

თანამედროვე საბაზო ტექნოლოგიურ პროცესთა მკვეთრი გადიდება, რაც საშუალებას იძლევა მრავალგზის ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება და ძირეულად გაუმჯობესდეს გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი;

თანამედროვე სახეობათა ინსტრუმენტისა და ტექნოლოგიური აღჭურვილობის საწარმოო საამქროებისა და წარმოების მომზადების სამსახურების კომპლექსის სიმძლავრეთა წინმსწრები განვითარება;

საფინიშო ოპერაციების პრიორიტეტული აღჭურვა უახლეს სახეობათა მოწყობილობით;

მოქმედ სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქცია და ტექნიკური კვლავაღჭურვა, აგრეთვე ახლის მშენებლობა მხოლოდ ისეთი პროექტების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებენ თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესთა და მოწყობილობის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების გამოყენებას.

სამინისტროებმა და უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა მაღალხარისხოვანი პროდუქციისა და მასში შემავალ საკომპლექტებელ ნაკეთობათა და მასალათა გამოსაშვებად წარმოების კვლავაღჭურვისას შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის სამუშაოთა ერთობლივი გეგმები.

საჭიროდ ჩაითვალოს წარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებისა და დანერგვის, უახლეს სახეობათა მოწყობილობის შექმნის მიზნით გამოცდილების გაზიარების უზრუნველსაყოფად სისტემატურად მოეწყოს დარგთაშორისი ტექნოლოგიური გამოფენები გამოფენა „პროგრესის“ ჩატარების პრაქტიკის გათვალისწინებით.

სამინისტროებმა და უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა სამუშაო ადგილების ატესტაციისას გააანალიზონ ტექნოლოგიური პროცესები, მოწყობილობის, ინსტრუმენტის მდგომარეობა და მიიღონ საჭირო ზომები გამოსაშვები პროდუქციის სტაბილური ხარისხის უზრუნველსაყოფად.

წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების, საწარმოო სიმძლავრეთა სტრუქტურის სრულყოფის, ახალი პროგრესული მოწყობილობის დანერგვის დაჩქარებისა და ამის საფუძველზე გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ამაღლების და შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო, კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

გაითვალისწინონ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმებში ძირითადი საწარმოო ფონდების განახლება მრეწველობაში არანაკლებ 35 პროცენტით, მათ შორის მანქანათმშენებლობაში — 45 პროცენტამდე;

უზრუნველყონ ყოველწლიურად მოძველებული და ნაკლებეფექტიანი მოწყობილობის არანაკლებ 3-6 პროცენტის ჩამოწერა, მათ შორის მანქანათმშენებლობაში — არანაკლებ 6-8 პროცენტისა;

საამორტიზაციო ანარიცხების ახალი ნორმების შემუშავებისას გაითვალისწინონ გაერთიანებათა და საწარმოთა ძირითადი საწარმოო ფონდების

ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ

დაჩქარებული განახლების სტიმულირება წლების მიხედვით დიფერენცირებული ზემოაღნიშნული ანარიცხების ოდენობის დაწესების ხარჯზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გაითვალისწინონ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმებში ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო რესურსები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დარგებში საკუთარი მანქანათმშენებლობის განვითარებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმომარაგებამ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად გაითვალისწინონ ნაკეთობათა რესურსისა და საიმედოობის მაჩვენებლები მანქანა-მოწყობილობის ამორტიზაციის ვადებისა და მათი წარმოების მოცულობის განსაზღვრისას.

პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხისათვის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ პროდუქციის ხარისხის კარდინალური ამაღლების პრობლემის გადაჭრა თითოეული კოლექტივის, თითოეული მუშის, სპეციალისტისა და ხელმძღვანელის პირდაპირი მოვალეობაა. ბრძოლა პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის შრომითი კოლექტივების ყოველდღიური ცხოვრების ნორმა უნდა გახდეს.

გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უნდა იკისრონ სრული პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხის, მსოფლიო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის, ახალი ნაკეთობებისა და მასალების იმ უმკაცრეს მოთხოვნებთან შესაბამისობისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის მაჩვენებლები განმსაზღვრელი უნდა გახდეს მათი სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეფასებისას, ხოლო ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ოდენობა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებული უნდა იყოს მის ხარისხზე.

პროდუქციის ფასების დონის დაწესებისას განმსაზღვრელი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მის ტექნიკურ-ეკონომიკურ დონეს, ხარისხსა და შესაბამისობას საუკეთესო მსოფლიო მიღწევებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. ამასთანავე სრულად უნდა გამოიყენონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 12 ივლისის № 669 დადგენილებით, ხოლო მსუბუქი მრეწველობის სახალხო მოხმარების საქონლისათვის — სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 24 აპრილის № 489 დადგენილებით მინიჭებული უფლებები.

დაწესდეს, რომ უხარისხო პროდუქციის დამზადებისა და მიწოდების გამო და პროდუქციის მომხმარებლისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად სანქციების სახით გაერთიანებებისა და საწარმოებისათვის გადახდევინებული სახსრები მიეკუთვნება მოგების იმ ნაწილს, რომელიც გათვალისწინე-

ბულია გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური ინტერესებულ-ლირების ფონდების შესაქმნელად. ამასთან შესაქმნელი ფონდების ოდენობა არ შეიძლება შემცირდეს 20 პროცენტით და მეტი.

დაეკისროთ პერსონალური პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის ყველა დონის წარმოების ორგანიზატორებს — გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელიდან ოსტატამდე.

გათვალისწინებულ იქნეს, რომ სტანდარტებისა და ტექნიკური პირობებისაგან გადახრით პროდუქციის სისტემატური გამოშვება მოწმობს წარმოების ხელმძღვანელის პროფესიულ მოუმზადებლობას თავის მოვალეობათა შესრულებისათვის და მის შეუფერებლობას დაკავებულ თანამდებობასთან.

ამ დადგენილების შესაბამისად შექმნილი სახელმწიფო მიღების ორგანოების იმ მითითებათა შეუსრულებლობა გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირთა მიერ, რომლებიც შეეხება სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შეუსაბამო პროდუქციის გაგზავნის შეწყვეტას, და ასეთი პროდუქციის შეტანა საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების ამსახველ ანგარიშებში განხილულ იქნეს, როგორც სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგების დამახინჯება, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

ამაღლდეს გაერთიანებათა და საწარმოთა პასუხისმგებლობა შემკვეთთა წინაშე, უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს პროდუქციის ხარისხისადმი მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამასთან შემკვეთებმა გამოიჩინონ პრინციპულობა და სიმტკიცე.

მისაწოდებელი პროდუქციის ხარისხზე მომხმარებელთა ზემოქმედების გაძლიერების მიზნით დაწესდეს, რომ დაბალხარისხოვანი პროდუქციის არაერთგზის მიწოდების შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს დაარღვიოს ცალმხრივი წესით ხელშეკრულება მიმწოდებელთა, ამასთან წინასწარ, არანაკლებ ერთი თვით ადრე, შეატყობინოს მას ამის შესახებ. მიმწოდებელი მოვალეა ამ დროს შეაჩეროს ან შეწყვიტოს მოცემული პროდუქციის გამოშვება და აუნაზღაუროს მომხმარებელს ხელშეკრულების დარღვევის შედეგად წარმოქმნილი ზარალი.

ხელმძღვანელებს, რომელთა მიზეზითაც დაშვებულია უხარისხო პროდუქციის სისტემატური გამოშვება, რამაც გამოიწვია ხელშეკრულების დარღვევა, უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დაევალოთ მინისტრებსა და სამინისტროთა კოლეგიებს, რომელთაც ექვემდებარებიან მიმწოდებლები, უზრუნველყონ პროდუქციის შევსება მომხმარებლებთან შეთანხმებულ ვადებში.

გაერთიანებებსა და საწარმოებში ტექნიკური კონტროლის სისტემის გარდაქმნისა და სახელმწიფო მიღების ორგანოების შექმნის შესახებ

ხარისხის ამაღლებაში ტექნიკური კონტროლის სამსახურების როლის გაძლიერების, დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გზაზე საიმედო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრკოლების შექმნის მიზნით სამინისტროთა და უწყებათა, გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა გარდაქმნან ტექნიკური კონტროლის სამსახურების საქმიანობა, განახორციელონ ამისათვის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ და აღმზრდელობით ღონისძიებათა კომპლექსი.

ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი ტექნიკური კონტროლის სამსახურების აქტიურ და უკომპრომისო პოზიციას ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევათა და წუნის გამოსავლენად და თავიდან ასაცილებლად, აამაღლონ შრომითს კოლექტივებში ავტორიტეტი საკონტროლო აპარატის მუშაკებისა, რომლებიც ასრულებენ საპატიო და პასუხსაგებ მოვალეობას სახელმწიფოს ინტერესებისა და საქარხნო მარკის ღირსების დასაცავად.

განამტკიცონ ტექნიკური კონტროლის სამსახურები მაღალკვალიფიციური პრინციპული და მომთხოვნი მუშაკებით.

უფრო ფართოდ მიიზიდონ ამ სამსახურებში მუშები, რომელთაც აქვთ საწარმოო მუშაობის საჭირო გამოცდილება და ღრმა პროფესიული ცოდნა.

აამაღლონ ტექნიკური კონტროლის სამსახურების აღჭურვა კონტროლისა და გამოცდის თანამედროვე საშუალებებით.

იმის გათვალისწინებით, რომ ტექნიკური კონტროლის სამსახურების მთავარი ამოცანაა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შეუსაბამო პროდუქციის გამოშვების თავიდან აცილება, დაევალოთ აღნიშნული სამსახურების მუშაკებს:

გადაჭრით იბრძოლონ წუნის მკეთებელთა და ტექნოლოგიური დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ;

არ დაუშვან მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების უზრუნველსაყოფად კონტროლისა და გამოცდის დაწესებული მოცულობის შემცირება;

დროულად შეატყობინონ გაერთიანების, საწარმოს ხელმძღვანელს დაბალხარისხოვანი პროდუქციის სისტემატური დამზადების, ტექნოლოგიური პროცესებისა და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის დარღვევის ფაქტების, აგრეთვე გაერთიანებაში, საწარმოში მიმწოდებელთაგან უხარისხო პროდუქციის შემოსავლის შესახებ;

სისტემატურად გააანალიზონ უხარისხო პროდუქციის დამზადების მიზეზები და წარუდგინონ საჭირო წინადადებანი საწარმოთა ადმინისტრაციასა და საწარმოო ქვედანაყოფებს მათი აღმოფხვრისათვის ზომების მისაღებად.

უფლება მიეცეთ ტექნიკური კონტროლის სამსახურების ხელმძღვანელებს ტექნოლოგიურ პროცესთა დარღვევის ან დაწესებული მოთხოვნებისადმი პროდუქციის შეუსაბამობის დროს შეწყვიტონ პროდუქციის მიღების კონტროლი მისი წარმოების ნებისმიერ ეტაპზე ან შეაჩერონ მზა პროდუქციის გაგზავნა მომხმარებელთათვის ზომების მიღებამდე.

საჭიროდ ჩაითვალოს შემოღებულ იქნეს ყველა გაერთიანებასა და საწარმოში შემოსული საკომპლექტებელი ნაკეთობების, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების საწყისი კონტროლი, ამასთან დაეკისროს ეს მოვალეობა ტექნიკური კონტროლის სამსახურებს. ამ მიზნით შექმნან ტექნიკური კონტროლის

სამსახურების შემადგენლობაში გარე მიღების სპეციალური ქვედანაყოფები
და აღჭურვონ ისინი კონტროლისა და გამოცდის საჭირო საშუალებებით.

არ დაუშვან გაერთიანებაში ან საწარმოში შემოსული იმ ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და საკომპლექტებელი ნაკეთობების გაცემა და წარმოებაში ჩაშვება, რომლებიც საწყისი კონტროლის შედეგების მიხედვით არ შეესაბამება ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას.

ნედლეულის, მასალებისა და საკომპლექტებელი ნაკეთობების მიმწოდებელმა სამინისტროებმა და უწყებებმა, გაერთიანებებმა და საწარმოებმა მიიღონ გადაუდებელი და ამომწურავი ზომები ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების უზრუნველსაყოფად მომხმარებლებთან საწყისი კონტროლის შედეგების გათვალისწინებით.

სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სამინისტროებმა და უწყებებმა არ დაუშვან ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და საკომპლექტებელი ნაკეთობების მიმწოდებლის შეცვლა მომხმარებელთან მათი გამოცდის დადებითი შედეგების მიღებამდე.

საჭიროდ ჩაითვალოს შეიცვალოს ტექნიკური კონტროლის სამსახურების მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემა, ამასთან არ დაუკავშირდეს მათი ხელფასი გაერთიანებათა და საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შედეგებს. მათი შრომის შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი უნდა გახდეს გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი.

გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ძირეული ამაღლების, მზა ნაკეთობათა მიღების და ხარისხის საკითხებზე გაერთიანებათა და საწარმოთა საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელების მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს შეიქმნას არასაუწყებო კონტროლის სპეციალური ორგანო — სახელმწიფო მიღება.

დაექვემდებაროს აღნიშნული ორგანო სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს.

სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა განახორციელოს 1986 წელს საჭირო მოსამზადებელი ღონისძიებანი და შემოიღოს 1987 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო მიღება გაერთიანებებსა და საწარმოებში, რომლებიც უშვებენ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო პროდუქციას, სახალხო მოხმარების საქონელს, აგრეთვე მათთვის ძირითად საკომპლექტებელ ნაკეთობებსა და მასალებს.

იმ გაერთიანებათა და საწარმოთა ნუსხას, რომლებშიც შემოღებულ იქნება სახელმწიფო მიღება, ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის წარდგენით, რაც შეთანხმებულია შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან.

სახელმწიფო მიღების განხორციელება არ ხსნის გაერთიანებებისა და საწარმოების, ტექნიკური კონტროლის სამსახურების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას გამოსაშვები პროდუქციის ხარისხისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განსაზღვროს სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა რიცხოვნობის ლიმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტები და ხელფასის ფონდი სახელმწიფო მიღების ორგანოების შეფასების კვალობაზე.

გაძლიერდეს სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხის საკითხებში ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განსახორციელებლად.

დაევალოს სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს უზრუნველყოს:

სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის კოორდინაცია, რომლის მიზანია გამოსაშვები პროდუქციის ხარისხისა და საიმედოობის, მაღალი ტექნიკური დონის სტაბილური მაჩვენებლების მიღწევა;

აქტიური ზემოქმედება პროდუქციის ტექნიკურ დონესა და ხარისხზე სტანდარტების სისტემატური სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტების დონემდე მათი მოთხოვნების გაზრდის გზით;

პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხებში გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის მუდმივი ანალიზი და სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად საჭირო ზომების მიღება უხარისხო ნაკეთობათა გამოშვების აღსაკვეთად კომიტეტისათვის მინიჭებული უფლებების სრულად გამოყენებით;

სახელმწიფო მიღების ორგანოების საქმიანობის მაღალი ეფექტიანობა;

სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სახელმწიფო სისტემის სრულყოფა, სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვისა და დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის ქმედითობის ამაღლება;

სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ფართო მონაწილეობა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციათა მუშაობაში.

იმის გათვალისწინებით, რომ სამრეწველო პროდუქციის სახელმწიფო ატესტაცია ხარისხის მართვის დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტია. სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ამ ატესტაციის ჩატარებისას უზრუნველყონ პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის შეფასების ობიექტურობის ამაღლება. მიიღონ ზომები სახელმწიფო საატესტაციო კომისიებში შესაყვან სპეციალისტთა შერჩევის გასაუმჯობესებლად. მკაცრად გააკონტროლონ საატესტაციო კომისიების მუშაობა, აამაღლონ მათი პასუხისმგებლობა დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისა და მინიჭებულ უფლებათა სწორად გამოყენებისათვის. დაეკისროს საატესტაციო პროდუქციის ობიექტური შეფასებისათვის პერსონალური პასუხისგებლობა სახელმწიფო საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს.

ნება დაერთოს სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს მიიზიდოს მეცნიერები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები შტატგარეშე ექსპერტებად ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის და განსაკუთრებით რთული პროდუქციის ატესტაციის მასალების სახელმწიფო ექსპერტიზის ჩასატარებლად.

სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის დებულებასა და მისი ცენტრალური აპარატის სტრუქტურაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

კადრების მომზადების, გადამზადების სრულყოფისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ ხარისხის ამაღლების პრობლემა რთული და მრავალმხრივია, საჭიროა ყველა რანგის ხელმძღვანელი — მინისტრიდან ოსტატამდე — დაეუფლოს თანამედროვე მოთხოვნებს მაღალხარისხოვანი პროდუქციის შემუშავებისა და წარმოებისადმი. სამინისტროებმა და უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ძირეულად გარდაქმნან კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა. განახორციელონ მუშათა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის გეგმაზომიერი და განუწყვეტელი სრულყოფა ტექნიკისა და ტექნოლოგიის მუდმივად მზარდი დონისადმი მათი პროფესიული მომზადების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

ფართოდ გამოიყენონ პრაქტიკულად გამართლებული სწავლების ფორმები, უწინარეს ყოვლისა, მიზნობრივი დანიშნულების კურსები, შრომის მოწინავე ხერხებისა და მეთოდების შემსწავლელი სკოლები, წრეები, სემინარები.

პრაქტიკაში შემოიღონ წარმოებაში ახალმოსული მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის ტექნოლოგიური და შრომითი პროცესების თავისებურებათა სწავლება, მათი დეტალური გაცნობა გამოსაშვები პროდუქციისა და შესასრულებელ სამუშაოთა ხარისხისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან. ახალ ტექნოლოგიურ პროცესებზე გადასვლისა და ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისებისას განახორციელონ მუშაკთა სწავლება, ამასთან მიიჩნიონ ეს როგორც წარმოების მიზეზების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. აუმაღლონ მუშებს საკვალიფიკაციო თანრიგები (კლასები, კატეგორიები) მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი გაივლიან შესაბამის სწავლებას.

განახორციელონ 1986-1987 წლებში მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საყოველთაო სწავლება ხარისხის საკითხებში.

სამინისტროებმა და უწყებებმა გააძლიერონ მომთხოვნელობა გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებისადმი კადრების მომზადების, გადამზადების სრულყოფისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშათა და სპეციალისტთა დროულად მომზადებისა და გადამზადების მიზნით დაწესდეს, რომ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დამმუშავებლები, მათი დამუშავების პრო-

ცესში ამზადებენ კადრების სწავლების რეკომენდაციებს, სასწავლო პროგრამებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ამუშავებენ ტრენაჟერთა და სხვა ტექნიკურ საშუალებათა დოკუმენტაციას.

დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს მოაწყონ, მოყოლებული 1986 წლიდან, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დამმუშავებელ და დამამზადებელ საწარმოთა ბაზაზე მუდმივმოქმედი კურსები. ნება დაერთოთ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს გაგზავნონ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემსწავლელ კურსებზე მუშები და სპეციალისტები ორ თვემდე ვადით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 იანვრის № 46 დადგენილებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახალხო მეურნეობის აკადემიამ, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა 1986-1987 წლებში შემოიღონ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა, აგრეთვე სპეციალისტთა და მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებელ დაწესებულებათა სასწავლო პროგრამებში პროდუქციის ხარისხის ამაღლების ტექნიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ პრობლემათა სწავლება და მოამზადონ საჭირო დამხმარე სახელმძღვანელოები. უზრუნველყონ მაღალხარისხოვანი პროდუქციის შექმნისა და წარმოების თანამედროვე ცოდნასა და მეთოდებს ღრმად დაუფლებული კადრების მომზადება. გააფართოონ მოქმედ უმაღლეს სასწავლებელთა სპეციალურ ფაკულტეტებზე გაერთიანებებისა და საწარმოების სპეციალისტთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება პროდუქციის ხარისხის ამაღლების აქტუალურ საკითხებში სამინისტროთა და უწყებათა განაცხადების მიხედვით.

მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების შესახებ

პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და წარმოების სრულყოფის საკითხების გადასაწყვეტად მშრომელთა უფრო ფართოდ მიზიდვის მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას გაერთიანებებსა და საწარმოებში, საამქროებში და უბნებზე ხარისხის ჯგუფები, როგორც გამოსაშვები პროდუქციისა და შესასრულებელ სამუშაოთა ხარისხის ყოველმხრივ ამაღლებაში ყველა მშრომელის კონკრეტული მონაწილეობისა და აქტიური ზემოქმედების ფორმები, იმ ვარაუდით, რომ ამას მიეცეს მასობრივი საზოგადოებრივი მოძრაობის ხასიათი.

გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ხარისხის ჯგუფების საქმიანობა მოახმარონ, უწინარეს ყოვლისა, ხარისხის გაუმჯობესების, ტექნოლოგიურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცესთა სრულყოფის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო წინადადებათა მომზადებასა და დანერგვას. უზრუნველყონ ამ ჯგუფების კვალიფიციურ და ინიციატივიან ხელმძღვანელთა შერჩევა. მოაწყონ ხარისხის ჯგუფების წევრთა სისტემატური სწავლება, გაუწიონ ყოველმხრივი საინჟინრო მხარდაჭერა მათს მუშაობაში. გამოიყენონ ხარისხის ჯგუფების აქტიურ წევრთა მატერიალური და მორალური წახალისების სხვადასხვა ფორმა. ფართოდ და დამაჯერებლად გაუწიონ პროპაგანდა ხარისხის ჯგუფების მიერ გაწეული მუშაობის აუცილებლობასა და მნიშვნელობას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მათი მუშაობის საჯაროობასა და თვალსაჩინოებას.

დაწესდეს, რომ გაერთიანებათა, საწარმოთა და მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ხარისხის ჯგუფების შემოქმედებითი მუშაობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად, აგრეთვე მშრომელთა წინადადებების დროულად განხილვისა და მათი წინადადებების რეალიზაციის თაობაზე სისტემატური ინფორმაციისათვის.

გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა კომიტეტებმა:

ა) ფართოდ გამოიყენონ პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის შესაძლებლობანი, გააძლიერონ ბრიგადების კოლექტივების, ბრიგადების საბჭოებისა და ბრიგადირთა საბჭოების როლი ამ საქმეში. მიაღწიონ იმას, რომ ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევისა და დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს ბრიგადის კოლექტივის ყურადღების გარეთ, ხოლო წუნის მკეთებელთა მიმართ გამოყენებულ იქნეს შესაბამისი მატერიალური და მორალური სასჯელი. გაითვალისწინონ ბრიგადის თითოეული წევრის მუშაობის ხარისხი შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის განსაზღვრისას.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ საწარმოო ბრიგადას ეკისრება კოლექტიური პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის და ზარალს ანაზღაურებს ბრიგადის გამომუშავებიდან, ხოლო მისი განაწილების დროს ითვალისწინებს ცალკეულ მუშაკთა კონკრეტულ დანაშაულს;

ბ) უზრუნველყონ საწარმოო გაერთიანება „ავტოვაზის“ და სხვა მოწინავე საწარმოთა გამოცდილების დანერგვა საქარხნო ხარისხის ნიშანზე დეტალების, კვანძების, აგრეგატების ატესტაციისათვის. ბრიგადების კოლექტივებს, რომლებიც უშვებენ პროდუქციას ზემოხსენებული ნიშნით და მიაღწიეს უდეფექტო მუშაობას, მიანიჭონ წოდება „ჩინებული ხარისხის ბრიგადა“ და მისცენ უფლება იმუშაონ ბრიგადული ხარისხის დამღით, დაუწესონ ასეთ კოლექტივებს მატერიალური წახალისების გადიდებული ოდენობა.

გამოსაშვები პროდუქციისა და შესასრულებელ სამუშაოთა ხარისხისათვის მუშაკთა დაინტერესების გაძლიერებისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით რჩევა მიეცეთ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მაღალი პროფესიული ოსტატობის გამო მუშებისათვის, მაღალი საწარმოო მიღწევების გამო ოსტატებისა და სხვა ინჟინერ-ტექნიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაკებისათვის დანამატების დაწესებისას გაითვალისწინონ, უწარმოებლობა-ბალისა, მათი შრომის ხარისხი და ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვა. დანამატები არ მიეცემათ იმ თვისათვის, რომელშიც გამოვლინდა წუნის ან პროდუქციის ხარისხის გაუარესების შემთხვევები. უხარისხო პროდუქციის სისტემატური გამოშვების ან მისი ხარისხის არსებითი გაუარესებისას აღნიშნული დანამატები მთლიანად უქმდება.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს გაძლიერდეს მატერიალური პასუხისმგებლობა იმ ზარალისათვის, რაც საწარმოს მიაყენეს მუშა-მოსამსახურეებმა შრომითი მოვალეობის შესრულებისას უხარისხო პროდუქციის დამზადების, დაუდევრობით მასალების, ნაკეთობების, ნახევარფაბრიკატებისა და სხვა პროდუქციის გაფუჭების ან განადგურების შედეგად. დაწესდეს ეს პასუხისმგებლობა პირდაპირი ნამდვილი ზარალის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს საშუალო თვიური გამომუშავებისა.

შეტანილ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ბრძანებულების პროექტი ამ საკითხზე.

უფლება მიეცეთ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შეუმცირონ 3 თვემდე ვადით საკვალიფიკაციო თანრიგები (კლასები, კატეგორიები) მუშებს ტექნოლოგიური დისციპლინის უხეში დარღვევისათვის, აგრეთვე სხვა სერიოზული დარღვევებისათვის, რომლებმაც გამოიწვიეს მათ მიერ დამზადებული პროდუქციის ხარისხის გაუარესება. ამასთან თანრიგის (კლასის, კატეგორიის) აღდგენა ხდება თანრიგების (კლასების, კატეგორიების) მიკუთვნებისათვის დადგენილი წესით.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისას უპირველესი მნიშვნელობა დაუთმონ პროდუქციის ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებას, ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების გადიდების, ახალ სახეობათა მასალების, მანქანების, მოწყობილობის, მოსახლეობისათვის განკუთვნილი მაღალხარისხოვანი საქონლის ათვისების საგეგმო დავალებათა და ვალდებულებათა წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

განავითარონ პრაქტიკულად გამართლებული სოციალისტური შეჯიბრების ინდივიდუალური და კოლექტიური ფორმები, ამასთან გამოიყენონ ისინი შესასრულებელი სამუშაოს მაღალი ხარისხის მიღწევის, შრომის მოწინავე ხერხებისა და მეთოდების პროპაგანდისა და გავრცელების მიზნით. გაშალონ მომიჯნავე ბრიგადების, საამქროების, უბნების, გაერთიანებებისა და საწარმოების შეჯიბრება „სამუშაო ესტაფეტის“ პრინციპით. აამაღლონ „პროფესიაში საუკეთესოს“ წოდებისათვის კონკურსების როლი.

გააქტიურონ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შემოქმედებითი თანამეგობრობის ბრიგადების საქმიანობა დამუშავებისა და წარმოების ყველა ეტაპზე პროდუქციის ხარისხის ამაღლების კონკრეტულ საკითხთა გადასაწყვეტად.

გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ორგანიზაციებმა უზრუნველყონ წარმოების მოწინავეთა, სა-

მეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებრიობის ფართოდ მიზიდვა პროდუქციის ხარისხის ძირეული ამაღლების კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად. პრაქტიკაში შემოიღონ ამ მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის კონკურსებისა და დათვალიერებათა ჩატარება. მაქსიმალურად გამოიყენონ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებანი პროდუქციის ხარისხის ამაღლების საქმეში.

დაწესდეს დამატებით საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საპროექტო-ტექნოლოგიური ორგანიზაციების მუშაკთა კოლექტივების წასახალისებლად სსრ კავშირის 5 სახელმწიფო პრემია უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის.

დაარსდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 10 პრემია 15-დან 20 ათას მანეთამდე ოდენობით საწარმოო შრომითი კოლექტივების მიერ გამოშვებული პროდუქციის სტაბილური მაღალი ხარისხის მიღწევისათვის.

სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად ფართოდ გააშუქონ კოლექტივების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, წარმოების მოწინავეების, ხარისხის ჯგუფების, ტექნიკური კონტროლის სამსახურების, სახელმწიფო მიღების ორგანოების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის პროდუქციის ხარისხის მაღალი მაჩვენებლების უზრუნველსაყოფად, მკაცრად გააკრიტიკონ წუნის მკეთებლები, სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დამრღვევნი.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენამ სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად გააძლიერონ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების დარგში.

სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა მიიღონ ზომები ხარისხის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის პრობლემებზე სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოცემის მნიშვნელოვანი გადიდებისათვის.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ და სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა სამი თვის ვადაში მოამზადონ სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფის მიზნით გაერთიანებათა და საწარმოთა ტექნიკური კონტროლის სამსახურებისა და სახელმწიფო მიღების ორგანოების როლის ამაღლების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ დაადგინეს:

გაერთიანებათა და საწარმოთა ტექნიკური კონტროლის სამსახურების მუშაკთა სტიმულირების გაძლიერების შესახებ

დაწესდეს, რომ ტექნიკური კონტროლის სამსახურების მუშაკთა მატერიალური სტიმულირება არ უკავშირდება გაერთიანებათა და საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, არამედ დამოკიდებულია მხოლოდ ხარისხის მაჩვენებლებზე.

სამინისტროებმა და უწყებებმა, გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა:

შემოიღონ გაერთიანებებსა და საწარმოებში ხარისხის დარგში დირექტორის (გენერალური დირექტორის) მოადგილის — ტექნიკური კონტროლის განყოფილების (სამმართველოს) უფროსის თანამდებობა, აგრეთვე კონტროლის ოსტატის თანამდებობა იმ დარგების გაერთიანებებსა და საწარმოებში,

ნება დართონ შემოიღონ ხარისხის კონტროლის ინჟინრის თანამდებობა იმ წარმოებებში, სადაც განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ პროდუქციის ხარისხს;

გაუთანაბრონ თანამდებობრივი სარგოების ოდენობით (შრომის პირობების გათვალისწინებით) კონტროლის ოსტატები შესაბამისი საამქროებისა და უბნების ოსტატებს;

დააწესონ მუშა-კონტროლიორთა სატარიფო განაკვეთები შრომის პირობების გათვალისწინებით პროდუქციის დამზადებით დასაქმებული მუშებისათვის დადგენილი წესითა და ოდენობით;

მიაკუთვნონ დადგენილი წესით საკვალიფიკაციო თანრიგები ყველაზე რთული და პასუხსაგები პროდუქციის მიღებით მუდმივად დასაქმებულ ცალკეულ მაღალკვალიფიციურ მუშა-კონტროლიორებს ერთი თანრიგით მეტი ამ პროდუქციის დამზადებით დასაქმებულ მუშათა თანრიგებთან შედარებით.

საჭიროდ ჩაითვალოს დააწესონ გაერთიანების, საწარმოს ხელფასის ფონდის ფარგლებში ტექნიკური კონტროლის სამსახურის მუშაკთათვის ხუთწლედში სტაბილური ხელფასის ფონდი წლების მიხედვით დაყოფით მათი ნორმატიული რიცხოვნობისა და მათთვის მინიჭებული შრომის ანაზღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურების შეღავათების გათვალისწინებით. გაადიდონ ეს ფონდი გაერთიანების, საწარმოს ხელფასის ფონდის ზრდის კვალობაზე.

უფლება მიეცეს გაერთიანების, საწარმოს დირექტორის (გენერალური დირექტორის) მოადგილეს ხარისხის დარგში პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით და ტექნიკური კონტროლის სამსახურისათვის გამოყოფილი ხელფასის ფონდის ფარგლებში:

ა) დაუწესოს კონტროლის ოსტატებსა და ტექნიკური კონტროლის სამსახურის სხვა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს დანამატები მაღალი შრომითი მიღწევებისათვის თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით. აღნიშნულ დანამატს გაერთიანების, საწარმოს დირექტორის (გენერალური დირექტორის) მოადგილეს ხარისხის დარგში უწესებს ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელი;

ბ) დაუწესოს მუშა-კონტროლიორებს დანამატები მაღალი პროფესიული ოსტატობისათვის სატარიფო განაკვეთის 50 პროცენტამდე ოდენობით, ხოლო ყველაზე რთული და პასუხსაგები პროდუქციის კონტროლით დასაქმებულ მუშებს, სატარიფო განაკვეთების ნაცვლად, გადიდებული სარგოები: შავ და ფერად მეტალურგიაში, ქვანახშირის მრეწველობაში — 300 მანეთი, მანქანათმშენებლობაში და მასთან გათანაბრებულ დარგებში — 250 მანეთი და მრეწველობის დანარჩენ დარგებში — 230 მანეთამდე თვეში. გადიდებული სარგოების დანამატების ოდენობა განისაზღვრება უხარისხო პროდუქციის გაუშვებლად მუშაობის ხანგრძლივობის შესაბამისად. პრემიები და სხვა მისაცემლები ერიცხებათ ამ მუშებს დადგენილი წესით ზემოაღნიშნული დანამატებისა და გადიდებული სარგოების გათვალისწინებით.

ცალკეულ მაღალკვალიფიციურ მუშებს, რომელთაც აქვთ თავიანთ პროფესიაში არანაკლებ ათი წლის მუშაობის სტაჟი და გადადიან სამუშაოზე კონტროლიორებად, სარგო უწესდებათ მიღებული ან საშუალო ხელფასის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს ზემოაღნიშნული გადიდებული სარგოებისა;

გ) არ მისცეს ტექნიკური კონტროლის სამსახურის მუშაკებს დანამატები იმ პერიოდისათვის, რომელშიც გამოვლინდა მათი მიზეზით უხარისხო პროდუქციის გაშვება:

დ) შეუმციროს უხარისხო პროდუქციის გაშვების შემთხვევაში საკვალიფიკაციო თანრიგები მუშა-კონტროლიორებს ერთი თანრიგით სამ თვემდე ვადით მათი დანაშაულის დონის შესაბამისად;

ე) პრემიების ოდენობა პირდაპირ შეუსაბამოს იმ პერიოდის ხანგრძლივობას, რომელშიც არ აღინიშნება უხარისხო პროდუქციის გაშვება, მცირდება რეკლამაციების რიცხვი, უხარისხო ნაკეთობათა დაბრუნება.

დაუწესოს მუშა-კონტროლიორებს, კონტროლის ოსტატებს და ხარისხის კონტროლის ინჟინრებს, რომლებიც დასაქმებული არიან უშუალოდ საამქრობებში და უბნებზე, დამატებითი შვებულება, სამუშაო დღის ხანგრძლივობა და ღამით მუშაობისათვის ანაზღაურება იმ წესითა და ოდენობით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისად ამ საამქროებისა და უბნების მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩევა მიეცეთ გაერთიანებებსა და საწარმოებს გამოყონ ტექნიკური-კონტროლის სამსახურების კოლექტივების განკარგულებაში მატერიალური წახალისების ფონდის ნაწილი, რომელიც გათვალისწინებულია ამ სამსახურების მუშაკთა პრემირებისათვის სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგების მიხედვით და სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებლების თანახმად, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის წასახალისებლად. გაადიდონ ფონდის ამ ნაწილის ოდენობა გაერთიანების, საწარმოს მატერიალური წახალისების ფონდის ზრდის კვალობაზე.

კონტროლის ოსტატთა და ტექნიკური კონტროლის სამსახურის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ეფექტიანობის შეფასებისას ატესტაციის როლის ამაღლების მიზნით დაწესდეს, რომ იგი ტარდება ორ წელიწადში ერთხელ მაინც. ატესტაცია ჩატარდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 10 დეკემბრის № 1220 დადგენილებით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლებით მუშა-კონტროლიორთა დაინტერესების გასაძლიერებლად ჩატარდეს მათი ატესტაცია იმავე ვადებში, როგორც კონტროლის ოსტატთა და ტექნიკური კონტროლის სამსახურების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ატესტაცია. ატესტაციის შედეგების მიხედვით მიიღება გადაწყვეტილებანი საკვალიფიკაციო თანრიგების გადიდების (შემცირების), დანამატების დაწესების, მათი ოდენობის გადიდების ან შემცირების, დანამატების მთლიანად გაუქმების შესახებ.

რჩევა მიეცეთ გაერთიანებებსა და საწარმოებს:

განსაზღვრონ ოდენობა წლიური მაჩვენებლების მიხედვით მუშაობის საერთო შედეგებისათვის გასამრჯელოსი, რომელიც მიეცემათ ტექნიკური კონტროლის სამსახურების მუშაკებს, გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესაბამისად. ამასთან გაერთიანებათა და საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის სხვა შედეგები არ აღირიცხება;

უპირატესობა მისცენ ტექნიკური კონტროლის სამსახურების მუშაკებს, რომლებმაც არსებითი წვლილი შეიტანეს გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებით უზრუნველყოფის, კოოპერაციული მშენებლობისათვის სესხის, სამკურნალოდ შეღავათიანი და უფასო საგზურების მიღებით გაერთიანების, საწარმოს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ხარჯზე.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მოაწყონ შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტური შეჯიბრება გაერთიანებათა და საწარმოთა ტექნიკური კონტროლის სამსახურების მუშაკ-კონტროლიორთა შორის. გამოიყენონ შეჯიბრების გამარჯვებულთა მიმართ მორალური და მატერიალური წახალისების ის ფორმები, რომლებიც დაწესებულია დარგში ან რესპუბლიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო მიღების ორგანოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების საკითხების შესახებ

შემოღებულ იქნეს სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში სახელმწიფო მიღების ხელმძღვანელის, გაერთიანებებსა და საწარმოებში სახელმწიფო მიღების ორგანოთა უფროსი წარმომადგენლისა და წარმომადგენლის თანამდებობანი.

დაწესდეს სახელმწიფო მიღების ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო შესაბამისი გაერთიანების, საწარმოს მთავარი ინჟინრის თანამდებობრივი სარგოს დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ მთავარ ინჟინერს ეძლევა დანამატი მაღალი შრომითი მიღწევებისათვის (დანამატი მაღალი კვალიფიკაციისათვის, პერსონალური დანამატი, დანამატი მსოფლიო მიღწევების შესაბამისი პროდუქციის მნიშვნელოვანი ხვედრითი წონის უზრუნველყოფისათვის), მაშინ ასეთივე ოდენობის დანამატი შეიძლება დაუწესდეს სახელმწიფო მიღების ორგანოს ხელმძღვანელს მისი კვალიფიკაციისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფაში პირადი წვლილის გათვალისწინებით.

ამასთან შრომის პირობებისათვის თანამდებობრივი სარგოების დანამატები, დამატებითი შვებულებანი და სამუშაო დღის ხანგრძლივობა სახელმწიფო მიღების ორგანოთა მუშაკებს, რომლებიც დასაქმებული არიან პროდუქციის მიღებით უშუალოდ საამქროებში და უბნებზე, უწესდებათ ამ საამქროებისა და უბნების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის გათვალისწინებული წესითა და ოდენობით.

დაწესდეს სახელმწიფო მიღების ორგანოების მუშაკთა ხელფასის კოეფიციენტები (რაიონული, უდაბნო, უწყლო და მაღალმთიან ადგილებში მუშაობისათვის) იმ გაერთიანებათა და საწარმოთა სამრეწველო-საწარმოო პერსონალისათვის გათვალისწინებული წესითა და ოდენობით, სადაც მუდმივად არიან დასაქმებული ამ ორგანოთა მუშაკები.

შეიქმნას სახელმწიფო მიღების ორგანოების მუშაკთა პრემირების ფონდი მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფისათვის ამ ორგანოების ხელფასის ფონდის 30 პროცენტის ოდენობით (თანამდებობრივი სარგოების მიხედვით).

სახელმწიფო მიღების ორგანოების მუშაკთა პრემირება ხორციელდება სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით. ერთი მუშაკის პრემიის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 0,75 თანამდებობრივ სარგოს თვეზე გაანგარიშებით.

სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცოს ერთი თვის ვადაში სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით დებულება მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო მიღების ორგანოების მუშაკთა პრემირების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1986 წლის 12 მაისის № 542 და № 543 დადგენილებებით დაამტკიცა შესაბამისად დებულება გაერთიანებებსა და საწარმოებში პროდუქციის სახელმწიფო მიღების შესახებ და დებულება პრინციპულად ახალ სახეობათა მანქანებისა და მოწყობილობისათვის, ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და მასალებისათვის დამმუშავებელთა სახელის მიკუთვნების წესის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1986 წლის 19 მაისს მიიღო ბრძანებულება, რომელიც სამოქმედოდ შემოღებულია 1986 წლის 1 ივლისიდან. ამ ბრძანებულებით გაძლიერდა მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქციის დამზადების, დაუდევრობით მასალების, ნაკეთობების, ნახევარფაბრიკატებისა და სხვა პროდუქციის გაფუჭების ან განადგურების შედეგად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზარალის გამო.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს განუხრელ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 12 მაისის № 540 დადგენილება „პროდუქციის ხარისხის ძირეული ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა,, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საბჭოთა, პროფკავშირულმა, სამეურნეო ორგანოებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, ყველა შრომითმა კოლექტივმა პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესების თაობაზე პარტიისა და მთავრობის მოთხოვნების პრაქტიკული განხორციელება მიიჩნიონ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემდგომი დაჩქარების და ამ მიზნით წარმოებისა და შრომის ეფექტიანობის ძირეული ამაღლებისათვის სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად.

2. ხუთწლიანი გეგმის დავალებათა რეალიზაციის, საქართველოს სსრ რესპუბლიკაში წარმოებული პროდუქციის ტექნიკური დონის, მისი სამომხმარებლო თვისებებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში მასშტაბური ხარისხობრივი ძვრების უზრუნველყოფის ხანგრძლივ საფუძვლად ჩაითვალოს გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ამაღლების, 1986-1990 წლების დარგობრივი და რეგიონალური პროგრამების დროულად და ხარისხიანად დამუშავება, მის ახალ სახეობათა ათვისება და ასორტიმენტის გაფართოება, აქედან გამომდინარე საწარმოთა რეკონსტრუქციის, ტექნიკური განახლებისა და წარმოების თანამედროვე საშუალებებით დამატებითი აღჭურვის ამოცანების გადაწყვეტა.

საქართველოს სსრ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ყველა შრომითი კოლექტივის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მაღალი ტექნიკური დონის, ხარისხის, რესურსისა და საიმედოობის პროდუქციის წარმოების უზრუნველსაყოფად განისაზღვროს პერსპექტიული საკონსტრუქტორო ნამუშევრების, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების, მათ შორის ენერგიადამზოგველი პროცესების, დაჩქარებული ათვისება წარმოებაში, უახლესი მასალების გამოყენება, მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვა საქმიანობის ყველა სფეროში.

განახორციელონ რაციონალური ტექნიკური პოლიტიკა საწარმოო აპარატის კვლავაღჭურვის პროცესში მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების უზრუნველსაყოფად, 1986-1990 წლებში პროგრესული საბაზო ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოების, წარმოებათა ავტომატიზაციის დონის თითქმის ორჯერ გადიდების, ახალ ეკონომიურ სახეობათა მასალებისა და ნედლეულის ფართოდ გამოყენების თაობაზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა მოთხოვნებიდან გამომდინარე;

ამ მიმართულებით საჭირო წანამძღვრების შექმნით უზრუნველყონ ასათვისებელი მანქანებისა და მოწყობილობის მწარმოებლობის ამაღლება 1,5—2-ჯერ, საწარმოო სიმძლავრეთა სრულყოფის პროცესის დაჩქარება. ამ მიზნით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებებმა და საწარმოებმა გაითვალისწინონ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმებში:

საწარმოო ფონდების განახლება არანაკლებ 35 პროცენტით, მათ შორის მანქანათმშენებლობაში — 45 პროცენტამდე;

ყოველწლიურად მოძველებული და ნაკლებეფექტიანი მოწყობილობის არანაკლებ 3-6 პროცენტის ჩამოწერა, მათ შორის მანქანათმშენებლობაში — არანაკლებ 6-8 პროცენტისა;

ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება, რომელთა მიზანია ახალშექმნილ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების პროცესის დაჩქარება და ახალი საწარმოო ფონდების ათვისების დაჩქარებისადმი კონტროლის სისტემის დანერგვა.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეიმუშაონ 1986 წლის ბოლომდე და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების უზრუნველყოფა მეთორმეტე ხუთწლედის ზემოაღნიშნულ და რესპუბლიკის სამინისტროებისა და

უწყებების მიხედვით დაზუსტებულ დავალებათა შესაბამისად, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დარგებში საკუთარი მანქანათმშენებლობის განვითარებას, რასაც საფუძვლად დაუდონ საქართველოს სსრ საწარმოებში ვიწრო ადგილების ლიკვიდაციის კომპლექსური პროგრამა.

4. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა კონტროლი გაუწიონ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პროდუქციის ხარისხისა და საიმედოობის ამაღლების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის მოქმედი მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შესრულებას, ხოლო ახლის შემუშავებისას გაითვალისწინონ მათში:

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის მაჩვენებლების პროგნოზირება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას;

ხარისხისა და საიმედოობის პრობლემებზე ფუნდამენტურ და გამოყენებით გამოკვლევათა განვითარება;

კონსტრუირების, მოდელირებისა და სადიზაინერო გადაწყვეტილებათა მიღებისას გაანგარიშების ახალი, თანამედროვე მეთოდების შემუშავება და დანერგვა საექსპლუატაციო საიმედოობისა და ესთეტიკური მოთხოვნების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად;

საჭირო საცდელი და საკონტროლო-საზომი მოწყობილობის შექმნა და ნაკეთობათა სასტენდო დამუშავების შესაძლებლობათა გამოყენების არსებითი გაფართოება;

ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება, რომელიც აწესებს პროდუქციის ხარისხის, გამოცდების ორგანიზაციისა და მოცულობისადმი მოთხოვნების წინმსწრებ დონეებს მათი განხორციელების ყველა ეტაპზე;

სამუშაოთა მეტროლოგიური უზრუნველყოფა პროდუქციის კვლევის, დამუშავების, წარმოებისა და ექსპლუატაციის სტადიებზე;

სპეციალური მოთხოვნების შემუშავება შესაქმნელი მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობის, ხელსაწყოების საბაზო კომპონენტებისადმი ხარისხისა და საიმედოობის მიხედვით.

5. სამინისტროებმა, უწყებებმა, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა, საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებებმა და საწარმოებმა ახალი, პროგრესული, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნის ვადების შემცირების მიზნით შეიმუშაონ ლაბორატორიულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ბაზის ტექნიკური კვლავაღჭურვის ღონისძიებანი და 1986 წლის 1 ნოემბრამდე წარუდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინონ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა წარმოუდგინოს განზოგადებული მასალები დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 1 იანვრამდე.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა განახორციელოს 1986-1987 წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან, საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებთან ერთად ყველა საინფორმაციო ორგანიზაციისა და სამსახურის მუშაობის ძირეული გარდაქმნა, ამასთან მხედველობაში იქონიოს ინფორმაციის რესპუბლიკური სისტემის შემდგომი სრულყოფა სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ამსახველი საჭირო მონაცემებით დამმუშავებელთა და ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე მონაცემების ბანკის შექმნა საუკეთესო მსოფლიო ნიმუშების ხარისხისა და საიმედოობის ძირითადი საექსპლუატაციო მონაცემების მაჩვენებლების, აგრეთვე გამოსაშვები და დასამუშავებლად დასაგეგმი პროდუქციის ნომენკლატურის თანახმად მათი შემდგომი სრულყოფის ტენდენციების მიხედვით.

7. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებებმა და საწარმოებმა (დანართი № 1) სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან ერთად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 19 ივნისის № 1242 განკარგულების შესაბამისად შემოიღონ 1987 წლის 1 იანვრიდან არასაუწყებო კონტროლის ახალი წესი — პროდუქციის სახელმწიფო მიღება.

სრულად გამოიყენონ მიმდინარე წლის დარჩენილი პერიოდი, როგორც მოსამზადებელი, და განახორციელონ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რაც უზრუნველყოფს საწარმოთა მუშაობის სტაბილურობასა და რიტმულობას, აგრეთვე კონტროლის გაძლიერებას და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, წარმოების კულტურის ამაღლებას, ამასთან მხედველობაში იქონიონ:

მთელ გამოსაშვებ პროდუქციაზე ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის არსებობის შემოწმება და მისი სრული შესაბამისობა მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნოლოგიური პროცესების. საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური და ნორმატიული დოკუმენტაციის გადასინჯვა და დამტკიცება დადგენილი წესით;

ტექნოლოგიური აღჭურვილობით წარმოების უზრუნველყოფის შემოწმება და საწარმოო საშუალებებით წარმოების სრული აღჭურვისათვის ზომების მიღება დამტკიცებული ტექნოლოგიური პროცესების შესაბამისად და ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვისადმი უმკაცრესი კონტროლის დაწესება;

ტექნიკური კონტროლის სამსახურების საქმიანობის გარდაქმნა, მათი განმტკიცება მაღალკვალიფიციური, პრინციპული და მომთხოვნი მუშაკებით;

ტექნიკური კონტროლის სამსახურების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერება და პასუხისმგებლობის ამაღლება მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების უზრუნველსაყოფად, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 12 მაისის № 541 დადგენილებით;

საკონტროლო-საცდელი სადგურების, ლაბორატორიებისა და საამქროების დამატებითი დაკომპლექტება საჭირო სტენდებითა და ხელსაწყოებით ნორმატიული დოკუმენტებისა და მიღებული ტექნოლოგიური პროცესების შესაბამისად;

პერიოდული და საკონტროლო გამოცდების დროულად ჩატარება პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლების ობიექტური შეფასების მიღების მიზნით;

მოწყობილობისა და აღჭურვილობის იძულებითი დათვალიერებისა და რემონტის გრაფიკების დანერგვა და მკაცრი დაცვა;

ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა საკონტროლო პოსტების უზრუნველყოფა საჭირო დოკუმენტაციით, საზომ-საცდელი საშუალებებით, მოწყობილობით და შემოსული ნედლეულის, მასალებისა და საკომპლექტებელ ნაკეთობათა საწყისი კონტროლის უბნების შექმნა;

საწარმოო პერსონალში თვითკონტროლის მეთოდების გავრცელება და ტექნიკური კონტროლის სამსახურების კონტროლიორთა შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმების დანერგვა.

8. საჭირო მოსამზადებელი მუშაობის დროულად და ხარისხიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე 1987 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო მიღებისათვის პროდუქციის წარსადგენად და ჩასაბარებლად გაერთიანებებისა და საწარმოების მზადყოფნის მიზნით მათ მიერ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელების მიმდინარეობისადმი ჯეროვანი კონტროლის გასაწევად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ზ. ა. ჩხეიძის ხელმძღვანელობით (№ 2 დანართის თანახმად გათვალისწინებული შემადგენლობით).

9. საქართველოს კპ საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებთან, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან ერთად განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, იმისათვის, რათა შეარჩიონ მაღალკვალიფიციური კადრები, რომელთაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ მუშაობის საჭირო გამოცდილება და ღრმა პროფესიული ცოდნა წარმოებების შესაბამისი დარგების სპეციალიზაციის მიხედვით, სადაც განხორციელდება პროდუქციის სახელმწიფო მიღების სამსახურების კომპლექტაცია.

10. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებებმა და საწარმოებმა 1987 წლის შემდგომ პერიოდში იმ დარგებისა და საწარმოების წრის მომავალი გაფართოების გათვალისწინებით, სადაც შემოღებული იქნება პროდუქციის სახელმწიფო მიღება, დასახონ და განახორციელონ 1986-1987 წლებში საჭირო ღონისძიებანი პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხუთწლიან პროგრამასთან დაკავშირებით, იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ პროდუქციის სახელმწიფო მიღებისათვის პროდუქციის ჩასაბარებლად წარმოების დროული მზადყოფნა დამტკიცებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის სრული შესაბამისობით და პირველი წარდგენისთანავე.

11. სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ და მისმა ტერიტორიულმა ორგანოებმა:

უზრუნველყონ რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, გაერთიანებათა და საწარმოთა საქმიანობის კოორდინაცია, რომლის მიზანია გამოსაშვები პროდუქციის ხარისხისა და საიმედოობის სტაბილური მაჩვენებლების, მაღალი ტექნიკური დონის მიღწევა;

განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი სახელმწიფო ზედამხედველობის ქმედითობის ამაღლების, უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის საწარმოთა და გაერთიანებათა მიმართ მომთხოვნელობის გაძლიერების, სტანდარტების მოთხოვნების დარღვევისათვის სასჯელის გარდაუვალობის ვითარების შექმნის მიზნით, ამასთან სრულად გამოიყენონ სახსტანდარტის ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებანი.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა კონტროლი გაუწიონ „ხარისხის“ პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის სამუშაოთა დამთავრებას. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებებმა და საწარმოებმა დაამთავრონ საწარმოებისა და დარგებისათვის „ხარისხის“ პროგრამების შემუშავება და უზრუნველყონ მათი ეტაპობრივი რეალიზაცია, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებას, ამასთან გაითვალისწინონ:

ტექნოლოგიურ პროცესთა მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემების ფართოდ დანერგვა;

პროგრესულ სახეობათა ნამზადების ხვედრითი წონის არსებითი ზრდა;

თანამედროვე საბაზო ტექნოლოგიური პროცესების გამოყენების მკვეთრი გაფართოება, რაც საშუალებას იძლევა მრავალგზის ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება და ძირეულად გაუმჯობესდეს გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე სახეობათა ინსტრუმენტისა და ტექნოლოგიური აღჭურვილობის საწარმოო საამქროებისა და წარმოების მომზადების სამსახურების კომპლექსის სიმძლავრეთა წინმსწრები განვითარება;

მოქმედ წარმოებაში საფინიშო ოპერაციების და საწარმოს საინსტრუმენტო ბაზის პრიორიტეტული აღჭურვა უახლეს სახეობათა მოწყობილობით;

არსებულ სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქცია და ტექნიკური კვლავაღჭურვა, აგრეთვე ახლის მშენებლობა ისეთი პროექტების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებენ თანამედროვე და პერსპექტიული ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობის გამოყენებას.

13. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებებმა და საწარმოებმა პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესების, მისი ტექნიკური დონის ამაღლების, პროდუქციის ატესტაციის როლის გაძლიერების, პროდუქციის ხარისხისა და საიმედოობის შეფასების ახალი მეთოდებისა და საშუალებების წარმოებაში გეგმაზომიერი დანერგვის მიზნით პროდუქციის კონტროლისა და გამოცდის არსებულ და ახლად შესამუშავებელ საშუალებათა ბაზაზე სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან ერთად აამაღლონ სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სამსახურების მუშაობის დონე, ხოლო იქ, სადაც ეს სამსახურები არაა, — დასახონ და შექმნან 1986 წლის ბოლომდე.

საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებმა და უწყებებმა პროდუქციის ატესტაციის ჩატარებისას უზრუნველყონ გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის შეფასების ობიექტურობის ამაღლება და მიიღონ ზომები სახელმწიფო საატესტაციო კომისიებში შესაყვან სპეციალისტთა შერჩევის გასაუმჯობესებლად, გააძლიერონ მათი პასუხისმგებლობა მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის.

14. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებებმა და საწარმოებმა მასობრივი საზოგადოებრივი მოძრაობის ხასიათი მისცენ გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესების პრობლემას და ამ ამოცანების გადაწყვეტაში მშრომელთა ფართო წრის ჩაბმის მიზნით შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელონ ღონისძიებანი საამქროებში და უბნებზე ხარისხის ჯგუფების შესაქმნელად, რომელთა ღონისძიებანი უნდა მოხმარდეს წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის შემდგომ კომპლექსურ სრულყოფას.

15. საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ორგანიზაციებმა საქართველოს სსრ სამინისტროებთან, უწყებებთან და საწარმოებთან ერთად მიიზიდონ სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებრიობის ფართო წრე ხარისხის ამაღლებისა და წარმოების სრულყოფის

საკითხთა გადასაწყვეტად და მოაწყონ 1987 წელს პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების, გამოსაშვებ ნაკეთობათა ტექნოლოგიისა და კონსტრუქციის სრულყოფის მიზნით საუკეთესო საგამომგონებლო და რაციონალიზატორული წინადადების დათვალიერება-კონკურსი.

16. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენამ, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ საქართველოს სსრ სამინისტროებთან, უწყებებთან, გაერთიანებებთან და საწარმოებთან ერთად მაღალეფექტიანი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად რესპუბლიკის მიღწევათა ფართო პროპაგანდის, გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესების ამოცანების გადასაწყვეტად მეურნეობის გაძღოლის ძოწინავე მეთოდების გავრცელების მიზნით მოაწყონ 1987 წლის ოქტომბერში, დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის დღესასწაულისათვის, გამოფენა „საქართველოს სსრ პროდუქცია — მსოფლიო მიღწევების დონეზე“.

17. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ ღონისძიებათა გეგმა იმისათვის, რათა შექმნახ, მოყოლებული 1986 წლიდან, მოწინავე გაერთიანებათა და საწარმოთა ბაზაზე მუშათა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები წარმოების კომპლექსური სრულყოფის, პროდუქციის ატესტაციის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის საკითხთა შესასწავლად.

18. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მქონე გაერთიანებებმა და საწარმოებმა მემოიღონ 1986/87 სასწავლო წლიდან უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა, აგრეთვე სპეციალისტთა და მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ორგანიზაციათა სასწავლო პროგრამებში პროდუქციის ხარისხის ამაღლების ტექნიკურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ პრობლემათა შესწავლა.

19. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტმა შექმნას სამინისტროების, უწყებების ხელმძღვანელ მუშაკთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალური კურსები სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და ხარისხის მართვის საკითხებზე.

20. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის სტანდარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან ერთად, შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების მონაწილეობით უზრუნველყონ სისტემატური სატელევიზიო და რადიოგადაცემები და პრესაში პროდუქციის ხარისხის ძირეული ამაღლებისათვის მოწინავე გამოცდილების გაშუქება.

ფართო პოპულარიზაცია გაუწიონ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების, წარმოების მოწინავეთა, ხარისხის ჯგუფების, ტექნიკური კონტროლის სამსახურების, სახელმწიფო მიღების ორგანოების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის პროდუქციის ხარისხის მაღალი მაჩვენებლების უზრუნველსაყოფად, მკაცრად გააკრიტიკონ წუნის მკეთებლები, ტექნოლოგიური დისციპლინის, სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დამრღვევნი.

*

* *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ გაერთიანებათა, საწარმოთა, სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა მუშამოსამსახურეები, მეცნიერები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ჩვენი საზოგადოების განვითარების გარდამტეხ და პასუხსაგებ ეტაპზე სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესასრულებლად მთელი ღონისძიებების მობილიზაციითა და კონცენტრაციით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა უცილობლივ განახორციელონ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმები და პროდუქციისა და შრომის ხარისხის ძირეული გაუმჯობესების ამოცანები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. ნიკოლსკი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 6 აგვისტო, № 536.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 6 აგვისტოს № 536 დადგენილების დანართი № 1

ნუსხა

გაერთიანებებისა და საწარმოებისა, რომლებშიც შემოღებულ იქნება პროდუქციის სახელმწიფო მიღება

საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო

საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა“.

მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტრო

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხანა;
ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელი ქარხანა;
ბათუმის სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხანა.

მინერალური სასუქების წარმოების სამინისტრო

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტი“.

ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტრო

საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ თბილისის საანალიზო ხელსაწყოთა საცდელი ქარხანა.

ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრო

თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სასხმელი მოწყობილობის ქარხანა;
თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა.

სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრო

ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხანა;
წნორის მექანიკური ქარხანა;
რუსთავის ამწეთსაშენებელი ქარხანა

მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო

ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო

თბილისის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხანა;

თბილისის ქარხანა „მიკროძრავა“;

თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის ქარხანა „ელექტროგამშვები“;

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხანა.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“.

სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო

ქუთაისის ავეჯის კომბინატი;

ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ თბილისის ავეჯის კომბინატი.

სსრ კავშირის ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრო

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო

თბილისის ტელევიზორების ქარხანა „ეკრანი“ — არ უნდა გამოქვეყნდეს.

ელექტრონული მრეწველობის სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 6 აგვისტოს № 536 დადგენილების დანართი № 2

შემადგენლობა

სახელმწიფო მიღებისათვის პროდუქციის წარსადგენად გაერთიანებათა და საწარმოთა მომზადების ხელმძღვანელობი სამუშაო ჯგუფისა

ზ. ა. ჩხეიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ვ. ი. ვადაჭკორია — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ბ. დ. მახარაშვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ო. ვ. მელქაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ბ. ზ. მაყაშვილი — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი;

თ. ი. უჩანეიშვილი — საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი;

გ. ნ. მეძმარიაშვილი — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

გ. გ. ნაკაიძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

რ. გ. ქეცბაია — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილების გამგე;

ლ. ს. კიბაბიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილების გამგე;

გ. კ. ლორთქიფანიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილების გამგე;

თ. ა. მარგველაშვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილების გამგე;

გ. ა. თოთიბაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილების გამგე;

ვ. ა. პატეიშვილი — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ლ. ქართველიშვილი	— სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი;
ლ. ნ. ოკლეი	— საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
მ. ვ. გეგეშიძე	— სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

---

45 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 მაისის № 363 დადგენილების 26-ე პუნქტის მეორე და მესამე აბზაცების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სოფლად მუდმივად მცხოვრებ და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ პენსიონერთა პენსიის ოდენობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 22 მაისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის ცალკეულ გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 24 მაისის № 598 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების და კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 მაისის № 363 დადგენილების 26-ე პუნქტის მეორე და მესამე აბზაცები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნიკოლსკი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 20 აგვისტო, № 554

46 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 18 მარტის № 211 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ „აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 14 ნოემბრის № 1114 დადგენილებით სახელმწიფო აგროსამრეწველო კომპლექსი იგეგმება როგორც ერთიანი მთლიანი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 19 მარტის № 211 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო გეგმების ფორმირებისას გაითვალისწინოს, მოყოლებული 1987 წლიდან, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოსათვის კაპიტალურ დაბან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტების, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა საშუალებების გადაცემა ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების გასამხედროებული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსავითარებლად".

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნიკოლსკი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 19 აგვისტო, № 571

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

47 რესპუბლიკის მოსახლეობის საშენი მასალებით უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გადიდდა ზოგიერთი საშენი მასალის საბაზრო ფონდები, მაგრამ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს განაცხადები მთელ რიგ საშენ მასალებზე არ კმაყოფილდება. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ 1986 წლის საცალო საქონელბრუნვის საქონლით უზრუნველყოფაში ჩათვალა 12 მილიონი მანეთის საშენი მასალები, მაგრამ მიმდინარე წლის 1 აპრილის მდგომარეობით საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გამოყო მხოლოდ 9,4 მილიონი მანეთის ეს მასალები. უფრო მეტიც, არ დაკმაყოფილებულა საშენ აგურზე შემცირებული განაცხადიც კი — ნაცვლად 50 მილიონი ცალისა, გამოიყო მხოლოდ 36 მილიონი ცალი, ანუ 72 პროცენტი. საკედლე ბლოკების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებლები შეადგენს — შესაბამისად — 150 მილიონ პირობით ცალ აგურს, 61,2 მილიონ პირობით ცალ აგურს და 40,8 პროცენტს, საშენი თაბაშირისა — 16 ათას ტონას, 5,5 ათას ტონას და 34,4 პროცენტს, კირისა — 36 ათას ტონას, 15 ათას ტონას და 41,2 პროცენტს და ა. შ.

თუმცა უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სამშენებლო სამინისტროებისა და უწყებების მიერ განხორციელებულ მთელ რიგ ღონისძიებათა შედეგად გაუმჯობესდა საშენ მასალათა და ნაკეთობათა ხარისხი, მაგრამ ჯერ კიდევ ერთობ ხშირია დაბალხარისხოვანი, უსტანდარტო პროდუქციის გამოშვების ფაქტები. 1985 წელს სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს მიერ ჩატარებულ შემოწმებათა შედეგების მიხედვით, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სამტრედიისა და მეტეხის საშენ მასალათა კოიბინატების, გურჯაანისა და საგარეჯოს აგურის ქარხნების მიერ წარმოებული კერამიკული აგური არ შეესაბამება სტანდარტების მოთხოვნებს.

სამტრედიისა და მეტეხის საშენ მასალათა კომბინატებში, ... აგურის ქარხანაში აგურს უშვებენ ამორტიზებულ მოწყობილობაზე, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფს წარმოების ტექნოლოგიის ზუსტ დაცვას. უარეს მდგომარეობაში არიან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საშენი აგურის გამომშვები საწარმოები.

საშენ მასალებზე რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ (ამხ. ქვილითაია) 1986 წლის ბოლომდე უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის საშენი მასალების გამოყოფა მოსახლეობისათვის ძისაყიდად და რესპუბლიკის საძრეწველო საწარმოებისათვის განრიგების დაგზავნა სავაჭრო ორგანიზაციებზე გასაცემად იმ პირობით, თუ ისინი მთლიანად აითვისებენ ამ მასალების გამოყოფილ ძირითად ფონდებს.

2. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ (ამხ. ვაშაძე) და საქართველოს სსრ ადგილობრივი ძრეწველობის სამინისტრომ, (ამხ. ხაჩიძე) საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან (ამხ. მოვსესიანი) და ცეკავშირის გამგეობასთან (ამხ. შავიშვილი) ერთად:

— ერთი თვის ვადაში განიხილონ რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების მიერ საშენ მასალათა საბაზრო ფონდების დასაქონლების საკითხი და მიიღონ ზომები, რომლეიც უზრუნველყოფენ მათს ძთლიანად გაცემას როგორც მოცულობის, ისევე ასორტიმენტის მიხედვით, გაძოყოფილი ფონდების თანახმად;

— სისტემატურად იმუშაონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, აგრეთვე აგურის ქარხნებში ამორტიზებული მოწყობილობის თანდათანობით შეცვლის საკითხებზე.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა (ამხ. შანიძე), საქართველოს სსრ სახმომარაგებმ (ამხ. ქვილითაია), საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ (ამხ. ვაშაძე), საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ (ამხ. ხაჩიძე) საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან (ამხ. მოვსესიანი) და ცეკავშირის გამგეობასთან (ამხ. შავიშვილი) ერთად განიხილონ 1986 წლის ბოლომდე საკითხი საშენი მასალების, განსაკუთრებით სშენი აგურის, საკედლე ბლოკების, თაბაშირის, კირის დამატებით წარმოების და რესპუბლიკის მოსახლეობისათვის მისაყიდად მათი მიწოდების შესანებ.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ (ამხ. მოვსესიანი) და ცეკავშირის გამგეობამ (ამხ. შავიშვილი) დააჩქარონ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული საშენ მასალათა სავაჭრო მაღაზიების (ბაზების) დაპროექტება და საექსპლუატაციოდ გადაცემა 1986-1990 წლებში.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა (ამხ. ლორსამვილი), საქართველოს სსრ სახმომარაგებამ (ამხ. ქვილითაია) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— განახორციელონ მოყოლებული 1987 წლიდან, საჭირო ღონისძიებანი აგურზე, კირზე, ხრეშზე, ღორღზე, ქვიშასა და სხვა დგილობრივ საშენ მასალებზე მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებისათვის;

— განსაზღვრონ, ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, ამ საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ორგანიზაციების განაცხადების მიხედვით სატრანსპორტო საშუალებებით მათი უზრუნველყოფის წესი მყიდველთათვის საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების მისატანად როგორც ვაჭრობის საწარმოთა ბაზებიდან და საწყობებიდან, ისევე დამამზადებელი საწარმოებიდან;

— მიიზიდონ აღნიშნული პროდუქციის მისატანად საერთო სარგებლობის ტრანსპორტი, აგრეთვე კოლმეურნეობების (მათი თანხმობით), საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კუთვნილი ტრანსპორტი.

6. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ შესაბამისმა უწყებებმა განსაზღვრეს მეთორმეტე ხუთწლედისათვის რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხონილება ძირითად საშენ მასალებზე.

7. „კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 მაისის № 562 დადგენილების შესაბამისად:

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ 1987 წლიდან გაითვალისწინონ წლიურ გეგმათა პროექტებში საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსათვის საბაზრო ფონდების მიხედვით ძირითად სახეობათა ხე-ტყის, საშენი, ლაქსაღებავი მასალებისა და სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობის გამოყოფა იმ მოცულობით, რაც მთლიანად უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებას აღნიშნულ მასალებსა და მოწყობილობაზე;

— საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, სავაჭრო საწარმოების მქონე სამინისტროებმა და უწყებებმა ორგანიზაცია გაუწიონ აღნიშნული მასალებისა და მოწყობილობის გაყიდვას მოქალაქეთა წინასწარი განაცხადების მიხედვით, ამასთან მხედველობაში იქონიონ ამ განაცხადების შესრულება (საჭიროების კვალობაზე მასალებისა და მოწყობილობის მყიდველთათვის მიტანით), როგორც წესი, 2 კვირის ვადაში.

8. ნება დაერთოს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს გახსნას საფირმო მაღაზია საშენ მასალათა გასაყიდად.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ განიხილოს აღნიშნული საფირმო მაღაზიისათვის საშენ მასალათა საბაზრო ფონდების გამოყოფის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხი და წარმოუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა (ამხ. ლოლაშვილი), საქართველოს სსრ სახმომარაგებამ (ამხ. ქვილითაია), საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ (ამხ. მოვსესიანი), საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ (ამხ. ვაშაძე), საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ (ამხ. ხაჩიძე), აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ამ დადგენილების შესრულების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის თებერვალში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 4 ივლისი, № 436

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 4 ივლისის № 436 დადგენილ-
ების დანართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხოვნილება

რესპუბლიკის მოსახლეობის ძირითად საშენ მასალებზე 1986-1990 წლებში მოსახლეობისათვის მისაყიდად

	ზომის ერთეული	1986 წელი		მოთხოვნილება წლების მიხედვით			
		მოთხოვნილება	გამოყოფილია	1987 წელი	1988 წელი	1989 წელი	1990 წელი
სამასალე მერქანი	ათასი კუბური მეტრი	300	200	370	380	390	400
დახერხილი ხე-ტყე	"	300	270	390	400	410	420
შიფერი	მილიონი პირობითი ფილა	140	130	145	145	147	150
ცემენტი	ათასი ტონა	250	200	400	420	435	455
შავი ლითონების ნაგლინი	"	10	16	122	27	32	37
არამადნეული მასალები	ათასი კუბური მეტრი	90	90	105	120	135	145
საკედლე მასალები	" მილიონი პირობითი აგური	105	36	118	129	134	145
გაჯი	ათასი ტონა	10	10	15	20	25	30
ლაქსაღებავი მასალები	ათასი მანეთი	13286	10770	13900	14300	14800	15000
სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობა	"	19078	13472	19400	19700	19700	19800

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. რიგვავა

48 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 12 ოქტომბრის № 641 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და მგლის მოპოვებისათვის ტყაობრივი ჯილდოს 100 მანეთამდე გადიდებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ფინანსური სახსრების ეკონომიის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 12 ოქტომბრის № 641 დადგენილება „მგლების განადგურებისათვის დამატებითი წამახალისებელი ჯილდოს გაცემის პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 4 ივლისი, № 438

49 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 30 აპრილის № 310 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის და მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს ნაწილობრივი ცვლილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 30 აპრილის № 310 დადგენილებაში და ჩამოყალიბდეს იგი ახალ რედაქციით:

1. დამტკიცდეს მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიის თანდართული შემადგენლობა.

2. დამტკიცდეს თანდართული დებულება მართვის, დაგეგმვისა და სასამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 4 ივლისი, № 441

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 4 ივლისის № 441 დადგენილებით

შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიისა

ო. გ. ვარძელაშვილი	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);
დ. ნ. დვალიშვილი	— საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი;
ო. ვ. ქვილითაია	— საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარე;
ი. ს. ჟორდანია	— საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;
რ. ვ. ბასარია	— საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი;
ა. ე. გაბისონია	— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მართვის, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფის განყოფილების უფროსი (კომისიის პასუხისმგებელი მდივანი);
რ. ა. ჯაფარიძე	— საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;
ო. გ. კაკაურიძე	— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
მ. ა. მეგრელიშვილი	— საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;
გ. ზ. მირიანაშვილი	— საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე;
ვ. ა. პატეიშვილი	— სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპულიკური კანტორის მმართველი;
ლ. ს. ხარბედია	— საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 4 ივლისის № 441 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიის შესახებ

1. კომისია შექმნილია იმ ღონისძიებათა შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციისათვის, რომელთა მიზანია მართვისა და მეურნეობის გაძღოლის სისტემის კომპლექსური განვითარება, ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების დაგეგმვის ორგანული ერთიანობისა და ეფექტიანი ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა.

2. კომისიის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

ა) მოამზადოს წინადადებანი სახალხო მეურნეობის მართვის შემდგომი სრულყოფის ძირითადი მიმართულებების — დაგეგმვის გაუმჯობესების, ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების ქმედითობის გაძლიერების, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფის შესახებ, აგრეთვე განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი ამ საკითხებზე დადგენილი წესით მოწონებულ წინადადებათა რეალიზაციისათვის;

ბ) უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის მართვის ეკონომიკური მეთოდების როლის ამაღლება და სრულყოფა მისი ინტენსიური განვითარების გზაზე გადასვლის პირობებში;

გ) აამაღლოს მართვის სრულყოფის საკითხებში საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის კოორდინაციის დონე;

დ) განახორციელოს მუდმივი კონტროლი მართვის სრულყოფის საკითხებზე გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი;

ე) სისტემატურად გააანალიზოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ მართვის სრულყოფისათვის გაწეული მუშაობა და მოამზადოს წინადადებანი აღნიშნული მუშაობის დონის ამაღლების შესახებ.

კომისიის წინადადებანი მიზნად უნდა ისახავდნენ საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგის მართვის მეცნიერული დონის ამაღლებას, სახალხო მეურნეობის მართვაში დემოკრატიული ცენტრალიზმის თანამიმდევრულ სრულყოფასა და განვითარებას, რომელიც ერთიან ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობას უხამებს გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობას, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებათა გაფართოებას.

3. კომისია თავისი ფუნქციების შესრულებისას არ უნდა ჩაერიოს სამინისტროთა, უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ოპერატიულ საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებითა და სხვა აქტებით, მათი პრეზიდიუმების ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის № 1290 დადგენილებით შექმნილი მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიის მითითებებითა და გადაწყვეტილებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

5. კომისია ახორციელებს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის მეთოდიკურ ხელმძღვანელობას სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის დარგში, აგრეთვე კონტროლს სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ამ საკითხებზე მეთოდიკური და ნორმატიული აქტების სწორად და ერთნაირად გამოყენებისადმი.

6. კომისია მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) ახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ საქართველოს სსრ ყველა სამინისტრომ და უწყებამ სწორად და დროულად დაიცვას დადგენილი წესით დამტკიცებული აქტები სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის საკითხებზე:

ბ) ამზადებს და ახორციელებს დადგენილი წესით ეკონომიკურ ექსპერიმენტებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში და რეგიონებში, გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში; ამზადებს წინადადებებს ეკონომიკური ექსპერიმენტების შედეგების ფართოდ გავრცელების შესახებ;

გ) ამზადებს წინადადებებს, რომელთა მიზანია რესპუბლიკაში გეგმიანი საქმიანობის დონის კარდინალური ამაღლება, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში გეგმების როლის გაძლიერება;

დ) შეიმუშავებს სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საგეგმო გაანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემის, საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა მართვის ავტომატიზებული სისტემების განვითარებისა და სრულყოფის საფუძველზე, აგრეთვე ამ სისტემათა ურთიერთმოქმედების გაუმჯობესების ღონისძიებებს;

ე) ამზადებს წინადადებებს ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების ქმედითობის გაძლიერების შესახებ, მათ შორის ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნისა და გამოყენების, ეკონომიკური ნორმატივების სისტემის განვითარებისა და დანერგვის წესის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ;

ვ) განიხილავს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ შემუშავებულ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებისა და რეგიონების მართვის სქემების პროექტებს;

ზ) ამზადებს წინადადებებს მართვის სხვადასხვა ორგანოს შორის ფუნქციების ზუსტი გამიჯვნის უზრუნველყოფის, მმართველობის აპარატის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, მისი გამარტივებისა და გაიაფების შესახებ;

თ) განიხილავს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ სახალხო მეურნეობის მართვის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის შემუშავებულ ღონისძიებებს, და იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს;

ი) მეთოდურ ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, სამინისტროთა და უწყებათა შესაბამისი კომისიების საქმიანობას სამეურნეო მექანიზმის, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფისათვის, განიხილავს ამ დარგში უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ გამოკვლევათა გეგმების პროექტებს;

კ) აანალიზებს, განაზოგადებს და ავრცელებს წარმოების დაგეგმვისა და მართვის სრულყოფისათვის სამინისტროთა, უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის მოწინავე გამოცდილებას;

ლ) სწავლობს სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებას დაგეგმვისა და მართვის დარგში და ამზადებს წინადადებებს მისი გამოყენების შესახებ.

7. კომისიას უფლება ენიჭება:

ა) დაამტკიცოს ორგანიზაციულ-მეთოდიკური რეკომენდაციები მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის № 1290 დადგენილებით შექმნილ კომისიასთან შეთანხმებით;

ბ) მოისმინოს თავის სხდომებზე სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელ მუშათა ინფორმაციები სამეურნეო მექანიზმის, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ;

გ) მიიღოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისაგან საჭირო მონაცემები დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ;

დ) მოაწყოს და ჩაატაროს საჭირო შემთხვევებში სამინისტროებში, უწყებებში, გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში დაგეგმვისა და მეურნეობის მართვის სრულყოფის საკითხებზე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებანი და ამ შემოწმებათა შედეგების შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ე) მიიღოს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან კომისიის მუშაობისათვის საჭირო სტატისტიკური მონაცემები;

ვ) მიიზიდოს შესაბამის საკითხთა მოსამზადებლად და განსახილველად სამინისტროთა, უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკები.

8. კომისიის გადაწყვეტილებანი მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ ყველა სამინისტროს, უწ-

ყებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის. ეს გადაწყვეტილებანი მათ ეგზავნებათ კომისიის სხდომათა ოქმების ამონაწერების სახით.

9. კომისიის მუშაობა ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებათა გათვალისწინებით შემუშავებული გეგმების შესაბამისად.

კომისიის წევრები მონაწილეობენ მის სხდომებში შეცვლის უფლების გარეშე.

10. კომისიის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხთა მოსამზადებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში იქმნება კომისიის სამდივნო (საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა დაწესებული საშტატო რიცხოვნობის ფარგლებში).

---

50 ახალგაზრდული კომპლექსებისა და ახალგაზრდებისათვის კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ღონისძიებათა შესახებ

ახალგაზრდობის საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების, მისი შრომითი და შემოქმედებითი აქტიურობის გაძლიერების მიზნით და „ახალგაზრდული კომპლექსებისა და ახალგაზრდობისათვის კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 5 ივლისის № 628 დადგენილებისა და „ახლაგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების დაპროექტებასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ“ მისივე 1986 წლის 12 ივნისის № 690 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1, მიღებულ იქნეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წინადადება, მოყოლებული 1986 წლიდან, ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსებისა და ახალგაზრდობისათვის კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ.

2. დაწესდეს, რომ ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსებისა და ახალგაზრდობისათვის კოოპერაციული საცხოვრებლი სახლების დაპროექტება და მშენებლობა ხორციელდება:

ა) საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წინადადებების მიხედვით, რომლებიც შეთანხმებულია აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტთან, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, რეგიონის დემოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინებით, უპირატესად ასათვისებელ ტერიტორიაზე ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, რომლებიც შესაქმნელ მსხვილ სამრეწველო ან სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან და კომპლექსებთან უშუალოდ ახლოს მდებარეობენ;

ბ) კაპიტალურ დაბანდებათა ფარგლებში:

— რომლებიც გამოეყოფათ ყოველწლიურად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტსა და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის;

— რომლებსაც გადასცემენ რესპუბლიკას საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების დარგების საწარმოები და ორგანიზაციები თავიანთი კოლექტივების ახალგაზრდობისათვის საბინაო მშენებლობაში წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობრივი მონაწილეობის წესით სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის 2 პროცენტის და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის მოცულობის 3 პროცენტის ფარგლებში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოსთან ერთად ყოველწლიურად დააგროვონ აღნიშნული სახსრები და მოახმარონ ისინი ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსებისა და ახალგაზრდობისათვის კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობას საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის წინადადებათა მიხედვით.

3. საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურმა სამინისტროებმა და უწყებებმა, საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც ეწევიან ახალ საწარმოთა მშენებლობას ან არსებულის გაფართოებასა და რეკონსტრუქციას მომუშავეთა რაოდენობის გადიდებით, შექმნან ახალგაზრდული კომპლექსები მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში არასაწარმოო მშენებლობისათვის გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში რეგიონის დემოგრაფიული სიტუაციიდან და ამ დადგენილების მე-2 პუნქტით დაწესებული პირობებიდან გამომდინარე მოცულობით.

საქართველოს სსრ სახმშენმა მშენებარე საწარმოთა პროექტების ექსპერტიზისას უზრუნველყოს კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებისადმი.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სახმშენთან და საქართველოს აღკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად თავისუფალი ტერიტორიების ათვისების პერსპექტიული რეგიონალური გეგმების საფუძველზე შეიმუშაოს წინადადებანი ახალ სასოფლო დასახლებათა დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ, უპირატესად ახალგაზრდული კომპლექსების პრინციპის მიხედვით, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სახსრების, აგრეთვე ამ კომიტეტის მიერ წილობრივი მონაწილეობის წესით მიზიდული სხვა დაინტერესებული სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა გაითვალისწინონ საბინაო მშენებლობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის წლიურ გეგმებში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობისა და ახალგაზრდობისათვის საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის განსახორციელებლად.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ:

ა) 1985 წლის 5 ივლისის № 628 დადგენილებით:

— დაავალა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენბანკსა და რუსეთის სფსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საკავშირო პროფსაბჭოსთან და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად შეიმუშაონ და დაამტკიცონ დებულება ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსის შესახებ, ამასთან გაითვალისწინონ მასში, კერძოდ, რომ აღნიშნული კომპლექსის შემადგენლობაში შედიან საცხოვრებელი სახლები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები;

სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს საკავშირო პროფსაბჭოსთან და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით განსაზღვროს ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსებისათვის ობიექტების ნუსხა და 1986-1987 წლებში შეიმუშაოს და დაამტკიცოს ქვეყნის სხვადასხვა ბუნებრივ-კლიმატური რაიონისათვის ამ ობიექტების მშენებლობის ტიპობრივი პროექტები;

— დააწესა, რომ ახალგაზრდული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები იქმნება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან კომკავშირის რაიონული კომიტეტების წინადადებათა მიხედვით, ხოლო საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან — ამ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წინადადებათა მიხედვით, და თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ „საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 აგვისტოს № 765 დადგენილების შესაბამისად.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად შეიძლება მიღებულ იქნენ 30 წლამდე ასაკის პირები;

— „საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 აგვისტოს № 765 დადგენილების მე-7 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად ნება დართო დაფარონ მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის და აღნიშნული მიზნებისათვის გათვალისწინებული სხვა ფონდების (სახსრების) ხარჯზე იმ მუშაკთა — ახალგაზრდული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა ბანკის კრედიტის დარჩენილი დავალიანება, რომელთაც საწარმოში, დაწესებულებაში იმუშავეს არანაკლებ 5 წელი, ხოლო ახალდაქორწინებულთა — არანაკლებ 2 წელი, შემდეგი ოდენობით:

ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში, უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში და რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფელ ადგილებში — ყოველწლიურად 50 პროცენტი თანხისა, რომელიც უნდა დაიფაროს წლის განმავლობაში;

ქვეყნის სხვა რაიონებში — კოოპერატივში შესვლიდან პირველ 10 წელიწადში ყოველწლიურად 50 პროცენტამდე, ხოლო 10 წლის გასვლის შემდეგ — 30 პროცენტამდე თანხისა, რომელიც უნდა დაიფაროს წლის განმავლობაში;

— ნება დართო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მისცენ დადგენილი წესით კომკავშირული ორგანიზციების რეკომენდაციით და ამ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების თანხმობით მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის და აღნიშნული მიზნებისათვის გათვალისწინებული სხვა ფონდების (სახსრების) ხარჯზე 30 წლამდე ასაკის მუშაკებს, რომლებმაც მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში იმუშავეს არანაკლებ 5 წელი და შევიდნენ ახალგაზრდულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში, უპროცენტო სესხი კოოპერაციული საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად საკუთარი სახსრების თავდაპირველი შეტანისათვის 1500 მანეთამდე ოდენობით 10 წელიწადში დაფარვის ვადით;

ბ) 1986 წლის 12 ივნისის № 690 დადგენილებით:

— დააწესა, რომ:

ახალგაზრდობის უშუალო შრომითი მონაწილეობა ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების დაპროექტებასა და მშენებლობაში შეიძლება განხორციელდეს ძირითადი სამუშაოსაგან მისი როგორც მოწყვეტით, ისევე მოუწყვეტლივ;

საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებშიც გადაყვანილ იქნენ ზემოაღნიშნული მუშაკები ამ სამუშაოთა შესასრულებლად, დაუდებენ მათ ვადიან შრომითს ხელშეკრულებებს. ამასთან არ წყდება ძირითად სამუშაო ადგილზე შრომის სტაჟი, რომელიც იძლევა კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებისა და უპირატესობათა უფლებას;

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან მისცენ ზემოაღნიშნულ მუშა-მოსამსახურეებს ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების დაპროექტებასთან და მშენებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო მისი არარსებობისას — სხვა ტოლფარდი სამუშაო (თანამდებობა) იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში;

მთელი საცხოვრებელი ფართობი ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსის სახლებში მიეცემათ ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც შეასრულეს კომპლექსის დაპროექტებასა და მშენებლობაში შრომითი მონაწილეობის პროგრამა და მუშაობენ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, რომელთა მუშაკებისათვისაც შენდება ეს კომპლექსი. საუწყებო საბინაო ფონდის შემადგენლობაში შემავალი ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსის სახლებში საცხოვრებელი სადგომების მიცემა ხორციელდება შესაბამისი კაპიტალური დაბანდებების გამმყოფი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობ-

ლივი გადაწყვეტილებით ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსის კოლექტივის წარდგენით, და შემდგომ ეცნობება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საცხოვრებელი სადგომების შესასახლებლად გადაცემის შესახებ;

— ნება დართო:

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს გადაიყვანონ (ძირითადი საქმიანობისათვის ზიანის შიუყენებლად) ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურენი, მათი თანხმობით, სხვა საწარმოში, ორგანიზაციაში ამ კომპლექსების დაპროექტებასთან და მშენებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა შესასრულებლად მათი მშენებლობის პერიოდში;

ახალგაზრდულ საცხოვრებელ კომპლექსში საცხოვრებელი სადგომის მიღებამდე ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეებს უნარჩუნდებათ უფლება იმყოფებოდნენ საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე წინანდელ სამუშაო ადგილზე იმ პირობით, თუ დაუბრუნდებიან ამ სამუშაოს;

— დაავალა:

სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობის შესახებ, გადასცენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს კაპიტალური დაბანდებანი ამ კომპლექსების ასაშენებლად მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებული დახარჯვების ასახაზღაურებლად, ამასთან დააწესა, რომ ანარიცხები კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის განსახორციელებლად და ძოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილზე სპორტულ ნაგებობათა ასაშენებლად წარმოებს საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა შემოსავლიდან, რომელსაც იღებენ ისინი ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსის ობიექტების ექსპლუატაციით, გამოიყენება აღნიშნული მიზნებისათვის ამ კომპლექსის კოლექტივთან შეთანხმებით;

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხი იმის შესახებ, რომ შემოიღონ იქ, სადაც მიზანშეწონილია, ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების ობიექტების მომსახურე საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა შტატები სპორტ-ორგანიზატორის თანამდებობანი;

— კონტროლი ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების საქმიანობისადმი დააკისრა ამ კომპლექსების ადგილსამყოფელის მიხედვით სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

6. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აგვისტოს № 573 დადგენილებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 5 ივლისის № 628 დადგენილების მოთხოვნებიდან გამომდინარე, დამტკიცდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ახალი სანიმუშო წესდება, რომელშიც შეტანილია დამატებანი აღნიშნული დადგენილების შესაბამისად.

7. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს სსრ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად 3 თვის ვადაში შეიმუშაოს წინადადებები კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში მშრომელი ახალგაზრდობის, განსაკუთრებით წარმოების მოწინავეთათვის დამატებითი შეღავათების მინიჭების შესახებ და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. სავალდებულოდ ჩაითვალოს ახალგაზრდობის უშუალო შრომითი მონაწილეობა ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობაში.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ სახმშენთან, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად 3 თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად დებულება ახალგაზრდული კომპლექსების კომუნალური და კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ ქვეყნის სხვა ქალაქების გამოცდილებისამებრ, ამასთან გაითვალისწინოს მასში, კერძოდ, კომპლექსების მშენებლობაში ახალგაზრდობის სავალდებულო მონაწილეობის კონკრეტული ხასიათი, დონე და წესი, აგრეთვე არსებული კანონმდებლობის განუხრელი დაცვით ბინების განაწილების პირობები.

9. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საქალაქო მეურნეობის განყოფილებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 8 ივლისი, № 449

51 საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებში საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სტატისტიკური ანგარიშგების ცენტრალიზაციის შესახებ

„ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 მარტის № 358 დადგენილების და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებში სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სტატისტიკური ანგარიშგების შეგროვებისა და დამუშავების ცენტრალიზაციის შესახებ სსრ კავშირის მინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრთა საბჭოს 1986 წლის 14 მაისის დავალების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გავრცელდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის ყოველგვარი საქმიანობის გაერთიანებებზე, საწარმოებზე, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებზე სტატისტიკური ანგარიშების შეგროვებისა და დამუშავების ცენტრალიზაციის მოქმედი წესი, რომელიც განსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 20 ივნისის № 658 დადგენილებით.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში გადასცეს ამ მიზნით საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მუშაკთა რიცხოვნობა და შესაბამისი ხელფასის ფონდი, დანართის თანახმად.

3. იმასთან დაკავშირებით, რომ 1987 წლიდან არსებითად მცირდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოების საგეგმო დოკუმენტაციის, წლიური ანგარიშებისა და ოპერატიული ანგარიშგების მაჩვენებლების რაოდენობა, აეკრძალოთ რესპუბლიკის საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებს მოითხოვონ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისაგან, აგრეთვე მისი საქვეუწყებო ორგანიზაციებისაგან ის ცნობები და ანგარიშები, რომლებიც ცენტრალიზებულია სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში.

4. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ:

— დაამთავროს 1987 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების სატელეტაიპო კავშირით უზრუნველყოფა ყველა ქალაქსა და რაიონში, სადაც არის სააბონენტო ტელეგრაფის სადგურები. იქ, სადაც არ არის ასეთი სადგურები, გამოუყოს იჯარით საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სატელეგრაფო არხები;

— განსაკუთრებული კონტროლი გაუწიოს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსათვის საანგარიშგებო მონაცემების გადაცემის ვადების დაცვას კავშირგაბმულობის ორგანოების მიერ, ამასთან უზრუნველყოს სტატისტიკური ინფორმაციის პრიორიტეტული მიტანა.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987-1990 წლების გეგმებში გაითვალისწინოს ყოველწლიურად საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსათვის კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა 3-4 რაიონული (საქალაქო) საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრისა და სახელმწიფო სტატისტიკის სადგურის დასაპროექტებლად და ასაშენებლად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქაგრომშენმა“ განახორციელოს ზემოაღნიშნული ობიექტების მშენებლობა.

6. სახალხო დეპუტატთა რაიონული (სოფლის ზონის მქონე საქალაქო) საბჭოების აღმასკომებმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაუწიონ სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივ ორგანოებს საჭირო დახმარება კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებაში;

— უზრუნველყონ მათთვის საწარმოო ფართობის გამოყოფა მოქმედი ნორმატივის შესაბამისად;

— დადგან სახელმწიფო სტატისტიკის ყველა ადგილობრივი ორგანოს შენობაში სატელეფონო კავშირის არანაკლებ ერთი დამატებითი აპარატი.

შესრულების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის იანვარში.

7. საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ:

— უზრუნველყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები შესაბამისი ინსტრუქციებითა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით;

— მოაგვაროს სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივ ორგანოებში საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გადაცემა დადგენილი წესით ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებისა და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებებისათვის;

—ორგანიზაცია გაუწიოს აგროსამრეწველო გაერთიანებათა, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის ამსახველი კრებსითი სტატისტიკური ინფორმაციის გაცემას საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტთან შეთანხმებული პროგრამის მიხედვით.

8. საკავშირო სააღრიცხვო გამომცემლობის საქართველოს განყოფილებამ საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შეკვეთით უზრუნველყოს ცენტრალიზებული წესით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემის გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები სტატისტიკური ანგარიშგების ყველა ფორმით.

9. მიღებულ იქნეს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წინადადება და გარდაიქმნას რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული (საქალაქო) ინსპექტურები საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საინფორმაციო-გამოთვლითი მომსახურების რესპუბლიკური გაერთიანება „საქმანქანინფორმის“ საინფორმაციო-გამოთვლით განყოფილებებად გაერთიანების ქვედანაყოფთა უფლებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 18 ივლისი, № 463

52 საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიული სამმართველოებისა და ამ სამმართველოებთან არსებული დირექტორთა საბჭოების ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული ტიპობრივი დებულება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიული სამმართველოებისა და ამ სამმართველოებთან არსებული დირექტორთა საბჭოების შესახებ, რომელიც შემუშავებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 28 მარტის № 195 დადგენილების თანახმად.

2. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცოს შესაბამისი დებულებანი თითოეული ტერიტორიული სამმართველოს შესახებ ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებათა გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 18 ივლისი, № 469

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 18 ივლისის № 469 დადგენილებით

ტიპობრივი დებულება

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიული სამმართველოებისა და ამ სამმართველოებთან არსებული დირექტორთა საბჭოების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიული სამმართველოები იქმნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 28 მარტის № 195 დადგენილების საფუძველზე და წარმოადგენენ საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მართვის ადგილობრივ ორგანოებს.

2. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიული სამმართველოები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სადირექტივო დოკუმენტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

3. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიულ სამმართველოთა საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიული სამმართველოსადმი ხელმძღვანელობა ეკისრება მთავარი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დირექტორს. მთავარ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს ყოველ რეგიონში განსაზღვრავს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი.

4. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიულ სამმართველოთა უფროსები, მათი მოადგილეები და ამ სამმართველოთა ინსპექტორები ინიშნებიან საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებით ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით.

5. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიული სამმართველო არის იურიდიული პირი აქედან გამომდინარე ყველა უფლება-მოვალეობით და აქვს გერბიანი ბეჭედი და შტამპი.

6. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიულ სამმართველოებთან იქმნება დირექტორთა საბჭოები სამმართველოების უფროსთა მეთაურობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიულ სამმართველოთა ძირითადი ფუნქციები

7. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიული სამმართველოები:

— ახორციელებენ კონტროლს საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების აღსაზრდელთა სწავლის, აღზრდისა და მოვლა-პატრონობის პირობებისადმი;

— ორგანიზაციას უწევენ დირექტორთა საბჭოების მუშაობას, რომლის მიზანია კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადება სახალხო მეურნეობის დარგებისათვის, ახორციელებენ ხელმძღვანელობას კოლეგიურობისა და ერთმმართველობის საფუძველზე;

— კოორდინაციას უწევენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა და საბაზო ორგანიზაციათა ერთობლივ მუშაობას რეფორმის ამოცანების შესასრულებლად საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დებულებისა და საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა საბაზო საწარმოს დებულების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 22 თებერვლის № 177 და 178 დადგენილებებით;

— უზრუნველყოფენ სასწავლო გეგმებისა და პროგრამების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ახალგაზრდობით დაკომპლექტების სახელმწიფო გეგმების, კვალიფიციურ მუშათა გამოშვებისა და წარმოებაში მათი დამკვიდრების გეგმების უცილობლივ შესრულებას;

— ყოველმხრივ ხელს უწყობენ წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების სრულყოფას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების ორგანიზაციას საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ბაზაზე, რაც გათვალისწინებულია რეფორმით;

— აანალიზებენ ნახევარი წლისა და მთლიანად სასწავლო წლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგებს, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— უზრუნველყოფენ საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ განსახორციელებელი რესპუბლიკური ღონისძიებების: პედაგოგიური კითხვების, საგნობრივი ოლიმპიადების შინასასწავლებლო და ზონალური ტურების, სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების, პროფესიული ოსტატობის კონკურსების, აგრეთვე მასობრივი რეგიონალური ღონისძიებების ორგანიზაციას;

— სწავლობენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა სასწავლო-საწარმოო ბაზის მდგომარეობას, მათს კავშირურთიერთობას საბაზო საწარმოებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან, ახორციელებენ ღონისძიებებს ამ მიმართულებით მუშაობის სრულყოფისათვის; აყენებენ საკითხს საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა ახალი კომპლექსების მშენებლობის, ცალკეულ შენობათა რეკონსტრუქციის ან მშენებლობის გზით მათი გაფართოების შესახებ;

— უზრუნველყოფენ საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენას დაწესებულ ვადაში და დაწესებული ფორმების მიხედვით; რეგულარულად ამზადებენ ანგარიშს მართვის ძირითადი ფუნქციებით განსაზღვრული საქმიანობის შესახებ საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს კოლეგიის სხდომებზე და თათბირებზე.

8. სამმართველოს უფროსი:

— ხელმძღვანელობს სამმართველოს მთელ საქმიანობას, ახორციელებს სამმართველოსათვის დაკისრებული ამოცანებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობებს და პასუხს აგებს მისი მუშაობისათვის, საგეგმო დავალებათა შესრულების ხარისხისა და ვადებისათვის, შრომის დისციპლინის დაცვისათვის;

— განუსაზღვრავს ინდივიდუალურ დავალებებს სამმართველოს თანამშრომლებს და უზრუნველყოფს მათს შესრულებას, პირადად მონაწილეობს საგეგმო დავალებათა შესრულებაში;

— ორგანიზაციას უწევს მუშაობას სამმართველოს თანამშრომელთა საქმიანი კვალიფიკაციის, სამეცნიერო-პედაგოგიური და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის;

— ნიშნავს მასწავლებლებსა და საწარმოო სწავლების ოსტატებს საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დირექტორთა წარდგენით საკვალიფიკაციო დახასიათებათა მოთხოვნების განუხრელი დაცვით.

III. მუშაობის დაგეგმვა

9. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიულ სამმართველოთა მუშაობის დაგეგმვა დასახული ამოცანების ორგანიზაციული უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

10. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიულ სამმართველოთა საქმიანობა ხორციელდება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და მისი ქვედანაყოფების პერსპექტიული სამუშაო გეგმების შესაბამისად. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიული სამმართველოები ადგენენ პერსპექტიულ წლიურ გეგმებს და მათ საფუძველზე — კვარტალურ გეგმებს.

11. კონტროლს პერსპექტიული და მიმდინარე სამუშაო გეგმების შესრულებისადმი ახორციელებენ პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიული სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილეები.

IV. დირექტორთა საბჭოს მუშაობის წესი

12. დირექტორთა საბჭო არის სათათბირო ორგანო, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიულ სამმართველოთა ორგანიზაციული საქმიანობის წამყვანი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მათ წინაშე დასახული ამოცანების კოლეგიურ განხილვას, ამ ამოცანების შესასრულებლად გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა მიღებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. დირექტორთა საბჭოს სხდომები ტარდება თვეში ერთხელ მაინც, საჭირო შემთხვევებში — საბაზო და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

14. განსახილველ საკითხთა წრის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიულ სამმართველოთა ძირითადი ფუნქციებიდან გამომდინარე კონკრეტული პრობლემები.

15. დირექტორთა საბჭოებს უფლება აქვთ გამოიყენონ საჭიროების კვალობაზე წახალისებისა და დასჯის ღონისძიებანი, ხოლო საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ნომენკლატურაში შემავალ პირთა მიმართ წარუდგინონ წინადადებანი კომიტეტს.

16. დირექტორთა საბჭოები განიხილავენ ზემდგომი ორგანოების სადირექტივო მითითებათა შესრულების გზებს და საჭიროების კვალობაზე შეაქვთ საკითხები საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის სხდომის განსახილველად.

17. დირექტორთა საბჭოს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებანი ფორმდება ოქმებით სპეციალურ წიგნში, რომელიც უნდა ინახებოდეს პროფესიულ-ტექნიკური განათლების ტერიტორიულ სამმართველოში ხუთი წლის განმავლობაში.

18. კონტროლი დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი ხორციელდება ადგილებზე შემოწმების, ცნობებისა და სხვა საინფორმაციო მასალების მიღების გზით.

---

53 კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის შემდგომი განვითარების მიზნით და „კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 მაისის № 562 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ 1986-1990 წლებში საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მიწის ნაკვეთების მიცემა დადგენილი წესით კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად 54 ათასი ოჯახისათვის, მათ შორის 1986 წელს — 10 ათასი, 1987 წელს — 10 ათასი, 1988 წელს — 11 ათასი, 1989 წელს — 11 ათასი და 1990 წელს — 12 ათასი ოჯახისათვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 მაისის № 562 დადგენილების შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭომ, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ:

— კოლექტიური ბაღების განლაგების სქემის შემუშავება და დამტკიცება 1986 წლის 1 დეკემბრისათვის ამ დადგენილების 1-ლი პუნქტით დაწესებული რაოდენობით;

— მებაღეობის ამხანაგობებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით კოლექტიური ბაღების ტერიტორიის ორგანიზაციისა და განაშენიანების პროექტების შედგენა (შემუშავება);

— მებაღეობის ამხანაგობათა სახსრების ხარჯზე სამელიორაციო, აგროქიმიურ და სხვა სამუშაოთა განხორციელება ამ ამხანაგობებისათვის გამოყოფილი მიწების გასაუმჯობესებლად.

3. დაეკისროთ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტსა და მის ადგილობრივ ორგანოებს ხილ-კენკროვანი, ბოსტნეული, ყვავილოვანი და სხვა კულტურების სარგავი მასალითა და თესლით კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა უზრუნველყოფის ორგანიზაცია (მათი განაცხადების მიხედვით).

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა უზრუნველყოს ხილ-კენკროვანი კულტურების სარგავი მასალის წარმოება მოსახლეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათვის მისაყიდად მეთორმეტე ხუთწლედში საშუალოდ წელიწადში 700 ათასი ცალი ხეხილისა, მათ შორის 300 ათასი ცალი თესლოვანი და 400 ათასი ცალი კურკოვანი ხილისა, აგრეთვე 2600 ათასი ცალი კენკროვანი კულტურებისა, მათ შორის 2200 ათასი ცალი მარწყვისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 მაისის № 562 დადგენილების თანახმად.

4. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ:

— საჭირო ღონისძიებათა განხორციელება იმისათვის, რათა სრულად დაკმაყოფილდეს, მოყოლებული 1987 წლიდან, მოსახლეობის მოთხოვნილება აგურზე, კირზე, ხრეშზე, ღორღზე, ქვიშასა და სხვა ადგილობრივ საშენ მასალებზე;

— კოლექტიურ ბაღებში საზაფხულო საბაღე სახლებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობის სამუშაოთა და მომსახურების მოცულობის გაფართოება, მათ შორის კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა სავაჭრო, სატრანსპორტო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ნაგებობათა დამთავრებული და გამზადებული სახით („გასაღებით") ჩაბარება;

— ბალონებში ჩასხმული თხევადი გაზის მიყიდვა მებაღეთა საჭიროებისათვის, აგრეთვე მისი მიტანის ორგანიზაცია უშუალოდ მებაღეობის ამხანაგობებში (მათი განაცხადების მიხედვით).

5. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გააუმჯობესონ კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობების წევრთა სატრანსპორტო მომსახურება, ამასთან საჭიროების კვალობაზე დააზუსტონ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის განრიგი, შეცვალონ და გახსნან ახალი სატრანსპორტო მარშრუტები კოლექტიური ბაღებისა და ბოსტნების განლაგების ადგილებში.

6. ცეკავშირის გამგეობამ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქციის შესყიდვა კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა წევრებისა და სხვა მოქალაქეებისაგან;

— ორგანიზაცია გაუწიონ სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მებაღეობის ამხანაგობებთან ხელშეკრულებების დადებას, რომლებიც გაითვალისწინებენ მხარეთა ურთიერთვალდებულებებს კოლექტიურ ბაღებსა და ბოსტნებში მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მისაღებად, გასაყიდად და გასაზიდად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, საქართველოს ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ მებაღეობის ამხანაგობებს სოფლის მეურნეობის წარმოებული ნამეტი პორდუქციის საბავშვო ბაღების, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების, აგრეთვე საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებისათვის ნებაყოფლობითი უსასყიდლო გადაცემის ორგანიზაციაში.

7. საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭომ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი:

— მუშა-მოსამსახურეების მებაღეობის ამხანაგობათა ტიპობრივ წესდებებში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ;

— მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის შესახებ.

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი, აგრეთვე მე-9 პუნქტის მეორე, მესამე და მეოთხე აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 29 მარტის № 215 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოწყობის მოწესრიგების შესახებ“.

9. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ „კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ თავისი 1986 წლის 15 მაისის № 562 დადგენილებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ:

ა) მიიღო სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს წინადადება 1986-1990 წლებში მოსახლეობისათვის მისაყიდად არანაკლებ 530 ათასი საზაფხულო საბაღე სახლის წარმოების შესახებ;

ბ) დაავალა:

— სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — გაითვალისწინოს წლიურ გეგმებში სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის დავალება იმის შესახებ, რომ აწარმოონ ზემოაღნიშნული რაოდენობის საზაფხულო საბაღე სახლები, აგრეთვე გამოუშვან სავაჭრო ორგანიზაციათა განაცხადების შესაბამისად ასეთი სახლებისათვის სამშენებლო დეტალების კომპლექტები, ხოლო საზაფხულო საბაღე სახლების დამამზადებელმა საწარმოებმა მიჰყიდონ ისინი პირველ რიგში მოცემულ საწარმოთა მუშებსა და მოსამსახურეებს — მებაღეობის ამხანაგობათა წევრებს;

— სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში დაადგინოს ზემოაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნული საწარმოების მუშა-მოსამსახურეთათვის საზაფხულო საბაღე სახლების მიყიდვის წესი;

— სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახმომარაგებას — მოყოლებული 1987 წლიდან გაითვალისწინონ გეგმების პროექტებში სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსათვის საბაზრო ფონდების მიხედვით ძირითად სახეობათა ხე-ტყის, საშენი, ლაქსაღებავი მასალებისა და სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობის გამოყოფა იმ მოცულობით, რაც მთლიანად უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებას აღნიშნულ მასალებსა და მოწყობილობაზე;

— სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, „ცენტროსოიუზს", სავაჭრო საწარმოების მქონე სამინისტროებსა და უწყებებს, — ორგანიზაცია გაუწიონ აღნიშნული მასალებისა და მოწყობილობის გაყიდვას მოქალაქეთა წინასწარი განაცხადების მიხედვით, ამასთან მხედველობაში იქონიონ ამ განაცხადების შესრულება (საჭიროების კვალობაზე მასალებისა და მოწყობილობის მყიდველთათვის მიტანით), როგორც წესი, ორი კვირის ვადაში;

გ) დააწესა, რომ:

— საზაფხულო საბაღე სახლებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობისა და რემონტის, მიწების მელიორაციის, გზების მშენებლობის, ელექტრიფიკაციის, წყალმომარაგების, სატრანსპორტო მომსახურებისა და სხვა სამუშაოები, რომელთაც ასრულებენ მებაღეობის ამხანაგობებისათვის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებისთვისაც მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გაწევა ძირითად საქმიანობას არ წარმოადგენს, ხორციელდება „იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მოსახლეობისათვის გაწეული ფასიანი მომსახურების გაფართოების ღონისძიებათა შესახებ, რომლებისთვისაც ამ მომსახურების გაწევა ძირითად საქმიანობას არ წარმოადგენს" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 31 ივლისის № 716 დადგენილებით გათვალისწინებული წესით (სსრკ დადგ. კრებ., 1985 წ., № 25 ,მუხ. 228) და აღირიცხება ამ საწარმოებისა და ორგანიზაციის მიერ მოსახლეობისათვის გაწეული ფასიანი მომსახურების რეალიზაციის მოცულობაში;

— დიდი სამამულო ომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის სხვა საბძოლო ოპერაციების მონაწილე არამომუშავე პირები იმ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც გადიოდნენ სამსახურს მოქმედი არმიის შემადგენლობაში შემავალ სამხედრო ნაწილებში, შტაბებსა და დაწესებულებებში, და პარტიზანები, აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ვეტერანები — არამომუშავე პენსიონერები ოფიცერთა შემადგენლობის პირთა რიცხვიდან, რომელთაც უმწიკვლოდ იმსახურეს სამხედრო სამსახურში არანაკლებ 25 კალენდარული წელი დათხოვნილ იქნენ ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან ასაკის, ავადმყოფობის, შტატების შემცირების ან ჯანმრთელობის შეზღუდული მდგომარეობის გამო, მიიღებიან დადგენილი წესით ორგანიზებულ მებაღეობის ამხანაგობებში, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა, სახალხო დეპუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომების წარდგენით მუშაკთ ბის ამხანაგობის წევრთა რაოდენობის 20 პროცენტამდე ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 18 ივლისი, № 473

54 საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთბოკომუნენერგოს“ შექმნის შესახებ

„საქრთველოს სსრ ქალქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების თბოენერგეტიკული მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 21 დეკემბრის № 835 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და შეიქმნას 1986 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან რესპუბლიკის თბომომარაგების სისტემათა ექსპლუატაციისა და რემონტის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთბოკომუნენერგო“ სამინისტროს თბომეურნეობის სამმართველოსა და მისი საქვეუწყებო სპეციალიზებული ორგანიზაციების ბაზაზე.

2. გარდაიქმნას 1986 წლის 1 აგვისტოდან ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების თბოფიკაციის სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო უბანი რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანება „საქთბოკომუნენერგოს“ სარემონტომექანიკურ ბაზად.

3. დამტკიცდეს ახალშექმნილი რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთბოკომუნენერგოს“ სტრუქტურა.

4. ქუთაისის, რუსთავის, გორის, ჭიათურის, ფოთის, ზუგდიდის, თელავის, გურჯაანის, ბორჯომის, ახალციხის, ონის, კასპის, ხაშურის, მახარაძის, სამტრედიის, წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომების კომუნალური განყოფილებების (კომუნალურ საწარმოთა კომბინატების) თბომეურნეობის სპეციალიზებული ორგანიზაციები დაექვემდებარონ უშუალოდ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამი-

ნისტროს რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანებას „საქთბოკომუნენერგოს“ და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

დანარჩენ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში დარჩეს თბომეურნეობის ობიექტების მართვის არსებული სტრუქტურა.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, მოყოლებული 1987 წლიდან, სიმძლავრეთა ზრდის კვალობაზე შექმნას დადგენილი წესით რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „სქთბოკომუნენერგოს“ თბომეურნეობის სპეციალიზებული საწარმოები.

5. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, როგორც გამონაკლისი, გამოუყოს 1986 წელს დამატებით საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ახალშექმნილი რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთბოკომუნენერგოსათვის“ ზღვრული ასიგნებანი 16 ათასი მანეთის ოდენობით.

6. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ დაამტკიცოს 1986 წლის 15 აგვისტომდე დადგენილი წესით რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთბოკომუნენერგოს“ საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა, აგრეთვე დებულება აღნიშნული გაერთიანების შესახებ.

7. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან ერთად განიხილონ და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ წინადადება შესაბამის საწარმოო გაერთიანებათა შექმნის შესახებ.

8. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომლებსაც აქვთ საქვეუწყებო საქვაბეები და თბოქსელები (სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების გამგებლობაში არსებული თბომომარაგების სისტემების, აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა თბომომარაგების სისტემების გარდა, თუ ეს სისტემები ტექნიკური და ტერიტორიული მდგომარეობის გამო არ შეიძლება გამოიყოს საწარმოთა შემადგენლობიდან), მოიყვანონ ექსპლუატაციისათვის საჭირო ტექნიკურ მდგომარეობაში საქვაბეები, თბოპუნქტები, მაგისტრალური და სარიგებელი თბოქსელები (შენობებში შემყვანთა პირველ საკვალთებამდე) და გადასცენ ბალანსიდან ბალანსზე საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანებას „საქთბოკომუნენერგოს“ ძირითადი და საბრუნავი ფონდებით, მექანიზმებით, საშტატო ერთეულებითა და მათი შენახვის ზღვრული ასიგნებებით.

9. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს წინადადება საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ თბომეურნეობის ობიექტების რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთბოკომუნენერგოსათვის“ გადაცემის წესის შესახებ.

10. ნება დაერთოს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკის თბოენერგეტიკული მეურნეობის განვითარებაში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსახორციელებლად გამოიყენოს ყოველწლიურად რესპუბლიკის ბიუჯეტიდან საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი სახსრები 1,2 მილიონი მანეთის ოდენობით საქვაბეებისა და თბოქსელების კაპიტალური რემონტისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა ტექნიკური დოკუმენტაციის შესადგენად, აგრეთვე აღნიშნულ სამუშაოთა საწარმოებლად.

11. საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარმა საწარმოო სამმართველომ:

— გადასცეს რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანებას „საქთბოკომუნენერგოს“ საწყისი მასალები რესპუბლიკის მომხმარებელთა თბომომარაგების კოორდინაციის, დაგეგმვისა და განვითარების სამუშაოთა განსახორციელებლად;

— დააჩქაროს იმ ქალაქების თბომომარაგების სქემების შემუშავება და დამტკიცება, რომელთა მოსახლეობა შეადგენს 100 ათას კაცს და მეტს, და გადასცეს აღნიშნული სქემები რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანებას „საქთბოკომუნენერგოს“.

12. საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ თბომომარაგების სქემების შემუშავებისას გაითვალისწინონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია თბომომარაგების ეფექტიანობის ამაღლება და მეორეული და დაბალპოტენციური ენერგორესურსების, გეოთერმული და მზის ენერგიის გამომყენებელი ენერგეტიკული ობიექტების აგება.

13. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ განუწყვეტლივ გაუწიონ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დახმარება მასალების, მოწყობილობის, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების გამოყოფაში თბომომარაგების ობიექტების აღსაჭურვად, წარმოდგენილი დასაბუთებული განაცხადების თანახმად.

14. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, რომ გამოუყოს 1986 წელს რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანებას „საქთბოკომუნენერგოს“ ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონში სამეურნეო ეზოსა და სარემონტო-მექანიკური ბაზის შესაქმნელად საჭირო ტერიტორია, რომელიც ეკვრის საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ექსპერიმენტულ სარემონტო-მექანიკურ ქარხანას, აგრეთვე აღნიშნული გაერთიანების სამსახურებრივი სადგომით უზრუნველყოფის საკითხი.

15. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, რომ გამოყოს 1986 წელს შესაბამისი ტერიტორია და სადგომი რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთბოკომუნენერგოს“ სარემონტო-მექანიკური ბაზის მოსათავსებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ (ამხ. ...) განიხილოს და გადაწყვიტოს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთბოკომუნენერგოსათვის“ დამატებით საქალაქო ავტომატური ტელეფონის სადგურის 10 ტელეფონისა და პირდაპირი საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის 1 ტელეფონის დადგმის საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 25 ივლისი, № 488

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 25 ივლისის № 488 დადგენილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთბოკომუნენერგოსი“

ხელმძღვანელობა
საწარმოო-ტექნიკური განყოფილება
საგეგმო-ეკონომიკური განყოფილება
პერსპექტიული განვითარების განყოფილება
თბოინსპექცია
მომარაგებისა და კომპლექტაციის განყოფილება
ცენტრალური ბუღალტერია

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანებას „საქთბოკომუნენერგოს“ ექვემდებარებიან შემდეგი საწარმოები და ორგანიზაციები:

ექსპერიმენტული სარემონტო-მექანიკური ქარხანა
გაშვება-გამართვისა და ავტომატიკის სამმართველო
ქ. ქუთაისის სარემონტო-მექანიკური ბაზა
ქ. ქუთაისის თბომეურნეობის სამმართველო
ქ. რუსთავის თბომეურნეობის სამმართველო
ქ. ფოთის თბომეურნეობის საექსპლუატაციო-სარემონტო კანტორა
ქ. ჭიათურის თბომეურნეობის საექსპლუატაციო-სარემონტო კანტორა
ქ. გორის თბომეურნეობის საექსპლუატაციო-სარემონტო კანტორა
ქ. თელავის თბომეურნეობის საექსპლუატაციო-სარემონტო კანტორა
ქ. გურჯაანის თბომეურნეობის საექსპლუატაციო-სარემონტო კანტორა
ქ. კასპის თბომეურნეობის საექსპლუატაციო-სარემონტო კანტორა
ქ. ხაშურის თბომეურნეობის საექსპლუატაციო-სარემონტო კანტორა
ქ. ბორჯომის თბომეურნეობის საექსპლუატაციო-სარემონტო კანტორა
ქ. ახალციხის თბომეურნეობის საექსპლუატაციო-სარემონტო კანტორა
ქ. სამტრედიის თბომეურნეობის საექსპლუატაციო-სარემონტო კანტორა
ქ. წყალტუბოს თბომეურნეობის საექსპლუატაციო-სარემონტო კანტორა
ქ. მახარაძის თბომეურნეობის საექსპლუატაციო-სარემონტო კანტორა
ქ. ზუგდიდის თბომეურნეობის საექსპლუატაციო-სარემონტო კანტორა
ქ. ონის თბომეურნეობის საექსპლუატაციო-სარემონტო კანტორა

ადგილსამყოფელი: ქ. თბილისი — 380025, ფიროსმანის ქუჩა, 48. სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულების მისამართი, ქ. თბილისი — 380002; სსრ კავშირის სახბანკის ოქტომბრის განყოფილება, საანგარიშსწორებო ანგარიში — 50888. რაიფინგანი — სსრ კავშირის სახბანკის ოქტომბრის განყოფილება, ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა, 2, საანგარიშსწორებო ანგარიში — 101300.

55 აბაკანის ვაგონთმშენებლობის საწარმოო გაერთიანების ობიექტების მშენებლობაზე დასაქმებულ მუშაკთათვის საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაუჯავშნონ სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციათა და საწარმოთა მუშაკებს, რომლებიც დასაქმებული არიან აბაკანის ვაგონთმშენებლობის საწარმოო გაერთიანების ობიექტების მშენებლობის სამუშაოებზე, მათ მიერ მუდმივსაცხოვრებელ ადგილზე დაკავებული საცხოვრებელი ფართობი (მიუხედავად მისი უწყებრივი კუთვნილებისა) მშენებლობაზე მათი მუშაობის მთელი პერიოდისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 28 ივლისი, № 493

56 ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების შექმნის შესახებ

საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროთ 1986 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს რევიზიების ჩატარებისა და შემოწმებათა განხორციელების ფუნქციები „სამინისტროებში, უწყებებსა და მმართველობის სხვა ორგანოებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 2 აპრილის № 325 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 21 დეკემბრის № 862 დადგენილებათა და მოთხოვნების შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამისად და შეიქმნას მათს შემადგენლობაში საკონტროლო-სარევიზიო სამსახურები.

2. დაევალოთ აღნიშნულ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს განაზოგადონ და განამტკიცონ საქვეუწყებო ორგანიზაციებში რევიზიების ჩატარების დაწესებული პერიოდულობის დაცვის ნაწილში, აგრეთვე მათი ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობის დადებითი გამოცდილება.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გადასცეს აღნიშნულ სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტს საკონტროლო-სარევიზიო აპარატი 1986 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, № 1 დანართის თანახმად.

4. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებანი ზემოაღნიშნული სამინისტროებისა და კომიტეტის, აგრეთვე საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მმართველობის აპარატის შენახვის 1986 წლის ხარჯთაღრიცხვებში, სამივლინებო ხარჯების ლიმიტებსა და საშტატო განრიგებში, № 2 დანართის თანახმად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გაუწიოს აღნიშნულ სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტს საჭირო პრაქტიკული დახმარება საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების შექმნასა და მათი ეფექტიანი საქმიანობის მაქსიმალურ დაჩქარებაში, აგრეთვე მეთოდიკური დახმარება რევიზიების ჩატარებაში.

6. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ ანალოგიური ორგანიზაციულ-სტრუქტურული გარდაქმნები ამ დადგენილების შესაბამისად.

7. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საქართველოს სსრ მთავრობის მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებში შესატანი ცვლილებების შესახებ.

8. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა 1986 წლის სექტემბერში მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, ხოლო 1987 წლის მარტში — თავიანთი საკონტროლო-სარევიზიო აპარატის 1986 წლის მუშაობის შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 28 ივლისი, № 494

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 28 ივლისის № 494 დადგენილების
ნილების დანართი № 1

საკონტროლო-სარევიზიო აპარატი,

რომელსაც გადასცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო რესპუბლიკის სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტს

სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტის დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა	თვიური ხელფასის ფონდი—სულ (მანეთი)
უმცირდება		
საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს . . .	26	4554
უდიდდებათ		
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს . . .	6	1040
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს .	4	720
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს .	10	1734
საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს . .	4	720
საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს . .	2	350

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 28 ივლისის № 494 დადგენილების დანართი № 2

ცვლილებები,

რომლებიც უნდა იქნეს შეტანილი საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტის მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯთაღრიცხვებში 1986 წლის 1 აგვისტოდან

(მანეთი)

სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტის დასახელება	სულ ხარჯები 1986 წლის ბოლომდე	მათ შორის:		
		ხელფასის ფონდი	სხვა ხარჯები (მე-2 და მე-3 მუხლები)	სამივლინებო ხარჯები
უმცირდება				
საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს . .	31350	22820	6580	1950
	31350	22820	6580	1950
უდიდდებათ				
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს . .	7165	5209	1515	450
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს . .	4918	3600	1018	300
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს . .	11945	8670	2525	750
საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს . .	4918	3600	1018	300
საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს . . .	2404	1750	504	150

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

57 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის დ. ნ. უზნაძის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება და დაწესდეს დიმიტრი ნიკოლოზის ძე უზნაძის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მისი სახელობის ერთი პრემია 2500 მანეთის ოდენობით, რომელიც მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპრემიო ფონდიდან საუკეთესო ნამუშევრებს ფსიქოლოგიის დარგში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 4 აგვისტო, № 531

58 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 1 აგვისტოს № 434 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 22 მაისის № 585 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს „საცხოვრებელი სახლების ელექტროქსელების სიმძლავრის გადიდების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 1 აგვისტოს № 434 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილება და მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „... ამ მანქანებისა და ხელსაწყოების დაპროექტების დავალებანი და...“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 19 აგვისტო, № 553

ეროვნული ბიბლიოთეკა

59 უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და განუხრელ შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 მაისის № 575 დადგენილება „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ (თან ერთვის).

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა შეიმუშაონ და განახორციელონ ეფექტიან ღონისძიებათა კომპლექსი იმისათვის, რომ:

— გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-დატაცების, უყაირათობის, მექრთამეობის, სპეკულაციისა და სხვა ანგარებითი დანაშაულებების წინააღმდეგ, უზრუნველყონ ამ ხეგატიური მოვლენების წარმომშობი მიზეზებისა და პირობების ლიკვიდაცია;

— დაამყარონ საქვეუწყებო სამეურნეო ორგანიზაციებში სახელმწიფო წესრიგი მატერიალური და ფინანსური რესურსების აღრიცხვის, შენახვისა და ხარჯვის საქმეში, გააძლიერონ კონტროლი მეურნეობის გაძღოლის ყველა რგოლში, უზრუნველყონ სოციალისტური საკუთრების სრული დაცვა;

— აამაღლონ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა წესრიგის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, გააძლიერონ ბრძოლა მფლანგველობისა და დანაკარგების წინააღმდეგ, უზრუნველყონ უმკაცრესი ეკონომია მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების გამოყენების საქმეში;

— განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი თვალისახვევისა და წამატებათა აღსაკვეთად. მთლიანად აანაზღაურონ პრემიებისა და სხვა ჯილდოების უკანონო გაცემით, აგრეთვე გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალური წახალისების ფონდში და სხვა ანალოგიურ ფონდებში სახსრების გადარიცხვით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი, მიუხედავად სხვა დაწესებული ზომების გამოყენებისა;

— შეიმუშაონ და დანერგონ მატერიალური და შრომითი დანახარჯების, მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენების ტექნიკურად და ეკონომიკურად დასაბუთებული ნორმები. სისტემატური კონტროლი გაუწიონ ამ ნორმების დაცვას და გადახარჯვის გამოვლენისას მიიღონ საჭირო ზომები ზარალის ასანაზღაურებლად და შემდგომში მისი დაუშვებლობისათვის;

— უზრუნველყონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს დაჩქარებული განვითარება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამის შესახებ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 დეკემბრის № 860 დადგენილების შესაბამისად: გამონახონ რეზერვები და დამატებითი შესაძლებლობანი, რათა გაადიდონ წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების გაწევის მოცულობა, გააუმჯობესონ მათი ხარისხი, ოპერატიულად აღმოფხვრან ცალკეული საქონლისა და მომსახურების დეფიციტი;

— გააძლიერონ კონტროლი საუწყებო საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების მუშაობისადმი. მკაცრი პასუხი მოსთხოვონ იმ რევიზორებს, რომლებსაც არ გამოუვლენიათ არსებული დარღვევები და ბოროტმოქმედებანი, პრაქტიკაში შემოიღონ შერჩევით გადამოწმებათა ჩატარება შემოწმებათა და რევიზიათა ხარისხისათვის რევიზორების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად;

— დააწესონ მუდმივი და ქმედითი კონტროლი საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში სატრანსპორტო საშუალებების, მექანიზმების, ელექტროენერგიის, გაზის, სხვა სათბობის კანონიერად და დასაბუთებულად გამოყენებისადმი, არ დაუშვან მათი გაცემა კერძო პირთა გამდიდრებისა და პირადი გამორჩენის მიზნით. გადაკეტონ აღურიცხავი პროდუქციის შესაძლო დამზადების, ნედლეულის, მასალებისა და საწარმოო სიმძლავრეთა უკანონო ხარჯვის არსები;

— უზრუნველყონ სავაჭრო, სანახაობით, სატრანსპორტო, თეატრალურ, საკონცერტო, საატრაქციონო, საბინაო-კომუნალური და სხვა დაწესებულებათა და საწარმოთა, აგრეთვე საყოფაცხოვრებო და საწესჩვეულებო მომსახურების ორგანიზაციათა და საწარმოთა ნავაჭრი თანხების მთლიანად ამოღება.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ 3 თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი:

— მოსახლეობის მიერ პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებული ნამეტი ხორცის, რძის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის სახელმწიფო და კოოპერაციული დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის მიყიდვის განვითარებისა და წახალისების შესახებ ამ პროდუქციის წარმოების ადგილებში;

— მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში პროდუქტიული პირუტყვის რაოდენობისა და სახეობათა ცალკეული შეზღუდვების მოხსნის და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით პირუტყვის ყოლის ზღვრული ნორმების შესახებ;

— მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვის ყოლის დადგენილი ნორმებისა და წესის განუხრელი დაცვისადმი კონტროლის გაძლიერებისა და მათი დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების, დაბებისა და სოფლების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ზომები საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობის გასაუმჯობესებლად, ამ ბაზრებში ვაჭრობის გასაფართოებლად, რომელსაც ეწევიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამომხმარებლო კოოპერაცია, ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის გასაძლიერებლად, სპეკულაციის ფაქტების აღსაკვეთად. ფართოდ გამოიყენონ „სამომხმარებლო კოოპერაციის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 9 იანვრის № 40 დადგენილებით მინიჭებული უფლება-მოვალეობანი.

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტთან ერთად 2 თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საკოლმეურნეო ბაზრებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით დასაქმებულ პირთა აღრიცხვის ზუსტი წესის დადგენის, ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის, სპეკულაციისა და უშრომელი შემოსავლის მიღების სხვა ფორმების თავიდან აცილებისა და აღკვეთის საქმეში ბაზრების ადმინისტრაციის უფლებათა გაფართოებისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ.

6. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ კონტროლი მოქალაქეთა მიერ საცხოვრებელი სადგომების გამოყენებისადმი, ამასთან გაითვალისწინონ, რომ მათი გამოყენება არ შეიძლება პირადი გამორჩენისა და სხვა ანგარებითი მიზნებისათვის, საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. მოაწყონ იმ პირთა აღრიცხვა, რომლებიც აქირავებენ საცხოვრებელ სადგომებს, აგარაკებს, საბაღე სახლებს ქვექირავნობის (ქირავნობის) წესით, უზრუნველყონ, რომ მათ მკაცრად დაიცვან მოთხოვნები კანონმდებლობისა, რომელიც არეგულირებს საცხოვრებლის ქვექირავნობის (ქირავნობის) საკითხებს.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ 3 თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ასეთ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის წესის, ქვემოქირავნეთა (მოქირავნეთა) სარგებლობისათვის მიცემული საცხოვრებელი სადგომების, ქონებისა და გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის პირობებისა და ზღვრული ოდენობის შესახებ.

7. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ.

— გააუმჯობესოს საბიუჯეტო დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა რევიზიებისა და შემოწმებების ხარისხი სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და დანაკლისის, მფლანგველობის, სახელმწიფო ანგარიშგების წამატებისა და დამახინჯების, მასალების, ნედლეულის, სათბობისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვის ნორმების დარღვევის, ვაჭრობის,

საზოგადოებრივი კვების, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სანახაობით და კულტურულ ორგანიზაციებში ამონაგები თანხების დატაცების, სამსახურებრივ ბოროტმოქმედებათა და მეურნეობის გაძღოლის სოციალისტური სისტემისათვის საზიანო სხვა დანაშაულთა ფაქტების გამოვლენის მიზნით;

—სრულყოს საგადასახადო მუშაობის მეთოდები და ფორმები. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებთან და რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად გამოავლინოს მოქალაქეები, რომლებიც არალეგალურად ეწევიან კერძო მეწარმეობას, შინამრეწველ-ხელოსნები, რეპეტიტორები, პირები, რომელთაც აქვთ შემოსავალი კერძო სამედიცინო პრაქტიკისა და სხვა სახის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისაგან, აგრეთვე აქირავებენ საცხოვრებელ სადგომებს, აგარაკებს, საბაღე სახლებს ქვექირავნობის (ქირავნობის) წესით, და მიიღოს მათ მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომები;

— უზრუნველყოს „უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 11 ივნისის № 785-XI ბრძანებულების და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თანდართული დადგენილების მოთხოვნების განუხრელი შესრულება, კერძოდ, იმ დადგენილი წესის მკაცრი დაცვა, რომ მოქალაქეებმა, რომლებიც დებენ ათი ათას მანეთზე მეტი თანხის გარიგებებს, აგრეთვე აშენებენ ოცი ათას მანეთზე მეტი ღირებულების სახლს (აგარაკს), წარუდგინონ საფინანსო ორგანოს დეკლარაცია შესაბამისი სახსრების მიღების წყაროების შესახებ.

8. სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა, საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა განმხორციელებელმა სამინისტროებმა და უწყებებმა გააძლიერონ კონტროლი კაპიტალური მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის შესრულებულ სამუშაოთა მოცულობისა და ხარისხის, მზა პროდუქციის შინასაუწყებო რეალიზაციისა და გადაადგილების, აგრეთვე მისი ხელახალი გადამუშავების გზით სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ გეგმების შესრულების ამსახველი ანგარიშგების უტყუარობისადმი. ანგარიშგების დამახინჯებათა ან დაუგეგმავ სამუშაოთა დაშვების, აგრეთვე მზა პროდუქციის შინასაუწყებო რეალიზაციის ან გადაადგილების გზით გეგმების შესრულების ყველა შემთხვევაში იმ პირთა მიმართ, რომელთაც დაუშვეს სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა, გამოიყენონ უმკაცრესი ზომები.

9. სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ უნაღდო ანგარიშსწორების პრაქტიკა, როგორც სამეურნეო ურთიერთობაში სოციალისტური კანონიერების დაცვისადმი, განსაკუთრებით საანგარიშსწორებო დოკუმენტების საქონლიანობისადმი, წინასწარი კონტროლის საშუალება. შემოიღონ, როცა ეს ეკონომიკურად მიზანშეწონილია, სახალხო მოხმარების სა-

ქონლის ხარისხის მიხედვით მიღების შემდეგ მისი ღირებულების ანგარიშ-სწორების წესი.

გააძლიერონ ბანკის კონტროლი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ინდივიდუალურ ჩამბარებლებთან დამამზადებელი ორგანიზაციების ანგარიშსწორებისადმი, უფრო ფართოდ დანერგონ ჩაბარებული პროდუქციის ანაზღაურების უნაღდო წესი.

10. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ კონტროლი აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმეში სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი, მიიღონ გადამწყვეტი ზომები საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში პირველადი აღრიცხვის დაყენების გასაუმჯობესებლად, დაამთავრონ პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ტიპობრივი ფორმების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს ნედლეულის, მასალებისა და სათბობის სრულ და უტყუარ სასაქონლო აღრიცხვას. გააუმჯობესონ ურთიერთმოქმედება სამართალდამცველ და მაკონტროლებელ ორგანოებთან აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში დარღვევათა და ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთისათვის მუშაობაში.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებმა მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესების დარღვევათა გამოვლენისას ამორიცხონ ისინი ანგარიშგებიდან.

11. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების მქონე სამინისტროებმა და უწყებებმა:

— „შინამრეწველ-ხელოსანთა, რეპეტიტორთა და კერძო სამედიცინო პრაქტიკის მქონე მოქალაქეთა გამოვლენისა და გადასახადით დაბეგვრისათვის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 29 იანვრის № 47 დადგენილების შესაბამისად უზრუნველყონ საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა, სამეცნიერო, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის გაძლიერება თავიანთ მუშაკთა გამოვლენის საქმეში, რომლებიც ეწევიან რეპეტიტორობას ან კერძო სამედიცინო პრაქტიკას;

— გადაჭრით ებრძოლონ ყოველგვარ ფულის შეწერასა და ძღვნის მირთმევას, მიაღწიონ კვების პროდუქტების, მედიკამენტების, ინვენტარის დატაცების ფაქტების მთლიანად აღმოფხვრას საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. საქართველოს სსრ შინაგან სამინისტრომ:

— შეიმუშაოს და განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ბრძოლის გააქტიურება მექრთამეობის, დატაცების, სპეკულაციის, მყიდველთა ანგარიშსა და წონაში მოტყუების, სახელმწიფო ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების უკანონო გამოყენების, უბილეთო მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის, სავაჭრო, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, სანახაობით, სასწავლო დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოქალაქეთა მომსახურებისას ფულის შეწერისა და გამომძალველობის, აგრეთვე უშრომელი შემოსავლის მიღების სხვა ფაქტების წინააღმდეგ;

— გააქტიუროს მუშაობა იმ პირთა გამოსავლენად, რომლებიც ეწევიან აკრძალულ რეწვას ან არალეგალურ ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას;

— საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან, რესპუბლიკის პროკურატურასთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტთან, სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომით დაუსაქმებელი მოსახლეობის აღრიცხვის მეთოდიკა, აგრეთვე წინადადებანი მუქთახორობისა და მოშაბაშეობის აღმოსაფხვრელად;

— საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოსთან და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან ერთად გააძლიეროს ბრძოლა ბრაკონიერობის წინააღმდეგ.

13. საქართველოს სსრ პროკურატურამ, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟმა, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისტემატურად განახორციელონ ღონისძიებანი დამნაშავე ელემენტთა, სამართალდამრღვევთა და დისციპლინური და ადმინისტრაციული გადაცდომის დამშვებ პირთა მიერ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის თანხების ბიუჯეტის შემოსავალში სრულად ჩარიცხვისათვის; დროულად განიხილონ და გადაწყვიტონ მასალები რეგრესიულ სარჩელთა და კონფისკებული ქონების სარჩელთა შესახებ, აგრეთვე მასალები აღმასრულებელი ფურცლების მიხედვით სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე დავალიანების გადახდევინების შესახებ.

14. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა გასწიონ მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ამასთან საჯარო გახადონ კანონიერების დარღვევათა, უშრომელი შემოსავლის მიღების გამოვლენილი ფაქტები, აგრეთვე დამნაშავე პირთა მიმართ მიღებული ზომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით მოამზადონ და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

16. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ამ დადგენილების და „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ და „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 15 მაისის დადგენილებების, „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 მაისის № 575 დადგენილების და „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1986 წლის 3 ივნისის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების თაობაზე მოთხოვნების რეალიზაციისათვის გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის ივლისში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 25 აგვისტო, № 568

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 575

1986 წლის 15 მაისი

მოსკოვი, კრემლი

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის ზაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა:

ა) გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციისა და სხვა ანგარებითი დანაშაულობების წინააღმდეგ, რომლებიც უშრომელი შემოსავლის წყაროებს წარმოადგენენ. მუდმივი ყურადღება დაუთმონ ამ დანაშაულობათა ჩადენის ხელშემწყობი პირობების ღრმად შესწავლასა და აღმოფხვრას;

ბ) შეიმუშაონ და განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი სოციალისტური საკუთრების სრული დაცვის უზრუნველსაყოფად, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ:

აამაღლონ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა წესრიგის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, გააძლიერონ ბრძოლა მფლანგველობისა და დანაკარგების წინააღმდეგ, უზრუნველყონ უმკაცრესი ეკონომია მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების გამოყენების საქმეში;

მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ პირველადი აღრიცხვა და სოციალისტური საკუთრებისა და სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი კონტროლის ყველა ფორმა;

უზრუნველყონ მატერიალური და შრომითი დანახარჯების, მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენების ტექნიკურად და ეკონომიკურად დასაბუთებული ნორმების დროულად შემუშავება და დანერგვა;

გ) უზრუნველყონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს დაჩქარებული განვითარება „სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 25 სექტემბრის № 915 დადგენილების შესაბამისად; გამონახონ რეზერვები და დამატებითი შესაძლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობანი, რათა გაადიდონ წარმოებისა და მომსახურების გაწევის ეფექტურობა, გაუმჯობესონ მათი ხარისხი, ოპერატიულად აღმოფხვრან ცალკეული საქონლისა და მომსახურების წარმოქმნილი დეფიციტი.

2. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად და სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით 3 თვის ვადაში განიხილოს და გადაწყვიტოს იმ მუშამოსამსახურეთა კატეგორიების ნუსხის გაფართოების საკითხი, რომლებთანაც შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებანი სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

3. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ:

გაფართოვდეს იმ საქონლისა და პროდუქციის წრე, რომლებზეც გამოიყენება საცალო ფასების ჯერადი ოდენობით ზარალის გადახდევინების წესი მათი დატაცების, განზრახ გაფუჭების, დანაკლისის ან დაკარგვის შემთხვევაში;

შეტანილ იქნეს ცვლილებანი მატერიალურ ფასეულობათა და დანაკარგების ჩამოწერის მოქმედ წესში, ამასთან გაძლიერდეს კონტროლი ჩამოწერის დასაბუთებულობისადმი და დამნაშავეთათვის ზარალის გადახდევინებისადმი, აგრეთვე ამაღლდეს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა აღნიშნული წესის დარღვევისათვის.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ სსრ კავშირის პროკურატურის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს, სხვა სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით მოამზადონ და წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 6 თვის ვადაში შესაბამისი წინადადებანი ამ საკითხებზე.

4. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ დამატებითი ზომები თვალისახვევისა და წამატებათა აღსაკვეთად. მიაღწიონ პრემიებისა და სხვა ჯილდოების უკანონო გაცემით, აგრეთვე გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალური წახალისების ფონდში და სხვა ანალოგიურ ფონდებში სახსრების გადარიცხვით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის მთლიანად ანაზღაურებას, მიუხედავად სხვა დაწესებული ზომების გამოყენებისა.

5. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, სამინისტროებმა და უწყებებმა გააძლიერონ კონტროლი აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმეში სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი, მიიღონ გადამწყვეტი ზომები საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში პირველადი აღრიცხვის დაყენების გასაუმჯობესებლად, დაამთავრონ პირველადი საალრიცხვო დოკუმენტაციის ტიპობრივი ფორმების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს ნედლეულის, მასალებისა და სათბობის სრულ და უტყუარ აღრიცხვას. გააუმჯობესონ ურთიერთმოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედება სამართალდამცველ და მაკონტროლებელ ორგანოებთან აღრიცხვიანობა ანგარიშგების დარგში დარღვევათა და ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთისათვის მუშაობაში.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებმა მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესების დარღვევის გამოვლენისას ამორიცხონ ისინი ანგარიშგებიდან.

6. სსრ კავშირის სახბანკმა და სსრ კავშირის მშენბანკმა უფრო აქტიურად გამოიყენონ უნაღდო ანგარიშსწორება, როგორც სამეურნეო ურთიერთობაში სოციალისტური კანონიერების დაცვისადმი, განსაკუთრებით საანგარიშსწორებო დოკუმენტების საქონლიანობისადმი წინასწარი კონტროლის საშუალება. შემოიღონ, როცა ეს ეკონომიკურად მიზანშეწონილია, სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის მიხედვით მიღების შემდეგ მისი ღირებულების ანაზღაურების წესი.

გააძლიერონ ბანკის კონტროლი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ინდივიდუალურ ჩამბარებლებთან დამამზადებელი ორგანიზაციების ანგარიშსწორებისადმი, უფრო ფართოდ დანერგონ ჩაბარებული პროდუქციის ანაზღაურების უნაღდო წესი.

მიღებულ იქნეს სსრ კავშირის სახბანკის წინადადება სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებებში ფულადი სახსრების მისაღებად საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარდგენის ჩეკების გაუქმების შესახებ.

7. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ კონტროლი მოქალაქეთა მიერ საცხოვრებელი სადგომების გამოყენებისადმი, ამასთან გაითვალისწინონ, რომ მათი გამოყენება არ შეიძლება პირადი გამორჩენისა და ანგარებითი მიზნებისათვის, საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. მოაწყონ იმ პირთა აღრიცხვა, რომლებიც აქირავებენ საცხოვრებელ სადგომებს, აგარაკებს, საბაღე სახლებს ქვექირავნობის (ქირავნობის) წესით, უზრუნველყონ, რომ მათ მკაცრად დაიცვან მოთხოვნები კანონმდებლობისა, რომელიც არეგულირებს საცხოვრებლის ქვექირავნობის (ქირავნობის) საკითხებს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დაადგინონ ასეთ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის წესი, ქვემოქირავნეთა (მოქირავნეთა) სარგებლობისათვის მიცემული საცხოვრებელი სადგომების, ქონებისა და გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის პირობები და ზღვრული ოდენობა.

8. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ და „ცენტროსოიუზმა“:

მიიღონ ზომები საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობის გასაუმჯობესებლად, ამ ბაზრებში ვაჭრობის გასაფართოებლად, რომელსაც ეწევიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამომხმარებლო კოოპერაცია, ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის გასაძლიერებლად. ფართოდ გამოიყენონ ამისათვის „სამომხმარებლო კოოპერაციის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა სა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲑᲭᲝᲡ 1986 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ № 40 ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ;

ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲜ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲑᲐᲖᲠᲔᲑᲖᲔ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲗ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ, ᲒᲐᲐᲤᲐᲠᲗᲝᲜᲗ ᲑᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲐᲛᲐᲦᲚᲝᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ, ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ.

9. ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲛᲐ:

ᲒᲐᲜᲐᲕᲘᲗᲐᲠᲝᲜ ᲓᲐ ᲬᲐᲐᲮᲐᲚᲘᲡᲝᲜ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲛᲔᲢᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ, ᲠᲫᲘᲡ, ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲓᲐ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲧᲘᲓᲕᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ;

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲝᲜ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ 3 ᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲬᲣᲡᲢᲝᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲧᲝᲚᲘᲡ ᲖᲦᲕᲠᲣᲚᲘ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘ;

ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲜ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲧᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲮᲠᲔᲚᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲓᲐᲐᲬᲔᲡᲝᲜ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲒᲘ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ.

10. ᲓᲐᲬᲔᲡᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲣᲗᲘ ᲐᲗᲐᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡᲬᲠᲝᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ, ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲦᲓᲝ ᲒᲐᲓᲐᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ.

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲓᲔᲑᲔᲜ ᲐᲗᲘ ᲐᲗᲐᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲔᲑᲡ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲝᲪᲘ ᲐᲗᲐᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲑᲔᲚ ᲡᲐᲮᲚᲡ (ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲡ), ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲝᲜ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲜᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲝᲜ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲜ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲑᲐᲜᲙᲛᲐ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ 3 ᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲜ ᲐᲠᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ.

11. ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲑᲐᲜᲙᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲝᲜ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲘᲜᲝᲜ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. რიჟკოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი**

60 საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 3 აგვისტოს № 445 დადგენილება „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 25 აგვისტო, № 569

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 25 აგვისტოს № 569 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად არის რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას სამინისტროს გაერთიანებებში (კომბინატებში), საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო განაზოგადებს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს მისი სრულყოფის წინადადებებს და დადგენილი წესით წარუდგენს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო უშუალოდ ხელმძღვანელობს მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს და გამოდის მათ მიმართ როგორც ხემდგომი ორგანო, ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე, აქვს მის საქმიანობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი და არის იურიდიული პირი.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო ახორციელებს ხელმძღვანელობას სახალხო მოხმარების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის, მხატვრული რეწვის ნაკეთობებისა და სუვენირების, აგრეთვე მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის განკუთვნილი პროდუქციის მწარმოებელი მრეწველობისადმი.

4. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო-სამეურნეო კომპლექსის მდგომარეობისა და შემდგომი განვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკურ დონისათვის, გამოსაშვები პროდუქციის ხარისხისათვის, ადგილობრივი მრეწველობის ყოველგვარ პროდუქციაზე მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანი გამოყენებისათვის, საწარმოო სიმძლავრეთა დროულად ამოქმედებისა და ათვისებისათვის, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა და საფინანსო დისციპლინის დაცვისათვის, აგრეთვე სახელმწიფო გეგმის დავალებათა და ბიუჯეტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო მოვალეა დაიცვას მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა უფლებანი.

II. უფლება-მოვალეობანი დაგეგმვის დარგში

5. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო:

— შეადგენს საწარმოთა გეგმების პროექტების შესაბამისად საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) და მთლიანად სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს, აგრეთვე ამტკიცებს შემდეგ მაჩვენებლებს, ლიმიტებსა და ნორმატივებს;

ა) მაჩვენებლები:

სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობა მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა გათვალისწინებით (წლიურ გეგმებში);

ნატურალური გამოხატულებით (ძირითადი ნომენკლატურის) პროდუქციის წარმოება, ახალი სახეობების ნაკეთობათა წარმოების დავალების ჩათვლით;

ადგილობრივი ნედლეულისა და ნარჩენებისაგან პროდუქციის წარმოების მოცულობა (წლიურ გეგმებში);

სასაქონლო პროდუქციის 1 მანეთზე დანახარჯების ზღვრული დონე;

მოგება (წლიურ გეგმებში);

ახალამოქმედებული საწარმოებისა და ობიექტების მუშაკთა, აგრეთვე არასამრეწველო პერსონალის ხელფასის ფონდი;

ბ) ლიმიტები:

სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამუშაოთა, ძირითადი ფონდების, საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ამოქმედების ლიმიტი;

უმნიშვნელოვანეს სახეობათა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ლიმიტი (წლიურ გეგმებში — ფონდები);

გ) ეკონომიკური ნორმატივები:

სასაქონლო პროდუქციის ზრდის ყოველ. პროცენტზე სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასის ფონდის გადიდების ნორმატივი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული რეწვის საწარმოთა სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასის ფონდის ნორმატივი სასაქონლო პროდუქციის მოცულობასა ცენტულად (ხუთწლიან გეგმაში);

წარმოების განვითარების ფონდის შექმნის ნორმატივი (ხუთწლიან გეგმაში);

მატერიალური წახალისების ფონდის გადიდების ნორმატივი (ხუთწლიან გეგმაში);

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის გადიდების ნორმატივი (ხუთწლიან გეგმაში);

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდის შექმნის ნორმატივი;

სახელმწიფო ბიუჯეტში გაანგარიშებული მოგების გადარიცხვის ნორმატივი (საწარმოო გაერთიანებებისათვის, საწარმოებისათვის წლიურ გეგმებში);

— სახავს მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების პრინციპების დანერგვით პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შედგენისას ღონისძიებებს ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად მოსახლეობის გემოვნებისა და მოთხოვნილებების შესაბამისი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოების გზით ეროვნული თავისებურებების, ბუნებრივ-კლიმატური და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით;

— სრულყოფს დაგეგმვას, მართვასა და სამეურნეო ანგარიშს, ნერგავს შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, ფართოდ იყენებს ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებსა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებს წარმოების მართვაში;

— ყოველმხრივ განავითარებს ხალხურ და მხატვრულ სარეწებს, ადიდებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების, სასაჩუქრო და სუვენირულ ნაკეთობათა გამოშვებას;

— ორგანიზაციას უწევს მუშაობას დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის, ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერებისა და წარმოების რენტაბელობის ამაღლების, გაერთიანებათა (საწარმოთა) სპეციალიზაციის მიზნით;

— სწავლობს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებებს შესაბამის სახეობათა პროდუქციაზე, ავლენს მოთხოვნის სტრუქტურას და ამის საფუძველზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერსპექტივებიდან გამომდინარე, შეიმუშავებს ადგილობრივი მრეწველობის ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან პროგნოზებს ან მონაწილეობს მათს შემუშავებაში;

— ამაღლებს წარმოების ეფექტიანობას, ძირეულად აუმჯობესებს საწარმოო ფონდების გამოყენებას, შრომატევად პროცესთა მექანიზაციას, ფართოდ ნერგავს ახალ ტექნიკასა და მოწინავე ტექნოლოგიას, უზრუნველყოფს მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციასა და გაფართოებას, საწარმოები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და საამქროების სპეციალიზაციას განსაზღვრული სახეობების ნაკეთობათა წარმოებისათვის;

— შეაქვს სახალხო მოხმარების ცალკეულ სახეობათა საქონლის წარმოების გეგმებში იმ საქონლის წარმოების შემცირებასთან დაკავშირებული ცვლილებანი, რომელიც მოსახლეობის შეზღუდული მოთხოვნილებით სარგებლობს, შესაბამისად ადიდებს მაღალი მოთხოვნილების საქონლის წარმოებას, ამასთან შეაქვს საჭირო შესწორებანი გეგმის სხვა მაჩვენებლებში მთლიანად სამინისტროს ხაზით სამრეწველო პროდუქციის წარმოების, დაგროვებისა და ბიუჯეტის გადასახდელთა გეგმების შეუმცირებლად, რის შესახებაც შემდგომ შეატყობინებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს;

— იღებს სამინისტროს არასაქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის ზიანის მიუყენებლად, შეკვეთებს სახელმწიფო გეგმით გაუთვალისწინებელი პროდუქციის დასამზადებლად შემკვეთის მასალისაგან, ადგილობრივი ნედლეულის, სათბობისა და საწარმოო ნარჩენების გამოყენებით;

— ცვლის მომხმარებელთა თხოვნით იმ ნაკეთობათა წარმოების წლიურ მოცულობასა და ნომენკლატურას, რომელთა წარმოების გეგმა დამტკიცებულია უშუალოდ სამინისტროს მიერ, ამასთან შესაბამისად ცვლის მოგების გეგმას, ბიუჯეტის გადასახდელთა გეგმების შეუმცირებლად;

— უზრუნველყოფს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შემოღებული მეურნეობის გაძღოლის ახალი პირობებით გათვალისწინებული მაჩვენებლების დაგზავნას საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის), ამასთან არ უშვებს მათი უფლებების შეზღუდვას, ზედმეტ რეგლამენტაციასა და წვრილმან მეურნეობას;

— ატყობინებს გეგმის პროექტის შემუშავებისას საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) მხოლოდ იმ გაანგარიშებითს მაჩვენებლებს, რომლებიც საჭიროა მისი სხვადასხვა დანაყოფის შეწონასწორებისა და დაკავშირებისათვის.

III. უფლება-მოსილებანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში

6. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო;

— უზრუნველყოფს ტექნიკურ პროგრესს, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვას, ახალი ტექნიკის სამუშაოთა დაგეგმვისა და განხორციელების ორგანიზაციას, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას, ახალი პროდუქციის წარმოების ათვისებას, რომელიც თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით შეესაბამება საუკეთესო სამამულო და საზღვარგარეთულ ნიმუშებს და მომხმარებელთა მოთხოვნებს;

— ორგანიზაციას უწევს მუშაობას წარმოების კონცენტრაციისა და კოოპერაციის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, პროდუქციის ხარისხის

ამაღლების, ახალ სახეობათა პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საჭიროებ-ლის გამოშვების ათვისების და იმ ნაკეთობათა წარმოებიდან მოხსნის მიზნით, რომლებიც მოთხოვნილებით არ სარგებლობენ, იღებს ზომებს შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად და შრომის ნაყოფიერების ზრდასა და საშუალო ხელფასის ზრდას შორის სწორი თანაფარდობის უზრუნველსაყოფად;

— უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტების, დარგობრივი და რესპუბლიკური ტექნიკური პირობების დანერგვასა და დაცვას, შეიმუშავებს და ამტკიცებს დადგენილი წესით იმ ნაკეთობათა ტექნიკურ პირობებს, რომელთაც უშვებენ სამინისტროს გაერთიანებები (საწარმოები);

— ორგანიზაციას უწევს მუშაობას შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის, სოციალისტური საკუთრებისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის გასაუმჯობესებლად საქვეუწყებო გაერთიანებებსა (საწარმოებსა) და ორგანიზაციებში;

— ახორციელებს დამატებითს ღონისძიებებს საგარეო ბაზარზე სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გასადიდებლად;

— ამტკიცებს საექსპორტო პროდუქციის ეფექტიანობის, ტექნიკური დონის, ხარისხისა და საიმედოობის ამაღლების პერსპექტიულ და წლიურ ტექნიკურ პროგრამებს;

— უზრუნველყოფს წარმოების განვითარების ფონდის გამოყენების დარგში საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) მინიჭებულ უფლებათა განუხრელ დაცვას;

— ხელმძღვანელობს წარმოების ტექნიკურ სრულყოფას, ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის, მოწყობილობის გამოყენების, საწარმოო-საექსპლუატაციო საჭიროებისათვის, მშენებლობისა და სარემონტო სამუშაოებისათვის ნედლეულის, სათბობისა და ენერგიის ხარჯვის საშუალო-პროგრესული ნორმების დანერგვას;

— გამოსცემს მასალებს სამსახურებრივი სარგებლობისათვის ადგილობრივი მრეწველობის საკითხებზე (ინსტრუქციები, დებულებები, მასალები მოწინავე გამოცდილების გაზიარების, გამოგონებების შესახებ და სხვ.).

IV. უფლება-მოვალეობანი კაპიტალური მშენებლობის დარგში

7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო:

— უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალურად გამოყენებას და მათი ეფექტიანობის ამაღლებას, მშენებლობის ღირებულებისა და ვადების შემცირებას, საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების დროულად ამოქმედებას, საწარმოო სიმძლავრეთა მოკლე ვადებში ათვისებასა და სრულად გამოყენებას;

— უზრუნველყოფს ახალი საწარმოო სიმძლავრეების, საცხოვრებელი სახლების, საბავშვო დაწესებულებებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების დროულად ამოქმედებას, ტიპობრივი პროექტებისა და ახალი მასალების მაქსიმალურად გამოყენებას, სამეურნეო წესით განსახორციელებელ მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვას,

სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციას, აგრეთვე დადგენილი წესით ახორციელებს პროექტების ექსპერტიზას, განიხილავს და ამტკიცებს სატრანსპორტო-ტექნიკურ სიებსა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას გაერთიანებების (საწარმოების) და ორგანიზაციების მიხედვით, აკონტროლებს მშენებლობას, რომელსაც საჯარო სამშენებლო ორგანიზაციები ახორციელებენ;

— ორგანიზაციას უწევს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, უზრუნველყოფს მოწყობილობის მოდერნიზაციას, ტექნიკური დონისა და მწარმოებლობის ამაღლებას, ახორციელებს ღონისძიებებს რემონტის ხარისხის გაუმჯობესებისა და გაიაფებისათვის.

V. უფლება-მოვალეობანი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების დარგში

8. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო:

— ორგანიზაციას უწევს საქვეუწყებო გაერთიანებათა (საწარმოთა) და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას და მათი პროდუქციის გასაღებას, განსაზღვრავს მათს მოთხოვნილებას მოწყობილობაზე, მასალებსა და სატრანსპორტო საშუალებებზე, იღებს და დადგენილი წესით ანაწილებს ამ მიზნით გამოყოფილ ფონდებს, ახორციელებს კონტროლს მასალებისა და მოწყობილობის ფონდების რეალიზაციისადმი;

— განავითარებს და განამტკიცებს პირდაპირ კავშირურთიერთობას მიმწოდებელ და მომხმარებელ საწარმოთა შორის, ასევე საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებებსა (საწარმოებსა) და სავაჭრო ორგანიზაციებს შორის;

— აკონტროლებს საქვეუწყებო გაერთიანებებისა (საწარმოებისა) და ორგანიზაციების მიერ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებას, უზრუნველყოფს მათ მიერ ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების სწორად შენახვასა და ეკონომიურად გამოყენებას;

— ამტკიცებს დადგენილი წესით ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმებს.

VI. უფლება-მოვალეობანი ფინანსების, კრედიტისა და აღრიცხვა-ანგარიშგების დარგში

9. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო:

— აფინანსებს დადგენილი წესით საქვეუწყებო გაერთიანებებსა (საწარმოებსა) და ორგანიზაციებს, შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მათი საწარმოო-საფინანსო მაჩვენებლების გაუმჯობესება და უზრუნველყოფს მოგებისა და ბიუჯეტის გადასახდელთა გეგმების შესრულებას; ქმნის დადგენილი წესით ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვებს საქვეუწყებო გაერთიანებებისა (საწარმოებისა) და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად; ხსნის ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშებს საქვეუწყებო გაერთიანებებსა (საწარმოებსა) და ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოგების, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ფონდის შესაქმნელი თანხებისა და სხვა სახსრების გადანაწილების მიზნით, აგრეთვე ცალკე ანგარიშებს ცენტრალიზებული ფონდების შესანახად;

— ორგანიზაციას უწევს საუწყებო არბიტრაჟში ქონებრივი ხელშეკრულებისწინა დავის განხილვას საქვეუწყებო გაერთიანებებსა (საწარმოებსა) და ორგანიზაციებს შორის;

— შეიმუშავებს და წარუდგენს საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტს მასალებს მისი საქვეუწყებო საწარმოების მიერ დამზადებული ახალ სახეობათა პროდუქციის ფასების დასამტკიცებლად, ახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა სწორად გამოიყენონ დამტკიცებული ფასები;

— ქმნის რეზერვს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გასაწევად წლიური გეგმით დაწესებული საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების 3 პროცენტამდე ოდენობით, მიუხედავად ნორმატივების ზრდის თანხისა, რაც გათვალისწინებულია სამინისტროს შემოსავალ-გასავლის წლიური ბალანსით; ქმნის რეზერვს მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდზე გადაყვანილი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გასაწევად მათი მოგების 1,5 პროცენტის ოდენობით;

— ნებას რთავს ჩამოიწეროს საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსებიდან გამოვლენილი დანაკლისი, აგრეთვე სხვა ვალი, შეწყვეტილ მშენებლობათა დანახარჯები და განუხორციელებელი მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ხარჯები სახელმწიფო კოოპერაციული (კოლმეურნეობების გარდა) და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დებულების შესაბამისად;

— უზრუნველყოფს საწარმოთა და ორგანიზაციათა შემოსავალ-გასავლის ბალანსებით გათვალისწინებულ ბიუჯეტის გადასახდელთა გეგმების შესრულებას, იღებს საჭირო ზომებს ნაშთების ლიკვიდაციისათვის;

— ახორციელებს დადგენილი წესით სამრეწველო გაერთიანებების (საწარმოების) მიერ საექსპორტო პროდუქციის მიწოდების შედეგად მიღებულ სავალუტო ანარიცხებს, ამასთან არ ზღუდავს მათს გამოყენებას;

— ამტკიცებს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშებსა და ბალანსებს, ატარებს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიას;

— ამტკიცებს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის შესაბამისად საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა შემოსავალ-გასავლის ბალანსებს (საფინანსო გეგმებს), ამასთან აცნობებს მათ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

VII. უფლება-მოვალეობანი კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს

— ეწევა მუშაობას ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მუშა-მოსამსახურეთა შერჩევის, აღზრდის, მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების და მათი სწორი გამოყენების უზრუნველსაყოფად; შეიმუშავებს წინადადებებს საქვეუწყებო გაერთიანებების (საწარმოების) და ორგანიზაციების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ნორმირების ღონისძიებებს; იღებს ზომებს კადრების დენადობის თავიდან აცილებისათვის; კონტროლს უწევს მუშაკთა შრომის ანაზღაურების დაწესებული პირობების დაცვას, ხელფასის ფონდების წორად ხარჯვას და შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებას;

— პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად ორგანიზაციას უწევს სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის მიზანია მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლება, სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, თვითღირებულების შემცირება და მატერიალური და ფულადი რესურსების ეკონომიური ხარჯვა; საქართველოს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად აჯამებს საქვეუწყებო გაერთიანებათა (საწარმოთა) და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, ანიჭებს წითელ დროშებსა და ფულად პრემიებს, აგრეთვე აჯილდოებს საქვეუწყებო გაერთიანებათა (საწარმოთა) და ორგანიზაციათა საუკეთესო მუშაკებს საპატიო სიგელებით; ხელმძღვანელობს მუშაობას კოლექტიურ ხელშეკრულებათა დასადებად და აკონტროლებს მათს შესრულებას; იღებს ზომებს საქვეუწყებო გაერთიანებებსა (საწარმოებსა) და ორგანიზაციებში რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის განსავითარებლად, დახმარებას უწევს გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს მათს მუშაობაში, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას;

— შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო გაერთიანებების (საწარმოების) და ორგანიზაციების სტრუქტურის სრულყოფისათვის, აგრეთვე მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯების შესამცირებლად, ორგანიზაციას უწევს მუშაობას მართვის ავტომატიზებული სისტემის შესაქმნელად და გამოთვლითი ტექნიკის დასანერგად სამინისტროს სისტემაში;

— ანაზღაურებს ახალ სახეობათა პროდუქციის მასობრივი წარმოების ათვისების პერიოდში საქვეუწყებო გაერთიანებათა (საწარმოთა) მუშაობის მაჩვენებლების დროებითი გაუარესების შემთხვევებში ხელფასის ფონდის და მატერიალური წახალისების ფონდში და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში ანარიცხების შემცირებას სამინისტროს შესაბამისი ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების ხარჯზე;

— უწესებს სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) დირექტორებს თანამდებობრივი სარგოების დანამატებს — შესაბამის საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) ხელფასის ფონდის ეკონომიის სახსრების ხარჯზე;

— ახალისებს იმ საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებიც მთლიანად ასრულებენ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის წლიურ დავალებებს დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით და უზრუნველყოფენ მოსახლეობაში გადიდებული მოთხოვნილების ნაკეთობათა გამოშვებას, ამასთან გასცემს ერთდროულ პრემიებს მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯზე სამ თანამდებობრივ სარგომდე ოდენობით პრემირების დამტკიცებული მაქსიმალური ოდენობის გადამეტებით;

— ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას დოკუმენტური მასალების დაცვა-შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების მოწესრიგების, მათი შერჩევისა და განადგურების უზრუნველსაყოფად, კონტროლს უწევს საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში საქმისწარმოების და არქივების გაძღოლის წესების დაცვას; შეიმუშავებს წესებს, ინსტრუქციებს, საუწყებო დოკუმენტური მასალებისა და სხვა ნორმატივების სანიმუშო ნომენკლატურას სისტემის საწარმოო გაერთიანებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში არქივების მუშაობისა და საქმისწარმოების დაყენების საკითხებზე;

— უზრუნველყოფს შრომის პირობების უსაფრთხოებას, დაავადებათა, საწარმოო ტრავმატიზმისა და ავარიების თავიდან აცილების ახალი საშუალებებისა და მეთოდების დანერგვას.

11. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 129-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო ახორციელებს ადგილობრივი მრეწველობისადმი ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს, რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების რაიონული (საქალაქო) სამრეწველო კომბინატების მეშვეობით, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან როგორც საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ისევე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო დეპუტატთა საოლქო, შესაბამისი რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე ხელმძღვანელობს უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

12. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი უზრუნველყოფს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონთა, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სამინისტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს საქმიანობის საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულებას, შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტები ადგილობრივი მრეწველობის საკითხებზე.

13. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი შეაჩერებს ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესრულებას და გააუქმებს სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, აგრეთვე სამინისტროს სისტემის დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

14. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს უფროსის ბრძანებათა და ინსტრუქციათა გაუქმების საკითხი საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრს შეაქვს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის განსახილველად.

15. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ნიშნავს და ათავისუფლებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს, აგრეთვე უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და მათს მოადგილეებს, მთავარ ინჟინრებს, მთავარ (უფროს) ბუღალტრებს, ამ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა უფროსებსა და იურისკონსულტებს, დაწესებული ნომენკლატურის თანახმად; ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი (რაიონული, საქალაქო) საბჭოების აღმასკომების მიერ დანიშნულ სამრეწველო გაერთიანებათა (საწარმოთა) ხელმძღვანელებს, აფხაზეთის ასსრ. აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის დაქვემდებარების ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოების გარდა.

დირექტორებს, დირექტორთა მოადგილეებს, ტექნიკურ ხელმძღვანელებს (მთავარ ინჟინრებს), მთავარ (უფროს) ბუღალტრებს, ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა უფროსებსა და იურისკონსულტებს ნიშნავს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების წარდგენით.

16. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში იქმნება კოლეგია მინისტრის თავმჯდომარეობით. კოლეგია განიხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობისა და შესრულების შემოწმების საკითხებს, უმნიშ-

ვნელოვანეს ღონისძიებათა და სახელმძღვანელო მასალათა პროექტებს, ანგარიშებს სამინისტროს სტრუქტურის ქვედანაყოფთა, აგრეთვე სისტემის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მინისტრის წარდგენით. კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მინისტრის ბრძანებით.

მინისტრსა და კოლეგიის წევრთა შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

17. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან ფუნქციონირებს:

— სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელიც განიხილავს ახალ წარმოებათა ორგანიზაციის მიზანშეწონილობას და რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების განვითარების პერსპექტივებს;

— სამხატვრო-ტექნიკური საბჭო, რომელიც ორგანიზაციას უწევს საქონლის ასორტიმენტის, მხატვრული გაფორმების, ხარისხის გაუმჯობესების და ნაკეთობათა ნიმუშ-ეტალონების დამტკიცების საკითხთა განხილვასა და გადაწყვეტას, გარდა სუვენირებისა და ხალხური რეწვის ნაკეთობებსა, რომელთა ნიმუშ-ეტალონების დამტკიცება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ნოემბრის № 780 დადგენილებით ევალება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს;

— სამხატვრო-ტექნიკური საბჭო ამტკიცებს აგრეთვე სხვა სამინისტროებისა და უწყებების, მათ შორის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოთა მიერ გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონლის ნიმუშ-ეტალონებს, რომელთა მდგომარეობისა და განვითარებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს;

— არბიტრაჟი, რომელიც განიხილავს სასარჩელო დავას სამინისტროს სისტემის საწარმოთა შორის, აგრეთვე სხვა ორგანიზაციათა სარჩელებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 14 მარტის ბრძანებულების საფუძველზე.

აღნიშნული საბჭოები და არბიტრაჟი მოქმედებენ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მიერ დამტკიცებული მათი დებულებების საფუძველზე.

18. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

19. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

61 გადიდებული სართულიანობის საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს გარკვეული მუშაობა აქვთ გაწეული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 22 თებერვლის № 158 განკარგულების შესაბამისად გადიდებული სართულიანობის საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ამასთანავე, როგორც შემოწმებით გამოირკვა, შენობათა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები გადაუჭრელია. 1983 წლამდე საექსპლუატაციოდ გადაცემულ თითქმის ყველა საცხოვრებელ სახლში ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სახლშიგა სისტემა არ მუშაობს: არ გააჩნიათ ან მწყობრიდანაა გამოსული წნევის ასაწევი ტუმბოები, სახანძრო ონკანები აღჭურვილი არაა შემაერთებელი თავებით, ვენტილებით, სახანძრო სახელოებითა და ლულებით.

არ ხორციელდება გეგმიანი ტექნიკური მომსახურება, რის შედეგადაც არ მოქმედებს საცხოვრებელ სახლებში დამონტაჟებული კვამლგაცლისა და ლიფტის შახტებში ჰაერის დაწნევის ავტომატური დანადგარები.

უწინდებურად არ არის უზრუნველყოფილი ჯეროვანი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვით გადიდებული სართულიანობის ბევრი ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი შენობა (საქართველოს სსრ საავტომობილო- გზების სამინისტროს, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს შენობები ,სასტუმროები „ევერია“ ქალაქ თბილისში, „აფხაზეთი“ ქალაქ გაგრაში, „მედეა“ ქალაქ ბათუმში, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, პანსიონატები „ჰორიზონტი“ და „მშენებელი“ ქალაქ ქობულეთში და სხვ.).

ცალკეული უწყებები და ორგანიზაციები არ იღებენ პრაქტიკულ ზომებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების მოთხოვნების შესასრულებლად, ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატიკის დანადგარების ჯეროვან მდგომარეობაში მოსაყვანად, არ იყენებენ საწარმოო გაერთიანება „ზაკსპეცავტომატიკისა“ და საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის შესაძლებლობებს გეგმიან-ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოთა განხორციელების ნაწილში.

ითვალისწინებს რა გადიდებული სართულიანობის შენობათა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის უზრუნველყოფის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მათში ხანძრის გაჩენის შემთხვევაში შესაძლო მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაევალოთ ქ. თბილისის, სოხუმის, ბათუმის, გაგრის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, ოზურგეთის, მახარაძის, ბორჯომის, თელავის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც აქვთ თავიანთ ბალანსზე გადიდებული სართულიანობის შენობები:

— კომისიების აქტებისა და სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოთა მითითებების შესაბამისად უზრუნველყონ 1986-1987 წლებში გადიდებული სართულიანობის საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ შენობათა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისათვის საჭირო სამუშაოების შესრულება, ყველა შენობასა და საცხოვრებელ სახლში წნევის ასაწევი ელექტროცენტრიდანული ტუმბოების დაყენება და მათთან შინაგანი ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენის მიერთება.

აღნიშნულ ღონისძიებათა შესრულებისათვის საჭირო სამუშაოები ექსპლუატაციაში არსებულ სახლებში განახორციელონ კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის გამოყოფილი სახსრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯზე;

— განახორციელონ 1986-1987 წლებში საქალაქო მაგისტრალური წყალსადენი ქსელების ჰიდრანტების რემონტის, აღდგენისა და ახლის დაყენების სამუშაოები;

— მიუერთონ სახლშიგა ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენები წნევის ასაწევ ელექტროცენტრიდანულ ტუმბოებს დამტკიცებული პროექტების თანახმად;

— „ჰპს-1“ სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობილობისა და „ტოპაზ“ მიმღებ-საკონტროლო სახანძრო-დაცვითი კონცენტრატის უქონლობისას დროებით დააყენონ კვამლგაცლისა და ჰაერის დაწნევის სისტემათა დისტანციური ხელის ამძრავები;

— გააძლიერონ მომთხოვნელობა სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი მაღლივ საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ შენობებში მათში ექსპლუატაციის პროცესში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულების უზრუნველყოფის საქმეში;

— ახალი საცხოვრებელი მიკრორაიონების დაპროექტებისას გაითვალისწინონ სადგომები კომუნალური მომსახურების სადისპეტჩერო პუნქტების მოსაწყობად;

— კატეგორიულად აკრძალონ ევაკუაციის გზებზე კედლისა და ჭერის ადვილაალებადი მოპირკეთების მოწყობა, ხოლო იქ, სადაც მოწყობილია, დაშალონ იგი;

— ორი თვის ვადაში გააუქმონ უკანონო სათავსები (საკუჭნაოები და სხვ.), რომლებიც აგებული აქვთ მობინადრეებს საპროექტო გადაწყვეტილებათა დარღვევით კიბის უჯრედებზე, კვამლგაცლის შახტებში, ლიფტის ჰოლებში, სხვენში, აივნებზე, ლოჯიებში და აბრკოლებენ გადასვლას მომიჯნავე სექციებში, და მომავალში არ დაუშვან მსგავსი დარღვევები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან და საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად მოაწყონ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა საყრდენ პუნქტებთან მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება;

— მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებისა და ექსპლუატაციაში არსებულ საზოგადოებრივ შენობებსა და საცხოვრებელ სახლებში ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატიკისა და წყალსადენის ჯეროვან მდგომარეობაში მოყვანისას დაუდონ შესაბამის ორგანიზაციებს ხელშეკრულებანი ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატიკისა და შინაგანი ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენის გეგმიანი ტექნიკური მომსახურების განსახორციელებლად, ამასთან დააკისრონ მათი დაცვის, მუშაობისუნარიანობისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო ზედამხედველობისათვის პასუხისმგებლობა ბრძანებით (განკარგულებით) სპეციალურად დანიშნულ პასუხისმგებელ პირებს;

—მოაწყონ საცხოვრებელ მიკრორაიონებში კომუნალური მომსახურების სადისპეტჩერო პუნქტები ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენის, ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის, სალიფტე მეურნეობისა და სხვა სამსახურების პერსონალის სადღეღამისო მორიგეობით, ამასთან უზრუნველყონ ისინი პირდაპირი სატელეფონო კავშირით;

— დაწესებულ ვადებში წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სახმომარაგებას განაცხადები საჭირო რაოდენობის ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის მისაღებად.

2. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ აკრძალოს გადიდებული სართულიანობის აშენებული სახლების საექსპლუატაციოდ ჩასაბარებლად წარდგენა, თუ შესრულებული არ იქნება პროექტებით გათვალსიწინებული ხანძარსაწინაღმდეგო უსაფრთხოების ყველა სამუშაო.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს:

— უზრუნველყოს ქალაქ თბილისის საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტისა და ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის“ ძალებით გადიდებული სართულიანობის შენობათა პროექტების კორექტირება ექსპერტიზის მიღებული შენიშვნების თანახმად პროექტების ჩატარებული ექსპერტიზის შედეგების მიხედვით;

— აღნიშნული სახლების მშენებლობის ტექნიკური დოკუმენტაცია მის დამტკიცებამდე წინასწარ შეუთანხმოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს.

4. ქალაქ თბილისის საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალურმა სამეცნიერო-კვლევითმა და საპროექტო ინსტიტუტმა და ინსტიტუტმა „თბილქალაქპროექტმა“ მოახდინონ გადიდებული სართულიანობის შენობათა პროექტების კორექტირება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტიზის შენიშვნების თანახმად, რომელთა მიხედვითაც ხელმძღვანელობა ამჟამად მშენებლობა.

5. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უზრუნველყოს 1986 წელს კვამლგაცლისა და ჰაერის დაწნევის ავტომატური სისტემების ტიპობრივ საპროექტო გადაწყვეტილებათა შემუშავება ამ სისტემის ფარის დამუშავებით, ამასთან საფუძვლად დაუდოს „შსდუ-3/16“ ფარის პროექტი, რესპუბლიკის ერთ-ერთ საწარმოში მისი შემდგომი დამზადების გათვალისწინებით.

6. მენაშენე და შემკვეთმა სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა გამოყონ გადიდებული სართულიანობის შენობათა პროექტების კორექტირებისა და ახალი პროექტების შემუშავების ლიმიტები ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გათვალისწინებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ მათთვის დაწესებული საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ლიმიტების ფარგლებში.

7. საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარმა სამმართველომ უზრუნველყოს მაღლივ საცხოვრებელ სახლებში კვამლგაცლისა და დაცვითი სახანძრო სიგნალიზაციის ავტომატური სისტემების სამონტაჟო სამუშაოთა დამთავრება.

8. საწარმოო გაერთიანებამ „ზაკსპეცავტომატიკამ“ განახორციელოს დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით გადიდებული სართულიანობის შენობებსა და საცხოვრებელ სახლებში სახანძრო სიგნალიზაციის, კვამლგაცლის ავტომატური დანადგარების მიმდინარე რემონტი და გეგმიანი ტექნიკური მომსახურება.

9. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ დააკმაყოფილოს ქ. თბილისის, სოხუმის, ბათუმის, გაგრის, ქუთაისის, ჭიათურის, მახარაძის, ბორჯომის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, აგრეთვე იმ სამინისტროებისა და უწყებების განაცხადები ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობაზე, რომელთაც აქვთ თავიანთ ბალანსზე გადიდებული სართულიანობის შენობები.

10. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ დაიწყოს სამინისტროს საწარმოებში მართვისა და სიგნალიზაციის არასტანდარტულ მოწყობილობათა დამზადება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს განაცხადების მიხედვით.

11. საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა უზრუნველყოს გადიდებული სართულიანობის ადმინისტრაციულ, საზოგადოებრივ შენობებსა და საცხოვრებელ სახლებში შინაგანი ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენის მთელი სისტემის გეგმიანი ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი.

12. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაეკისროთ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 29 აგვისტო, № 577

62 საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის, საცხოვრებელი სახლისა და სახლისპირა ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის, საცხოვრებელი სახლისა და სახლისპირა ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესები, რომლებიც საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 29 აგვისტო, № 581

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 29 აგვისტოს № 581 დადგენილებით

წ ე ს ე ბ ი

საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობისა, საცხოვრებელი სახლისა და სახლისპირა ტერიტორიის მოვლა-პატრონობისა

ეს, წესები განსაზღვრავენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის, საცხოვრებელი სახლისა და სახლისპირა ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესს.

I. საცხოვრებელი სადგომებისა და საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობა და მათი სარგებლობა

1. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისათვის დამქირავებელსა და საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას შორის დაიდება წერილობითი ხელშეკრულება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის დამტკიცებული ტიპობრივი ხელშეკრულების საფუძველზე.

2. საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი და მასთან ერთად მცხოვრები პირები მოვალენი არიან:

ა) ჩასახლდნენ მიცემულ საცხოვრებელ სადგომში რაც შეიძლება მოკლე ვადაში, მაგრამ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციაში ორდერის ჩაბარების დღიდან არა უგვიანეს 20 დღისა;

ბ) გამოიყენონ მიცემული საცხოვრებელი სადგომი პირდაპირი დანიშნულებით ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

გ) უზრუნველყონ საცხოვრებელი სადგომის დაცულობა, გაუფრთხილდნენ სანიტარიულ-ტექნიკურ და სხვა მოწყობილობას, დაიცვან სისუფთავე და წესრიგი სადარბაზოებში, ლიფტების კაბინებში, კიბის უჯრედებზე და საერთო სარგებლობის სხვა ადგილებში, ეკონომიურად ხარჯონ წყალი, გაზი, ელექტროენერგია და თბოენერგია;

დ) დაუბრკოლებლად დაუშვან თავიანთ მიერ დაკავებული სადგომის ტექნიკური და სანიტარიული მდგომარეობის დასათვალიერებლად საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის მუშაკები და საზოგადოებრივი სახლის კომიტეტის წარმომადგენლები;

ე) ზამთრის პერიოდში სახლებში, რომელთაც ცენტრალური გათბობა არა აქვთ, რეგულარულად დაანთონ ღუმელები, ამასთან შეინარჩუნონ ნორმალური ტემპერატურა საცხოვრებელ სადგომში;

ვ) ყოველდღიურად დაგავონ ერთ და ორსართულიან საცხოვრებელ სახლებში კიბის უჯრედები და დერეფნები საცხოვრებელ სადგომში მცხოვრებ მობინადრეთა რაოდენობის შესაბამისად დაწესებული გრაფიკის მიხედვით;

ზ) საცხოვრებელ სადგომში უწესივრობათა აღმოჩენისას დაუყოვნებლივ მიიღონ შესაძლო ზომები დაზიანებათა აღმოსაფხვრელად და საჭირო შემთხვევებში შეატყობინონ ამის შესახებ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას ან შესაბამის საავარიო სამსახურებს;

თ) დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების წესები ღუმელებისა და სამზარეულო კერების დანთების, ელექტრული, გაზისა და სხვა ხელსაწყოებით სარგებლობის დროს, არ დაუშვან თვითნაკეთი მცველი საცობების დაყენება;

ი) რეგულარულად გაიტანონ საცხოვრებელი სადგომიდან ნაგავი, კვების ნარჩენები, მეორეული ნედლეული საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის მიერ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;

კ) ყოველწლიურად გათბობის პერიოდის დადგომამდე მოახდინონ დაკავებულ სადგომში ფანჯრების, აივნისა და შესასვლელი კარების დათბუნება.

3. საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელსა და მასთან ერთად მცხოვრებ ყველა პირს ეკრძალებათ:

ა) ჩაასხან და ჩაყარონ სანკვანძებში ადვილაალებადი სითხეები, მჟავები, საყოფაცხოვრებო ნარჩენები და სხვა საგნები, რომლებიც ანაგვიანებენ კანალიზაციას;

ბ) ისარგებლონ სანკვანძებით საკანალიზაციო ქსელისა და სიფონების გაჭედვის შემთხვევაში;

გ) თვითნებურად მოახდინონ სახლში სითბოს მიწოდების რეგულირება გათბობის კვანძზე და დააყენონ გასათბობ ხელსაწყოთა დამატებითი სექციები;

დ) ჩახერგონ აივნები, ლოჯიები, სახანძრო გასასვლელები, საერთო დერეფნები, კიბის უჯრედები და სათადარიგო გამოსასვლელები საოჯახო საგნებით, აგრეთვე გაფინონ ტანსაცმელი, თეთრეული, ხალიჩები და სხვა საგნები მთავარ ქუჩებზე გამომავალ ფასადებზე აივნების, ლოჯიების ღობურის სახელურების ზემოთ. აკრძალულია აგრეთვე ცხოველთა და ფრინველთა ყოლა აივნებზე და ლოჯიებში;

ე) შეინახონ საცხოვრებელ სადგომში, სარდაფებში, კიბის უჯრედებზე, აივნებზე, ლოჯიებში ცეცხლსაშიში და აფეთქებასაშიში მასალები, აგრეთვე ჰაერის გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებანი;

ვ) შეასრულონ საცხოვრებელ სადგომში სამუშაოები, რომლებიც იწვევენ სადგომის გაფუჭებას ან არღვევენ მობინადრეთათვის ნორმალურ პირობებს;

ზ) ისარგებლონ რადიოლებით, ფირფიტასაკრავებითა და სხვა ხმამაღლა ჭოლაპარაკე მოწყობილობებით აივნებზე, ლოჯიებში ან ღია ფანჯრებში.

23-დან 7 საათამდე საცხოვრებელ სადგომში დაცული უნდა იყოს სიწყნარე, ყოველგვარი ხმამაღლა მოლაპარაკე მოწყობილობებით სარგებლობა აღნიშნულ დროს შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ხმაური შემცირდება ისეთ დონემდე, რომ მყუდროება არ დაურღვიოს სხვა მობინადრეებს;

თ) დააყენონ საცხოვრებელი სახლების სახურავებზე საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის ნებართვის გარეშე ინდივიდუალური რადიოსატელევიზიო ანტენები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) ააგონ აივნებზე და ლოჯიებში ყოველგვარი მინაშენ-დანაშენები და აწარმოონ გადაკეთება.

4. ძაღლებისა და კატების ყოლა დასაშვებია ერთი ოჯახის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომში იმ პირობით, თუ დაცულია სანიტარიისა და ჰიგიენის წესები, ხოლო რამდენიმე ოჯახის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომში, გარდა ამისა, იმ პირობით, თუ წერილობით თანახმაა მათში მცხოვრები ყველა სრულწლოვანი პირი. მრავალბინიან სახლებში საჭიროა ერთ კიბის უჯრედზე მდებარე საცხოვრებელი სადგომების მობინადრეთა ასეთი თანხმობა.

5. ტანსაცმლის, ხალიჩებისა და სხვა საოჯახო საგნების წმენდა დასაშვებია მხოლოდ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ ადგილებში.

6. რამდენიმე ოჯახის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომში საერთო სარგებლობის ადგილებით სარგებლობის წესი, აგრეთვე მათი დაგვის რიგითობა განისაზღვრება საცხოვრებელი სადგომის ყველა დამქირავებლის ურთიერთშეთანხმებით.

7. საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელმა უნდა შეიტანოს ბინის ქირა და კომუნალური მომსახურების (წყალმომარაგება, გაზი, ელექტროენერგია, თბოენერგია და სხვა მომსახურება) გადასახდელი საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ვადებში.

8. საერთო სარგებლობის ადგილების განათების, ღუმელით გათბობის, რემონტის საერთო ხარჯების განაწილება, ტელეფონისა და კომუნალური მომსახურების საფასურის გადახდა რამდენიმე ოჯახის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომში ხდება საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელთა შეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხარჯები ნაწილდება:

ა) ელექტროენერგიისათვის, როცა საერთო მრიცხველი დგას, — თითოეული დამქირავებლის განათების წერტილებისა და საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოთა სიმძლავრის პროპორციულად;

ბ) საერთო ღუმელით გათბობისათვის — გასათბობი სადგომების ფართობის პროპორციულად;

გ) საერთო ტელეფონისათვის — საცხოვრებელ სადგომში მცხოვრებ ტელეფონით მოსარგებლე მობინადრეთა რიცხვის მიხედვით, მიუხედავად საუბრის რაოდენობისა. საქალაქთაშორისო ტელეფონით საუბარს ანაზღაურებს ის პირი, რომელმაც ისაუბრა;

დ) საერთო სარგებლობის ადგილების რემონტისა და განათებისათვის, გაზისათვის — მობინადრეთა რიცხვის მიხედვით (შინამოსამსახურეთა, დროებით მდგმურთა და ბავშვთა ჩათვლით, მიუხედავად ასაკისა).

9. რამდენიმე ოჯახის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის მობინადრეთა დავა საერთო სარგებლობის ადგილებისათვის დაგვის, კომუნალური მომსახურებისა და დამხმარე სათავსების სარგებლობისათვის ხარჯების განაწილების შესახებ წყდება დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი მოვალეა ჩაატაროს თავის ხარჯზე, საჭიროების კვალობაზე, დაკავებული სადგომისა და მისი მოწყობილობის მიმდინარე რემონტი, მათ შორის კედლების, ტიხრებისა და ჭერის შეთეთრება და შეღებვა, კედლებზე შპალერის გაკვრა, იატაკის, კარ-ფანჯრის ბლოკების შეღებვა, კედლების მოპირკეთების რემონტი, მინის ჩასმა, კარ-ფანჯრის მოწყობილობათა, ელექტროროზეტების, ამომრთველების, ვაზნების, აგრეთვე დამქირავებლის მიზეზით მწყობრიდან ნაადრევად გამოსული წყალდასახარჯი ონკანების, წყალშემრევების, აბაზანების, პირსაბანების, ნიჟარების, სარეცხელების, ჩამრეცხი ავზების, უნიტაზების, საცხოვრებელი სადგომის სხვა კონსტრუქციული ელემენტების შეცვლა და რემონტი, დამატებითი გასათბობი ხელსაწყოების ან მათი სექციების დაყენება და მოხსნა.

11. საცხოვრებელი სადგომისა და დამხმარე სათავსების გადაკეთება ან გადაგეგმარება დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს შეუძლიათ მხოლოდ მათი კეთილმოწყობის მიზნით და დაიშვება გამქირავებლის თანხმობით და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ნებართვით. ასეთი თანხმობა და ნებართვა უნდა იყოს დამხმარე სათავსებში სახელოსნოების მოსაწყობად, ხოლო ლოჯიებისა — გისოსებით და შემინული ფანჯრის სიოებით.

დამქირავებელი, რომელიც თვითნებურად გადააკეთებს ან გადააგეგმარებს საცხოვრებლ სადგომს ან დამხმარე სათავსს, მოვალეა თავის ხარჯზე მოიყვანოს სადგომი წინანდელ მდგომარეობაში.

12. იმ შემთხვევაში, როცა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებით დამქირავებლის უფლება-მოვალეობანი დადგენილი წესით გადადის ოჯახის სხვა წევრზე, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობს მოცემულ საცხოვრებელ სადგომში, საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაცია ხსნის პირად ანგარიშს ახალი დამქირავებლის სახელზე.

13. საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაცია მოვალეა დროულად (საბინაო ფონდის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა და ნორმების შესაბამისად) დაათვალიეროს საცხოვრებელი სადგომი, მოახდინოს შედეგების ფიქსაცია შესაბამის აქტებში და მათ საფუძველზე მოსთხოვოს დამქირავებელს საცხოვრებელი სადგომის მიმდინარე რემონტის შესრულება.

14. საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები მოვალენი არიან:

ა) საბინაო ფონდის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა და ნორმების შესაბამისად დაათვალიერონ საცხოვრებელი სახლები და ამის საფუძველზე დროულად ჩაატარონ სახლების რემონტი;

ბ) ყოველწლიურად დროულად მოამზადონ საცხოვრებელი სახლები და მათი მოწყობილობა ზამთრის პერიოდში ექსპლუატაციისათვის;

გ) უზრუნველყონ საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი სადგომების საინჟინრო მოწყობილობის შეუფერხებელი მუშაობა, სადარბაზოების, საცხოვრებელი სახლების საერთო სარგებლობის სხვა ადგილებისა და სახლისპირა ტერიტორიის ჯეროვანი მოვლა-პატრონობა.

15. საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა ხარჯზე სრულდება შემდეგი **სამუშაოები:**

ა) გაცვეთილი კონსტრუქციების (საძირკვლების, კედლების, ერ[illegible]ის, გადასახურების, სახურავების, კიბის უჯრედების, ლიფტების, ნაგავსატარების) რემონტი და შეცვლა;

ბ) საცხოვრებელ სადგომებში კარების, ფანჯრების, ჩარჩოების, იატაკის, გასათბობი ღუმელების, სამზარეულო ქურების, საინჟინრო ქსელებისა და სანიტარიულ-ტექნიკური ხელსაწყოების რემონტი და შეცვლა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი ნაადრევად გამოდიან მწყობრიდან მობინადრეთა მიზეზით;

გ) ბინისშიგა მიმდინარე რემონტი, რაც გამოწვეულია საცხოვრებელი სახლებისა და მათი მოწყობილობის ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების უწესივრობათა არადროული აღმოფხვრით.

II. სახლისპირა ტერიტორის მოვლა-პატრონობა

16. სახლისპირა ტერიტორიის ექსპლუატაციასა და რემონტს ახორციელებენ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები, რომელთაც ეკუთვნით სახლები.

17. სახლისპირა ტერიტორიაზე თავისუფალი მოედნების არსებობისას საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციამ საჭიროა:

ა) მოაწყოს თეთრეულის გასაშრობი, ტანსაცმლის, ხალიჩების, სხვა საოჯახო საგნების გასაწმენდი მოედნები;

ბ) მოაწყოს საბავშვო სპორტული მოედნები ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ქალაქობანას, ჩოგბურთის სათამაშოდ, აგრეთვე ქვიშის ყუთებით, საქანელებით, ფიცარ-სარწეველებით, სოკო-ფარდულებით და სხვა მოწყობილობებით აღჭურვილი მოედნები, საციგურაოები და სასრიალო გორაკები.

18. საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებმა სახლის კომიტეტებთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ყოველნაირად უნდა დაუჭირონ მხარი მობინადრეთა ინიციატივას სახლისპირა ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების ფართობის გასადიდებლად.

19. საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი და მასთან ერთად მცხოვრები პირები უნდა გაუფრთხილდნენ მწვანე ნარგავებს, სამეურნეო, სპორტულ, საბავშვო მოედნებსა და მათს მოწყობილობას.

20. არ დაიშვება:

ა) აფიშების, პლაკატებისა და განცხადებების გაკვრა საცხოვრებელი სახლების ფასადებზე, ღობეებზე და ამ მიზნებისათვის გაუთვალისწინებელ სხვა ადგილებში;

ბ) თეთრეულის, ტანსაცმლის, ხალიჩებისა და სხვა საოჯახო საგნების გაფენა თავისუფალ მიწის ნაკვეთებზე ან ქუჩაზე გამავალ ღია ეზოს ნაკვეთებზე;

გ) ავტომანქანების რეცხვა ეზოებში და ამ მიზნისათვის გაუთვალისწინებელ სახლისპირა ტერიტორიის სხვა ადგილებში;

დ) საეზო ნაგებობების (გარაჟების, ფარდულების, ღობეებისა და სხვა ნაგებობების) აშენება შესაბამისი ნებართვის გარეშე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) ეზოს ტერიტორიის ჩახერგვა ლითონის ჯართით, სამშენებლო ნაგვითა და სხვა ნარჩენებით, საშენი მასალებისა და შეშის დაწყობის გარდა, იმ პირობით, რომ დატოვებულ იქნეს სახანძრო გასასვლელები და არ ჩაბნელდეს საცხოვრებელი სადგომების ფანჯრები;

ვ) საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაღვრა, გადაყრა ან დაწვა ეზოში;

ზ) ხეებისა და ბუჩქნარების გადარგვა ან აჩეხვა კომუნალური მეურნეობის იმ ორგანოთა ნებართვის გარეშე, რომლებიც განაგებენ მწვანე ნარგავებს;

თ) სახლისპირა ტერიტორიის გათხრა საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის ნებართვის გარეშე.

21. საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის, საცხოვრებელი სახლისა და სახლისპირა ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესების დარღვევისათვის დამნაშავე პირებს ეკისრებათ ადმინისტრაციული ან სხვა პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საბინაო კანონმდებლობათა შესაბამისად.

ინდექსი—76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4, 1986 წ.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/XII-86 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 7, სააღრიცხვო თაბახი 7.

შეკვეთა 1076 უე 02401 ტირაჟი 2010

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა